அன்பளிப்பு

[illegible]

[illegible]





# შვიდ-ვეზირიანი.

ანუ

არაკნი შვიდი ბრძნისა.

ნათარგმი

მიხეილ ახპატელოვისაგან.

1471
სახელობის
ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-музей

ტფილისი.

სტამბა ლ. გ. კრამარენკო, გოლოვინსკის პროსპექტზე, ჩითახოვის სახლებში.

1887.

Дозволено цензурою 19 Января 1887 г.

Типографія Л. Г. Крамаренко, на Головинскомъ проспектѣ въ д. Читахова.

# შვიდ-ვეზირიანი.

## კარი პირველი.

ფონციანოს ხელმწიფე, მეუღლე მისი, შვილი დიოკლეტიანე და შვიდნი ვეზირნი.

ჰრომს ქალაქში იყო ერთი ხელმწიფე სახელად მოდოლოს, ამასა ჰყვანდა ერთი ვეზირი სახელად ფონციანე, რომელიც იყო მრიელი და ჭკვიანი; ჰქონდა დიდი სახელი, იყო განთქმული ყველა ომებში. ხელმწიფე მოდოლოს ამისაგან იყო მრიელ კმაყოფილი, აქებდა ამის გონებას და გამარჯვებას, და აღუთქვა იმას თავის დედის ერთა ქალი მიეცა მეუღლეთ, რომ თავისი სიკვდილის შემდეგაც ამის სახელმწიფო ტახტზედ დამჯდარიყო ფონციანე და ეგრეც აღასრულა.

რა ფონციანემ ითხოვა ქალი მოდოლოს ხელმწიფისა, სიმამრმა უბოძა სახელმწიფო ტახტი თავის სიძეს და უთხრა; აჰა მე სიბე-

რეს მივწევნივარ და აღარ შემიძლიან ხელმწიფობა, ამისათვის დაგილოცავ ჩემს სახელმწიფოს, ღმერთმან მშვიდობით და შეგაბეროს ხელმწიფობას. გასცა ყოველგან ბრძანება და განაცხადა თავის საბძანებელში, რომ შემდეგში უნდა ყოფილიყო ხელმწიფეთ ჰროვმისა ფონციანე.

ფონციანემ დაიწყო ხელმწიფობა იმისთანა ჭკვითა, რომ ყოველი თავისი ქვეშევრდომები ჰყვანდა დიდ თავისუფლებაში და მხიარულებაში, და დიდით პატარამდის მადლობას სწირამდნენ ღმერთს ამისთანა ხელმწიფის ყოლისათვის. ორი წლის შემდეგ ფონციანეს ეყოლა ერთი ვაჟი შვილი და სახელად უწოდა დიოკლეტიანე. როდესაც დიოკლეტიანე შეიქმნა შვიდის წლისა, დედა ამისი მრიელ ავათ შეიქმნა; დაუძახა ხელმწიფეს და მოახსენა: მაღალო ხელმწიფეო, თქვენთანა მაქვს ერთი თხოვნა და სურვილით გთხოვთ ამისრულოთ. უბძანა ხელმწიფემ: მითხარ ჩემო საყვარელო, რა არის შენი თხოვნა? და მე აღგისრულებ. მოახსენა დედოფალმა: „მე ვარგათ ვიცი, რომ ამ ავადმყოფობას ვერ გადურჩები, რადგან მრიელ ცუდი სატკივარი დამჩემდა, გთხოვ ჩემის სიკვდილის შემდეგ შენ რომ

მოიყვან ჩემს ალაგას სხვა მეუღლეს, ნუ მისცემ უფლებას ჩემს შვილზედ, რადგან იმას რომ ამაზედ უფლება მისცეთ, ჩემი შვილი დიოკლეტიანე სიკვდილიდან ვერ გადარჩება, ამისათვის გთხოვ შეინახო უცხო ქვეყანაში, ვიდრე აღიზრდება; თუ ამას აღასრულებთ, ბევრი სიკეთე მოგიძღვისთ თქვენცა და ჩემს შვილსაცა". უთხრა ხელმწიფემ: ჰოი საყვარელო ჩემო, ჯერ იმედია რომ მოგარჩინოთ ყოვლად მოწყალე ღვთის შემწეობით, და თუ არ იქმნა, აღვასრულებ შენს თხოვნას დიდის კმაყოფილებით.

მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა დედოფალი და ფონციანე ხელმწიფემ დიდის პატივით და გოდებით დაასაფლავა.

შემდეგ ამისა ფონციანე ხელმწიფემ დაიწყო ფიქრი თუ თავისი დედის ერთა შვილი ვისთან აღეზარდა, რომ გამოსულიყო ბრძენი და ყოფილიყო მემკვიდრე თავის სახელმწიფო ტახტისა. მოახსენეს ვეზირებმა: მაღალო ხელმწიფეო, ცოცხალი ბრძანდებოდეთ, ქალაქის გარეთ არიან შვიდნი ბრძენნი, უბრძანეთ, გიახლონ ისინი და თქვენი შვილი ჩააბარეთ იმ ბრძენებს, რომ მიაღებინონ სახელმწიფო სწავლა და სიბრძნე. ხელმწიფეს მო-

ეწონა ამითი სიტყვა, გასცა ბრძანება, რომ ამასთან მოსულიყვნენ ეს ბრძენები, რომელნიც მაშინვე მოვიდნენ. ხელმწიფემ ესენი დიდის პატივით და სიყვარულით მიიღო და უბრძანა ამ ბრძენებს: მე დაგიბარეთ იმისათვის, რომ მყავს ერთი შვილი დედის ერთა, მინდა ის მოგცეთ თქვენ, რომ თქვენის სიბრძნით გაწურთნოთ, რადგან ჩემი სიკვდილის შემდეგ უნდა იყოს ჩემი ტახტის მოადგილე. უპასუხეს ვეზირებმა: თქვენ ბრძანდებით იმისთანა ბრძენი და ჭკვიანი, რომ თქვენგნით ნაშობი შვილი უსწავლელათაც კარგი გამოვა და მაგისათვის თქვენ რათა სწუხდებით? უბრძანა ხელმწიფემ: თქვენ მე რათ მატყუებთ მაგ სიტყვებით? თეთრი ქორი თუმცა ყველა ქორებზე კარგია, მაგრამ როდესაც კაცი დაიჭერს, ვიდრე არ შეაბამს ეჟვნებს, არ აწვალებს და კარგათ არ გასწურთნის მონადირე, მანამ არ ივარგებს სანადიროთ. აგრეთვე ოქრო თუმცა ყველა მადნებზე უკეთესია და ძრიელიც ძვირფასია, მაგრამ ვიდრე ხელოსანმა არ ჩააგდოს ცეცხლში, არ დაადნოს და არ აწვალოს, ვერაფერ სასარგებლო ნივთებს ვერ გამოიყვანს. აგრეთვე ჩემი შვილი, თუმცა მეფეთ მეფის და განთქმული ხელმწიფის შვილია, მაგრამ თუ

არ გაიწყრთნა თქვენის სიბრძნით და შეწუხება არა ნახა, არ ივარგებს ჩემს მემკვიდრეთ.

მაშინ ამ სიტყვაზედ შვიდთა ვეზირთა ერთად მოახსენეს: მაღალო ხელმწიფეო, მართალი ბრძანეთ თქვენ. ჩვენც მივიღებთ დიდის სიხარულით და, რაც სიბრძნე ვიცით, ყველანი ვეცდებით ის სიბრძნე მივაღებინოთ თქვენს შვილს. მაშინ უბრძანა ხელმწიფემ: დიდს მადლობას გწირავთ თქვენ, რადგან სიყვარულით მიიღეთ ჩემი დიდის-ერთა შვილი, ამისათვის მეც მოგცემთ ჩემს შვილს თქვენ და თქვენც მიგანდობთ უფალს, რომ უპატრონოთ მას, ასწავლოთ სიბრძნე და ყოველი ფილოსოფოსური გაგონება დაახსომოთ; ეს რომ თქო ხელმწიფემ, დაიჭირა ხელიდან თავისი შვილი, მოეხვია, დაჰკოცნა, მისცა ვეზირების ხელში და უთხრა: წადით მშვიდობით და ღმერთი იყოს თქვენთან.

ვეზირებმა წაიყვანეს ხელმწიფის შვილი პატარა დიოკლეტიანე და წაიდნენ თავიანთ სადგომში. ამათ მაშინვე გააკეთებინეს ერთი მშვენიერი დარბაზი და იქ დაასვენეს ხელმწიფის შვილი დიოკლეტიანე. ასწავლიდნენ, ერთ წლამდის და შემდეგ გამოსცადეს, ნახეს რომ, თუ ამ ნაირათ ესწავლა პატარა დიოკლეტია-

ნეს, ამ ვეზირებზე უკეთესი გონიერი და ბრძენი უნდა გამოსულიყო. მაშინ ამ ბრძენ ვეზირებს ძრიელ გაუკვირდათ, მოვიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს: მაღალო ხელმწიფეო, თქვენ დიდხანს იცოცხლეთ და ნეტარება თქვენ და თქვენი შვილის დაბადების დღეს, რომ ეგრე მახვილი გონებიანი უმარწვილის მნახველი არა ვართ, რადგან ჯერ ერთი წელიწადის ჩვენთან არის და ლამის სიბრმნითა და სწავლით ჩვენ გადაგვაჭარბოს, და როდესაც ის აღიზრდება, მაშინ იმისთანა ქვეყანაზედ აღარავინ უნდა იყოს, მაგრამ კარგი იქმნება, რომ ჩვენ გაგვიგო და არ გაგვიწყრე ამ სიტყვისათვის: იშოვნეთ ვინმე თქვენს მეუღლეთ, რადგან გეყოლებათ სხვა შვილებიც ამისთანა ჭკვიერი და უკეთესათ შეინახამენ თქვენს სახელმწიფოს თქვენს შემდეგ.

მოეწონა ხელმწიფეს ვეზირების სიტყვა, გასცა ბრძანება ეშოვნათ ერთი მშვენიერი ქალი და იმაზედ ჯვარი დაეწერათ. მაშინვე იშოვნეს ხელმწიფის ქალი, ძრიელ მშვენიერი და იმაზედ დიდის სიხარულით დაიწერა ჯვარი. დაადგა ამასაც თავზედ გვირგვინი და დაუძახა დედოფალი. ძრიელ უყვარდა, რადგან იყო მშვენიერი და მორთო საკურველის მშვე-

ნიჟრის ტანსაცმელებით და სამკაულებით. გავიდა რამოდენიმე წელიწადი, მაგრამ შვილი აღარ ეყოლათ. ქალი დიდ ფიქრში იყო უშვილობაზედ და ეგონა ხელმწიფისაგან იყო მიზეზი უშვილობისა. მაშინ ხელმწიფის ჩუმათ იპოვნა ერთი ჯეელი მშვენიერი ვაჟი, მოიყვანა თავისთან, მორთო ქალის ტანისამოსით და დღე მუდამ ამასთან ატარებდა დროებას, იმ ფიქრით მითომ ამისაგან შვილი უნდა გასჩენოდა და ინახამდა იმას თავის ოთახში და ლოგინში, მითომ ქალწული ქალი იყო ვინმე მოახლე. ამ დროს შეიტყო რომ ხელმწიფეს ჰყოლია ერთი შვილი და მიუცია გასაწურთნათ ვეზირებისათვის; მალე იფიქრა და თქო დედოფალმა: ,,უკეთესი იქმნება, რომ ეს ხელმწიფის შვილი მოკვდეს და მე რომ მეყოლება შვილი, ის იყოს ტახტის მემკვიდრეთ. ამ ნაირ ცუდ ფიქრებს განიძრახამდა დედოფალი დღე-ღამ თუ რა ღონის ძიებით შეიძლებდა ხელმწიფის დედის ერთა შვილის სიკვდილს. ამ დროს იპოვნა დროება ხელმწიფიდან თხოვნისა, რომ მოეყვანა თავის შვილი დედოფალთან და ეჩვენებინა.

## თხოვნა დედოფლისა ხელმწიფისაგან, რომ მოეყვანა თავის დედის ერთა შვილი და ეჩვენებინა.

ერთ ღამეს რა ლოგინათ მიბრძანდა ხელმწიფე, მოესიყვარულა, დაიწყო ლაპარაკი დედოფალთან და უთხრა: საყვარელო ჩემო, უნდა გაგიტყდე და გითხრა ჩემი გულის პასუხი, რომ ქვეყანაზედ შენსავით არავინ მიყვარს. უთხრა დედოფალმა: თუ მართალია თქვენი ბრძანება, მცირე რამ მაქვს სათხოვნელი და უნდა ამისრულო. მაშინ გამოჩნდება თუ გექმნება ჩემი სიყვარული. უთხრა ხელმწიფემ: რასაც მთხოვ, აღგისრულებ საჩქაროთ. მოახსენა დედოფალმა: შენც ხედამ რომ ჩვენ შვილი არ გვეყოლა, ახლა გაგზავნე დააძახინე შენი შვილისათვის და მოაყვანინე, რომელიც მიგიცია ბრძენი ვეზირების ხელში; ვნახო და იმის ნახვით გავიხარო, ვიდრე უფალი ჩვენც გვალირსებს ერთ შვილს.

უპასუხა ხელმწიფემ: საყვარელო ჩემო, შვიდი წელიწადია რაც არ მინახამს ჩემი შვილი, მაგრამ შენის თხოვნის გულისათვის აღვასრულებ შენს თხოვნას. მაშინვე გაგზავნა ბრძანება ვეზირებთან და შეუთვალა, რომ დანიშ-

ნულს დღეს მოეყვანათ აუცილებელათ ხელმ-
წიფესთან თავისი დედის ერთა შვილი დიოკ-
ლეტიანე. ვეზირება როდესაც შეიტყეს ხელ-
მწიფის ბრძანება, თანახმა გაუხდნენ; ესენი
იმ ღამეს გამოვიდნენ გარში, შესხდეს ვარ
სკვლავებს, იცნეს და თქვეს: თუ დანიშნულს
დღეს წავიყვანოთ ყმარწვილი, ზარალი მიეცე-
მა, და ამ ნაირათ დიდ ფიქრში ჩაცვივდნენ ეს
ვეზირები, თურა ნაირათ მოეხერხებინათ, მა-
გრამ ბევრით თავიანთ ზიანი ერჩივნათ ხელ-
მწიფის შვილის ზიანს. დიოკლეტიანემ ნახა თა-
ვის გამზრდელები ამ ნაირ დაღონებაში, დაი-
წყო თითონაც დაღონება და ამბობდა თავის
გულებაში: რა შეხვდათ ჩემს მასწავლებელს,
რომ ამ ნაირ დაღონებაში არიან? კიდეც ეში-
ნოდა რომ ეკითხნა მიზეზი დაღონებისა. შე-
მდეგ გაბედა და ჰკითხა: ერთგულნო და ამა-
გდარნო ჩემნო გამზდელნო, გთხოვთ მითხ-
რათ მიზეზი თუ რისთვის ხართ დაღონებუ-
ლი? უპასუხეს ვეზირებმა: მამის თქვენისაგან
მოსულა ბრძანება და შენ დაუბარებიხარ, მაში-
ნვე გამოვედით ჩვენ და ვარსკვლავების ყურე-
ბით შევიტყეთ, რომ თუ მართლა დანიშნულს
დღეს წაგიყვანეთ, სიკვდილს ვერ გადურჩები,
იმისათვის დავღონებულვართ და არ ვიცით

როგორ ჰქნათ. უთხრა ყმაწვილმა: თუ შეძლება მეც მაჩვენეთ ის ვარსკვლავები, შესაძლებელია მეც გავიგო რამე. როდესაც ამ ვეზირებმა ყმაწვილს უჩვენეს ვარსკვლავები, შეხედა და ცხადათ ნახა რაც ეთქოთ თავის მასწავლებლებს და ვიდრე იმავე ვარსკვლავებს გაშტერებული უყურებდა, ნახა სხვა წვრილი ვარსკვლავები იმის გარეშემო, როგორც წიგნი დაწერილი და აჩვენებდა ვითომ უკეთუ ამ შვიდ დღეს არ ილაპარაკებს და მუნჯათ იქმნება, დარჩება ცოცხალი, მაგრამ შვიდ დღეს შვიდჯერ წაიყვანენ იმას სასიკვდილოთ და დიდის გაჭირვებით გადარჩება. როდესაც ნახა ყმაწვილმა ეს ვარსკვლავები, დაუმალა თავის მასწავლებლებს, აჩვენა იმ ვარსკვლავების გარემოვება და უთხრა: უკეთუ შეიძლება თქვენ იმ შვიდ დღეს დამიხსნათ ჩემი მამის ხელიდან სიკვდილიდამ, მე დავრჩები მუნჯათ და არ მოვკვდები, შეგიძლიანთ წამიყვანოთ. როდესაც მასწავლებლებმა ნახეს ეს ვარსკვლავები, გაიგეს, რომ ამის ნათქვამი იყო მართალი და ამბობდნენ: იკურთხოს სახელი უფლისა, რომ ამისთანა შნოება და ნიჭიერება მიეცი ჩვენს მოწაფეს, რათა ნამდვილი ბრძენი შექმნილა, თავისი სიბრძნით და ღვთის მოწყალებით შე-

იტყო თავისი სიკვდილი და გადარჩენის ილაჯი, და უთხრეს: უფლის ყოვლად შემძლებელის ძალით ყველანი ჩვენ თითო თითო დღეს დაგიხსნით შენ ამისთანა უმკაცრის სიკვდილის პირიდან. მაშინვე დაემზადნენ და გაემგზავრნენ ხელმწიფესთან.

როდესაც ხელმწიფემ შეიტყო მისვლა თავის შვილისა, იმათ წინ გამოვიდა დიდის ჯარით და სიმხიარულით. ყმაწვილმა რომ ნახა თავისი მამა, უთხრა მასწავლებელს: აჲა მოდის მამა ჩემი და თქვენ დაემზადენით თუ შესძლებთ, რომ დამიხსნათ იმ სიკვდილიდან, რომელიც მე მომელის. უთხრეს ვეზირებმა: ნუ შეგეშინდება, ღვთის მოწყალებით ჩვენ მზათა ვართ და არ დაგივიწყებთ, მხოლოდ შენ ალარ ილაპარაკო, მოსულის დრო შენი. მაშინ ხელმწიფე დიდის ანბით და ცხენოსანით მოვიდა, მისცა სალამი ამ ვეზირებს, და იტაცა ხელიდან თავისი შვილი გარდაეხვია, დაჲკოცნა და უთხრა: საყვარელო შვილო ჩემო, როგორა ხარ, რადგან დიდი ხანია არ მინახვიხარ

შვილმა მუხლი მოდრეკით თავი დაუკრა და არაფერი არ ელაპარაკა. ხელმწიფეს თავის გუნებაში ძრიელ გაუკვირდა და თქო: შე.

იძლებს ნასწავლი იყოს მასწავლებლებისაგან რომ ჩემის ჯარის წინ არ ილაპარაკოს. როდესაც მოვიდნენ პალატში, ხელმწიფემ დაიჭირა თავისი შვილი ხელიდან, წაიყვანა, და დასო თავის ახლო და უთხრა: შვილო ჩემო საყვარელო, როგორ გასწავლეს შენ მასწავლებლებმა? რა ისწავლე ამათგან? ყმაწვილმა კიდევ მუხლი მოუყარა, პატივი სცა, თავი დაუკრა და არაფერი არ უთხრა. გაკვირდა ხელმწიფე და თქო: შვილო ჩემო, ჩემთან რისთვის არა ლაპარაკობ? დედოფალმა რომ გაიგო ხელმწიფის შვილის მოსვლა, ძრიელ გაუხარდა და თქო: წავალ და ვნახავ იმას; ამოარჩია მოახლეებში რომელიც ლამაზი ჰყვანდა, თან წაიყოლია და წავიდა. ხელმწიფემ დედოფალი რომ ნახა დააბძანა თავის შვილთან. რა დედოფალმა ნახა და გაიცნო თავის ხელმწიფის შვილი, ხელმწიფემ უთხრა დედოფალს: არ ვიცი ამ ჩემს შვილს რა მოსვლია, რომ ჩემთან აღარა ლაპარაკობსო. უთხრა დედოფალმა: მომეცი მე ნება წავიყვანო ჩემს სადგომში დაველაპარაკები მაშინ უეჭველათ ესეც დამელაპარაკებაო. უთხრა ხელმწიფემ: მოდი შვილო ჩემო, ადექი და წადი დედა შენთანა. დიოკლეტინემ მაშინვე თაყვანი სცა თავის მამას და წავიდა

თავის დედის ნაცვალთან.

როდესაც დედოფალმა ხელმწიფის დედის ერთა შვილი დიოკლეტიანე წაიყვანა თავის ოთახში. უბრძანა ყველას, რომ გაშორებულ-იყვნენ, მაშინვე დაიჭირა ყმაწვილის ხელიდან, დასო თავისთან ლოგინის ახლო, დაუწყო ლაპარაკი და ეუბნებოდა: საყვარელო ჩემო დიოკლეტიანე, შემეტყო შენი სიმშვენივრე და არ მეჯერა. ეხლა ნამდვილათ ვნახე და ვიცან შენი ტურფა სახე და ჩემმა გულმა მიგიზიდა შენ. საყვარელო ჩემო დიოკლეტიანე, გაიხარე ჩემთან, რადგან შენის სიყვარულის გულისათვის შევინახე აქამდის თავი ჩემი; დაილაპარაკე ჩემთან, მითხარ მე რაც გინდოდეს და მე აღვასრულებ ყოველს შენს გულის წადილს. ეს რომ თქო, მოეხვია ყმაწვილს და უნდოდა ეკოცნა; მაშინვე ყმაწვილმა მოარიდა თავისი პირი და არ გაუშო საკოცნელათ. უთხრა დედოფალმა: გავგიჟდი შენის სიმშვენიერით, საყვარელო ჩემო დიოკლეტიანე, მოდი ერთად განვისვენოთ და განვისაროთ. მაგრამ ყმაწვილი უყურებდა დედოფალს თითქოს წყრომით, უთხრა დედოფალმა: ჰოი, საყვარელო ჩემო დიოკლეტიანე, თუ გრცხვენიან ჩემთან ლაპარაკისა, აიღე საწერელი და

კალამი, დაწერე და მაცოდინე შენი გულის პასუხები. ყმაწვილმა მაშინ აიღო ქაღალდი და დაწერა ამ ნაირათ:,, ჰოი დედოფალო, არ მწადიან მე რომ წავპილწო სახლი და ლოგინი მამისა ჩემისა, რადგანაც არაფერი სარგებლობა არ მექნება, დიდი ცოდოც იქნება უფლისა წინაშე; ამისათვის გთხოვ ძალას ნუ დამატან, რადგანაც ეგ საქმე შენ რომ მეუბნები, დიდი ზარალია და ცოდვა, ეგრეთვე სირცხვილია კაცთა წინაშე.,, და მისცა მაშინვე ეს წერილი დედოფალს. რა აიღო დედოფალმა ეს წერილი და წაიკითხა, მაშინვე შეჰყვირა დიდის ხმით, დაიხია ტანისამოსი, ხელის ფრჩხილებით ჩამოიგლიჯა თავპირი, ჩამოიდინა სისხლი, გაიღო თავი, გაიშალა თმები, გამოვარდა კარში და დაიწყო მაღლა ხმით კივილი--კიჟინი. გეხვეწებით, მიშველეთ ღვთის გულისათვის. რადგან ამ ხელმწიფის შვილს უნდა ჩემთან განსვენება და ავი საქმე, შეატყობინეთ ჩემს პატრონს, მოვიდეს და ნახოს ეს უბედური. მაშინვე მოსამსახურებმა შეატყობინეს ხელმწიფეს, ხელმწიფე მივიდა დედოფალთან და უთხრა: ჰოი საყვარელო ჩემო რას შვრები და რისთვის ჰყვირი მაგრე და სტირი? რა დაგემართა? უთხრა დედოფალმა: უფალო ჩე-

მო და პატრონო ჩემო ხელმწიფეო, მიშველე ეს უმარწვილი არ არის შვილი ჩემის პატრონისა, ეს ყოფილა ცუდი სული, ავმოქმედი, ქცევა ყოფით წამხდარი; როცა შინ შემოვიყვანე და ვცდილობდი მელაპარაკებინა, შეცრათ მომკიდა ხელი და უნდოდა ჩემთან ცოდვის დაჭერა, და როდესაც მე ნება არ დავრთე, დახია ჩემი ტანისამოსი და დამაგლიჯა პირის სახე ამ ნაირ უბედურათ როგორც მხედავთ, ჩემო ბატონო!

როდესაც ხელმწიფემ ნახა თავისი მეუღლის ტანისამოსი დაგლეჯილი და პირის სახე სისხლში ამობასრული, ირწმუნა იმისი სიტყვები და განრისხებულმან უბრძანა: წაიყვანეთ და გაუკითხავათ თავი მოჰკვეთეთ ჩემს შვილს დიოკლეტიანეს იმისთანა ალაგას, რომ ჩემმა თვალმა აღარა ნახოს მაგისთანა გარყვნილი შვილიო. რა ვეზირებმა ეს გაიგეს, ძრიელ შეწუხდნენ და რომელიც უფროსი ვეზირი იყო, უთხრა მეორეებს: ვეცადნეთ დავიხსნათ ჩვენი ხელმწიფის შვილი ამ განსაცდელისაგან, თორემ [illegible] ის [illegible], რაც მოუვიდათ ერთხელ მაიმუნებს, რომელთაც თავიანთ უფროსი მაიმუნის სიტყვა არ დაიჯერეს და გეტყვით ამ ამბავს, თუ უკეთესი ინებება,

თქვენც შეიტყუეთ ჩემი სიტყვები და რიგ რიგ-ათ ვეცადნეთ თითო დღეს გამოვიხსნათ ხელმწიფის დედის ერთა შვილი სიკვდილიდამ და დაიწყო არაკი: ერთ ტყეში დიდი ხნით სახლობდნენ მაიმუნები და ცხოვრობდნენ. ამ დროს ნახა ერთმა მოხუცებულმა მაიმუნმა ერთი ცხვარი. დაუძახა სხვა ახალ გაზდა მაიმუნებსა და უთხრა: ამოდენა მაიმუნი გამხდარვარ და მე ჩვენს სადგომს ტყეში ცხვარი არ მინახავს და ახლა ვხედავო. ეს კარგი ნიშანი არ უნდა იყოსო, მოდი დავიჯეროთ და გადავსახლდეთ ერთ სხვა ტყეში, თორემ დიდი უბედურება მოგვივაო. ყველამ დაიწყეს ამ მოხუც მაიმუნზე სიცილი და არც ერთმა დაუჯერა რომ სხვა ტყეში გადასახლებულიყვნენ.

ამ დროს იქაურ ხელმწიფეს ჰყვანდა ორი ძვირფასი თეთრი სპილო და ინახამდნენ დიდის ფარეზობით ამათთვის ცალკე გაკეთებულ სახლებში, მაშინ მინდორს გაუჩნდა ცეცხლი, მოეკიდა ცეცხლი ამ მოხუცებულ მაიმუნის ნათქვამ ცხვარს, რადგან დიდი ხნის გაუპარსავი იყო; ცხვარი ცეცხლიანი გაიქცა, შავარდა ამ სპილოების სადგომში, იქაც გაუჩინა ცეცხლი და ეს ძვირფასი სპილოები გარუჟდა ცეცხლმან. რა მაშინ ყველა ჰექიმებმა შეამოწმეს და

მოახსენეს ხელმწიფეს რომ მაიმუნის ქონი უეჭველად მოარჩენს ამ სპილოებსაო, ხელმწიფემაც გასცა ბძანება საცა მაიმუნი ენახათ, მოეკლათ. მოვიდნენ ამ მაიმუნების ტყეში და დაუწყეს ყველას ხოცვა და ჟლეტა. მაშინ ჰკითხა ერთმა მაიმუნმა ხელმწიფის კაცს: ამდენი ხანია ჩვენ აქა ვცხოვრობთ მამა--პაპით და ხმა არა ვის გაუცია ჩვენთვის დღემდისინაო და ახლა რა ანბავია რომ ესრე გაუკითხავათ გვხოცამთო? უპასუხა ხელმწიფის კაცმა: ერთი ცხვარი ცეცხლ წაკიდებული შამოვარდა ჩვენის ხელმწიფის ძვირფას სპილოებთანა, იმათაც ცეცხლი გაუჩინა და სპილოები გაირუჟდნენ ცეცხლისაგანაო და იმისათვის გაასწავლეს ჰქიმებმა მაიმუნის ქონი წამლათა და იმიტომა გხოცავთო; მაშინ მოაგონდათ იმ მოხუცებულის მაიმუნის სიტყვა და თქვეს: თუ ჩვენ იმისათვის დაგვეჯერებინა, ამ დღეში აღარ ჩავცვივდებოდითო. ეგრეთვე მე ამოდენა გამხდარვარ და ხელმწიფის შვილის ამ ნაირათ სიკვდილი არ მინახავსო, ეს კარგი ნიშანი არ უნდა იყოს და ამისათვის თქვენც თუ არ დამიჯერებთ ჩვენც მოგვივა იმ მაიმუნების ოინიო.

მაშინ ყველა ვეზირები თანახმა გაუხდნენ დაემზადნენ, მოვიდნენ ერთად ხელმწიფესთან

დაუჩოქეს და მოასხსენეს: ჩვენო მაღალო ხელმწიფეო, თქვენი შვილი დედის ერთა არის და არა გყავთ სხვა შვილი რომ თქვენი მემკვიდრე იყოს თქვენს შემდეგ და ამისათვის არა სჯობსო რომ გაუკითხავათ და გამოუძიებლათ მოაკვლევინოთ თქვენი დედის-ერთა შვილი მცირე საქმისათვის, თქვენი შვილი არა დაპარაკობს არ იცით მართლად სიკვდილის ღირსია თუ არა; ამისათვის შეგიძლიანთ ხვალამდის საპატიმროში ამყოფოთ და შემდეგ გამოიძიოთ და თუ ღირსი იქმნება სიკვდილისა მოაკვლევინოთ; და არა თქოს ხალხმა რომ ხელმწიფე განრისხებულ იყო და გაუკითხავათ მოაკვლევინა თავის დედის ერთა შვილიო.

როდესაც ხელმწიფემ გაიგო ეს სიტყვები ამ ვეზირებისაგან და მცირედ დაწყნარდა, უბრძანა: წაიყვანეთ დაამწყვდიეთ ხვალამდის რომ გამოვიძიო და სამართლით მოვკლესო.

დედოფალმა რომ შეიტყო ხელმწიფის შვილი არ მოეკლათ და ჯერ დამწყვდეულიაო, დაიწყო ტირილი და კივილი იმისთანა მაღლა ხმით რომ ყველა მუნ მყოფმა კარის კაცებმა შეიტყეს და ხელმწიფეს აცნობეს. გამობრუნდა ხელმწიფე დედოფალთან და უთხ-

რა: ჰოი საყვარელო ჩემო, რა დაგემართა, რომ მაგრე მწარეთა სტირიო? დედოფალი მაშინვე ჩავარდა ხელმწიფის ფეხქვეშ და ეუბნებოდა: ნუ თუ არ იცით რა ქნა თქვენმა დაწყევლილმა შვილმა, როგორ დამიჭირა და გამაუპატიურა, როგორც თქვენ თითონა მნახეთ და მიბძანეთ რომ მწარის სიკვდილით მოვასპობინებ იმის სიცოცხლესაო და ჯერაც ცოცხალი არის? უთხრა ხელმწიფემ: იმისათვის დავამწყვდივე ხვალამდის, რომ უნდა ვეზირების წინ გამოვიძიო და თუ ღირსია სიკვდილისა, მაშინ მოვაკვლევინო დიდის წვალებითა.

მოახსენა დედოფალმა: უკეთუ შენი შვილი დარჩება ცოცხალი, მაშინ შენც ისე მოგივა, როგორც ერთ კარგ ხილის მიმცემ ხეს მოუვიდა თავის ძირში ამოსულ პატარა ყლორტისაგან.

უთხრა ხელმწიფემ: მითხარი ეგ ანბავი. მოახსენა დედოფალმა: უნდა მოგახსენოთ ეს არაკი თქვენ კარგათ შეისმინეთ და თუ ღირსი ვიყო აღმისრულეთ თხოვნა ჩემი.

## პირველი არაკი დედოფლისა ხელმწიფესთან, რომლითაც დააჯერა ხელმწიფე რომ მოეკლა თავის დედის ერთა შვილი.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი კაცი და ჰქონდა მშვენიერი სამოთხესავით ბაღი; ამ ბაღში იდგა ერთი ხე იმისთანა მშვენიერი, რომ ყოველ წელიწადს აძლევდა მრავალს ნაყოფებს და იმის ნაყოფს იმისთანა ძალა ჰქონდა რომ ყველა სატკივრის წამალი იყო. ერთ დღეს მოვიდა პატრონი თავის ბაღში და იმ ხეს რომ შეხედა, ნახა ერთი პატარა ყლორტი იმავე ხის ძირში ამოსულიყო; დაუძახა მებაღეს და უთხრა: უპატრონე ამ ყლორტს, რადგანაც იმედი მაქვს, რომ ამ ყლორტიდან მეტ ნაყოფს მივიღებთ ვიდრე ამ დიდი ხიდანაო. შემდეგ რამდენიმე ხანისა მოვიდა კიდევ ამ ბაღის პატრონი თავის ბაღში და რომ ნახა ის ხის ყლორტი აღარ გაზრდილიყო, დაუძახა მებაღეს და ჰკითხა: ეს ხის ყლორტი რათ არ იზრდებაო? უპასუხა მებაღემ, ეს ხე ძლიერ დიდია და მაღალი, არ უშვებს იმ პატარა ყლორტზე მზის შუქს, იმისათვის არ იზრდებაო. უთხრა ბაღის პატრონმა: მოსჭერ ამ ხის ტოტები, რომ ამ პატარა ყლორტზედ მივიდეს მზის შუქი და გაიზარდოსო, ეს უთხრა და წავიდა. და მებაღემ აასრულა პატრონის ბრძანება.

ბაღის პატრონი კიდევ მოვიდა და ნახა

ის პატარა ყლორტი კიდევ არ გაზრდილიყო, დაუძახა მებაღეს და უთხრა: ახლა მაინც რატომ არ იზრდება როგორც მინდაო? უპასუხა მებაღემ: არ არის საკვირველი, რომ არ იზრდება, რადგან ამ ხის სიმაღლე არ უშვებს ამაზედ მოვიდეს ცის ნამი ანუ წვიმაო, იმისათვის აღარ იზრდებაო. უთხრა ბაღის პატრონმა: მოსჭერ ეგ ხე, უკეთესია ეს პატარა ყლორტი გაიზარდოს ვიდრე დიდი ხე. ეს თქო და წავიდა. მებაღემ აასრულა ბატონის სიტყვა და ის ყლორტიც მაშინვე გახმა.

მცირე ხნის შემდეგ კიდევ მოვიდა ბაღის პატრონი თავის ბაღში და რომ ნახა ეს პატარა ყლორტიც გამხმარი, გაკვირდა, რადგან პატარა ყლორტის ძალი იყო დიდი ხისაგან, ეს ხე რომ მოსჭრეს, ყლორტიც სრულებ გახმა. ამ ნაირათ უგონობით გაასხმეს ეს ხე და ბევრი საწყალი და სატკივრიანები სწყევლიდნენ ამ ხის გამხმობს, რადგან ვეღარა მოულობდნენ იმის მკურნალე ნაყოფს.

ჰკითხა ხელმწიფემ: ვის მიამგზავსე ეს ხეო? უპასუხა დედოფალმა: ეს დიდი და სასარგებლო ხე თქვენ ბძანდებით, რომლისაგან ბევრი შეწუხებულნი და სატკივრიანნი რჩებიან და ხარობენ, მაგრამ თქვენი შვილი ცდი-

ლობს, რომ თქვენ დაგაბოლოვოთ და თვითონ თავის უფლათ იხელმწიფოს, და მაშინვე თითონაც დაბოლოვდება, როგორც ის ხის ყლორტი და ისრე მოისპობა თქვენი სახელმწიფო; მაშინ შენ მიიღებ მრავალი შეწუხებულების და საწყლების წყევლას, რადგან აღუთქვი მოგეკლა შენი მაზარალებელი შვილი და არ ასრულე.

მაშინ თქო ხელმწიფემ: კარგი არაკი მითხარი, მაგრამ ჩემი შვილი ველარ მიზამს ისრე, როგორც მებადემ იმ ხეს უყო. რა გათენდება მაშინვე გაუკითხავათ მივცემ მწარეს სიკვდილს. უთხრა დედოფალმა: თუ გამიგებთ და მოაკვლევინებთ, იმედია უკეთესათ და დინჯათ იცხოვრებთ და შეინახოთ სახელმწიფო თქვენი.

## პირველი ვეზირის ზღაპარი ხელმწიფესთან, რომლითაც დაიხსნა სიკვდილიდამ დიოკლეტიანე.

რა დილა გათენდა და ხელმწიფე დაბძანდა თავის ტახტზე სამართლისათვის, გასცა ბრძანება, რომ წაეყვანათ თავისი დედის-ერთა შვილი და გაუკითხავათ მოეკლათ, გამოიყვა-

ნეს საწყალობელი ხელებ გაკრული და მიჰყვა-
ნდათ ქალაქის გარეთ მოსაკლავად. მაშინ პირ-
ველი ვეზირი მოვიდა ხელმწიფის კაცებს უთ-
ხრა რომ ყმაწვილის სიკვდილი არ დაეშურე-
ბინათ და თითონ წავიდა ხელმწიფესთან, მის-
ცა სალამი და დაუჩოქა, მაგრამ ხელმწიფემ
დიდის განრისხებით დაუძახა: ჰოი უკეთურო,
შენც არ დარჩები ცოცხალი ხვალამდის, მო-
გეცით ჩემი შვილი თქვენ ენიანი და მოლა-
პარაკე გასაწყურთნელათ და სასწავლისათვის, და
თქვენ ხელში გამხდარა სრულებით უენო და
უმეტეს ლირბი, რომ კიდეც სდომებია ჩემს
მეუღლესთან შეცოდება; ამისა თვის აჯა დღეს
მოკვდება ისა და თქვენც შემდეგ მოგისპობთ
სიცოცხლეს მწარის სიკვდილით.

უპასუხა ვეზირმა: უენობა თქვენის შვი-
ლისა არ არის ჩვენგან, რადგან ჩვენთან კარ-
გათა ლაპარაკობდა და ასლა რომ მუნჯია, ი-
ცის მარტო ღმერთმა თუ რისთვის არის. რომ
ბრძანებთ თქვენ მეუღლესთან სდომებია შეც-
ოდება, ეგ სრულათ ტყუილია, რადგან მე ვი-
ცი რომ ის მაგისთანა საქმეს არ შესცდება
და უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით მოაკ-
ვლევინებთ თქვენს დედისერთა შვილს, მაშინ
უარესი მოგივათ იმ კაცზედ, რომელმაც თა-

ვის ცოლის სიტყვით მოკლა თავის საყვარელი შვილის სიკვდილიდან დამსხნელი ძაღლი.

უბძანა ხელმწიფემ: მითხარ ეგ არაკიო. მოახსენა ვეზირმა: ჯერ უბრძანეთ თქვენი შვილი დროებით უკან დააბრუნონ სიკვდილიდან და მე მოგახსენებთ ამ არაკს; თუ მოგეწონოთ დაიხსენით ყმაწვილი და თუ არა ნება თქვენი აღსრულდეს. მაშინ ხელმწიფის ბრძანებით ყმაწვილი უკან დააბრუნეს და ვეზირმა დაიწყო დაჩოქილი ხელმწიფის წინაშე არაკი:

იყო ერთი კაცი ძრიელი და სახელოვანი, ამასა ჰყვანდა ერთი პატარა დედის ერთა შვილი, როგორც თქვენი შვილი, რომელიც უყვარდა და სამი მოახლე ემსახურებოდა იმას: პირველი ზრდიდა და აჭმევდა; მეორე ჰბანდა და აცმევდა; მესამე არწევდა აკვანს და დაამინებდა. იმავე კაცსა ჰყვანდა ერთი კარგი ძაღლი, რომელიც ძრიელ უყვარდა; ამ ძაღლს ჰქონდა იმისთანა ჩვეულება, რომ რა ნადირსაცა ნახამდა, გამოუდგებოდა და ვიდრე არ დაიჭერდა, არ გაუშვებდა, და როდესაც დაიჭერდა, დადგებოდა ერთ ალაგს და ვიდრე პატრონი არ მოვიდოდა და არ გამოართმევდა არავის დაანებებდა. ამავე ძაღლსა ჰქონდა ერთი ხასიათიც, გაიგებდა შემდეგს, ესე იგი რო-

დესაც პატრონს ენდომებოდა სადმე წასვლა უკეთუ კეთილი იყო ის მგზავრობა, მოვიდოდა ის ძაღლი და სამჯერ გაითამაშებდა პატრონის წინ, და უკეთუ ის მგზავრობა ცუდი იყო, არ გამოჩნდებოდა პატრონის წინ და არც გაუთამაშებდა, მაგრამ დაღონებული დაუწყებდა პატრონს ყურებას და ეს კაცი ამ ნაირათ შეიტყობდა ცუდსა და კარგს მგზავრობას. ამავე კაცსა ჰყვანდა კიდევ სახლში ერთი ქორი, რომელსაც ჰქონდა ეს ჩვეულება: როდესაც ამის პატრონი სანადიროთ გამოვიდოდა, არასოდეს ცარიელი არ დაბრუნდებოდა და რადგან ფრინველის უკან რომ გაუშვებდა ამ ქორს, აუცდათ დაიჭერდა და მოუყვანდა პატრონს; ამისათვისეს ქორიც ამ კაცს ძრიელ უყვარდა.

ერთ დღეს ეს კაცი დაპატიჟებულ იქმნა სხვასთან მეუღლით და მოახლებით წავიდა და ყმაწვილი გაუშო აკვანში ამ ძაღლის ანაბარა შესანახსათ. ძაღლსაც ეძინა აკვნის ახლო, ქორი იჯდა სახლში ერთი ხის ნაჭერზე და უყურებდა აკვანს: ამ დროს სახლის დირეში ყოფილიყო ერთი დიდი გველი, ამ გველმა რომ სახლში ხმაურობა ვერა გაიგონა, გამოვიდა, მოვიდა აკვანთან და უნდოდა ყმაწვილის მო-

კვლა; ქორმა ნახა რომ გველი მიდის აკვანისკენ და ძაღლი ღრმა ძილში იყო, დაიწყო ფთების შემორტყმა ისრე ძრიელათ, რომ ძაღლს გამოეღვიძა; ძაღლმა თვალი გაახილა, ნახა გველი ყმაწვილის აკვანთან; გაჯავრებული ძაღლი მივარდა ამ გველს, დაეხვია ძაღლსა გველი, ცდილობდა ყმაწვილის მოკლას. ძაღლი ცდილობდა გველის მოკლას და იმდენი იჩხუბეს ერთმანერთთან, რომ იმათი სისხლისაგან აკვნის გარეშემო ყველგან შეიღება. მაშინ ძრიელ განრისხებულმა ძაღლმა მივარდა გველს და ამათ ამისთანა ჩხუბში აკვანი გარდაიქცა, მაგრამ ყმაწვილს ზიანი არ მიეცა და ძაღლმა იმდენი ჰცადა, რომ ეს გველი მოკლა და ყმაწვილი გაასთავისუფლა. მიუჯდა ეს საწყალობელი ძაღლი ამ ყმაწვილის აკვანს და გახარებული ილოკამდა გველის მიცემულ იარებს.

რომდესაც წვეულობა დააბოლოვეს და მოახლეები დაბრუნდნენ სახლში და ნახეს აკვანი გარდაქცეული და აკვნის გარეშემო სისხლით სავსე, ეგონათ ამ ძაღლს ეს ყმაწვილი უჭამიაო და უგონო დიაცებმა არ ააყენეს აკვანი, რომ ენახათ მართლა ყმაწვილი შეჭმული იყო თუ ცოცხალი, და უთხრეს ერთმანე-

რის: მოდით გავიქცეთ თორემ ჩვენც მოგ-ვკლავს ჩვენი ბატონი ყმარწვილის მაგივრათ. როცა მირბოდნენ, დახვდნენ თავიანთ ქალბა-ტონს, ჰკითხა ქალბატონმა: რა არის, რა და-გემართათო? უპასუხეს მოახლეებმა: ძაღლს შე-უჭამია ჩვენი ბატონის საყვარელი შვილი, ეხ-ლა ვაი მოგვსვლია ჩვენ, არ ვიცით რაღა გვე-შველებაო. რომ გაიგო ქალბატონმა, დაეცა მი-წაზე პირქვე კარებთან, დაიწყო მაღლა ხმით ტირილი და გოდება. მაშინვე მოვიდა სახლის პატრონი კაცი, ნახა თავის მეუღლე ტიროდა უწყალოთ მწარის ცრემლით, ჰკითხა მიზეზი ტირილისა და მაშინ უთხრა ქალმა: ვაი მოგ-ვსვლია ჩვენ, რომ შენს საყვარელს ძაღლს შე-უჭამია შენი დედის ერთა შვილიო. როდესაც კაცმა გაიგო თავის მეუღლისაგან ეს სიტყვები, შევიდა ამ ოთახში, სადაც იყო ყმარწვილი. ძა-ღლმა რა დაინახა თავის პატრონი, მივარდა სიხარულით და ეხვეოდა ფეხებზე, უხაროდა თავის პატრონთან, მითომ მოვკალი შენი საყ-ვარელი შვილის მტერი გველიო და გავანთა-ვისუფლე შენი შვილიო და ახლა საჩუქრის ღირსი ვარო, მაგრამ ამის უფიქრელმა პატ-რონმა ამოიღო ხმალი, დაარტყა ამ პატიოსან ძაღლს და შუაზე გაკვეთა. ამ ნაირათ მოკლა

ამისთანა ჯამაგდარი მაღლი, შემდეგ წავიდა ყმაწვილის აკვანთან. ნახა ყმაწვილი იყო ცოცხალი და უმზნევლათ და ამავე აკვანთან ერთი დიდი მოკლული გველი. მაშინ ბევრი ინანა ამ პატიოსან მაღლის სიკვდილზე, მაგრამ რაღას უშველიდა. დაბრუნდა, მაღლს შეხვდა ძრიელ დაკოდილი იყო, აღარ მორჩებოდა. გაიგო რომ ამ მაღლს ის გველი მოეკლა და ყმაწვილი დაესხნა სიკვდილიდან, მაგრამ რაღას უშველიდა. ქორმაც ნახა, რომ თავის პატრონმა ეს უსამართლობა მოიმოქმედა, გაუწყრა, ძრიელ, მაშინვე გაწყვიტა ფეხიდან თოკი, გაიქცა, გაფრინდა და უკან აღარ დაბრუნდა პატრონთან. მაშინ ამ კაცმა იგრძნო თავის უკეთური მოქმედება და თქო: აფსოს რომ ჩემის მეუღლის სიტყვით მოვიმოქმედე ამისთანა უსვინდისო და უსამართლო საქმეები და ჩავარდი დიდს ცოდოებშიო. მაშინვე ადგა, ფეხშველა ფეხით წავიდა ერთ უდაბნოში თავისი ცოდოების მოსანანიებლათ და სიკვდილამდის იქ დარჩა.

მაშინ მოახსენა ხელმწიფეს ვეზირმა: ხომ გაიგეთ მაღალო ხელმწიფეო, რაც მოგახსენეთ და შეისმინეთ დიაცის სიტყვით რაც წარმოდგაო.

უთხრა ხელმწიფემ: გავიგე და ძრიელაც მომეწონაო. მოახსენა ვეზირმა: ჭეშმარიტი მოგხსენდებათ, რომ უკეთუ თქვენც თქვენის მეუღლის სიტყვით გამოუძიებლათ და გაუკითხავათ მოაკვლევინებთ თქვენს დედის ერთა შვილსა, უმეტესი შეცდომება ჰქმნებათ იმ კაცზე, რომელმაც ძაღლი მოკლაო,

უბრძანა ხელმწიფემ: დღეს აღარ მოვაკვლევინებ ჩემს შვილს შენის სიტყვით, ვიდრე გამოვიძიებ ნამდვილს. მაშინ ვეზირმა დიდი მადლობა გარდაუხადა ხელმწიფეს და გამოვიდა.

როდესაც შეიტყო დედოფალმა, რომ ყმარწვილი კიდევ სიკვდილიდან გადარჩა, დაიწყო დიდის ხმით ტირილი და თმების გლეჯა, ვითრე წავიდნენ კარის კაცები და შეატყობინეს ხელმწიფეს

მაშინ ხელმწიფე შევიდა თავის მეუღლესთან და უთხრა: რისთვის ხარ ასრე დაღონებული და მტირალიო? უთხრა დედოფალმა: ნუ თუ არ იცით თქვენ, რა ნაირი სირცხვილი და უნამუსობა მაჩვენა თქვენმა დაწყევლილმა შვილმა. და თქვენ დამპირდით, რომ მოგეკვლევინებინათ და კიდევ ცოცხალი არის, ნამდვილს მოგახსენებთ თქვენ, რომ თქვენც მო-

გივათ თქვენი შვილისაგან ისრე, როგორც მოუვიდა ერთ მეცხვარეს გარეულ ღორისაგან. უთხრა ხელმწიფემ; საყვარელო ჩემო დედოფალო, გთხოვ მითხარ ეგ არაკი და აღვასრულებ შენს თხოვნას.

## მეორე ზღაპარი დედოფლისა მეცხვარე და გარეულ ღორზე, რომლითაც დააჯერა ხელმწიფე, რომ მოეკვლევინებინა თავის დედის ერთა შვილი.

+ ერთ ქვეყანაში იყო ერთი ხელმწიფე და ჰქონდა ერთი დიდი ტყე, რომელშიაც იყო უთვალავი ხილის ხეები და კრკოსი; იმავე ტყეში იყო ერთი დიდი გარეული ღორი, რომელიც თავისუფლად დადიოდა სჭამდა ამ ხეების ნაყოფებს და ამის შიშით ვერ გაევლო კაცსა ამ ტყეში, და რომელიც კი მივიდოდა, ეს ღორი მაშინვე მივარდებოდა და შუაზე გააპობდა თავისი დიდრონი ეშვებით და მოჰკლამდა. იმ ქვეყნის ხელმწიფეს მობეზრდა ამისაგან და გასცა ბძანება თავის მთელ სახელმწიფოში რომ ვინც მოჰკლამდა იმ ღორს, თავის სახელმწიფო აღუთქო იმას და თავის ქალიც დაჰპირდა ცოლათ. ვერავინა ჰბედამდა იმის ახლო

მისვლას, ყველას ეშინოდა იმისაგან. ამ დროს იყო ერთი მეცხვარე; იფიქრა და თქვა თავის გულში: თუ მოვკლა მე ის ღორი, არა თუ მარტო ჩემთვის კარგი იქნებაო, არამედ ყველა ჩემი ნათესავისათვის და საყვარლებისათვისაც იქმნება სამხიარულოვო: პირველათ წავალ ხელმწიფესთანა და ვნახავ, თუ მოვკლა ის ღორი, მართლა ასრულებს თავის აღთქმას, თუ არა. მაშინვე ეს მეცხვარე წავიდა ხელმწიფესთან და უთხრა: დიდო და მაღალო ხელმწიფევო, თუ მოვკალ ის ღორი, მომცემთ და აღმისრულებთ თქვენს აღთქმას თუ არა? მაშინ ხელმწიფემ შეხედა და უთხრა: უკეთუ მოკლავ და მოსპობ იმ ღორს, არა თუ მოგცემ მარტო ჩემს ქალს მეუღლეთ, არამედ ჩემი მთელი სახელმწიფოც შენ დაგრჩება ჩემს შემდეგ.

მაშინ ამ მეცხვარემ მადლობა გარდაუხადა ხელმწიფეს, გამოვიდა, აიღო ხელში ერთი მეცხვარული ჯოხი და წავიდა იმ ტყეში, სადაც ეს ღორი იყო. რა ღორმა დაინახა ეს მეცხვარე, წამოვიდა ამისაკენ და უნდოდა თავისი დიდი ღრჯოლებით ეს კაცი დაეგლიჯა, მაგრამ მეცხვარე მაშინვე გაიქცა და ავარდა ერთ ხეზე. ღორი მივიდა ხესთან და დაუწყო

კბილებით თხრა ხის ძირში და უნდოდა ეს ხე ძირს დაეცა. ნახა მეცხვარემ, რომ ეს ხე უნდა გადმოქცეულიყო; ამ ხეზე იყო ტკბილი და გემოვანი ნაყოფები, დაუწყო კრეფა და ჩამოყრა ძირს. ღორმაც რა ნახა ეს ნაყოფები, დაანება თავი ამ ხის ძირის თხრას და დაუწყო ამ ხილს ჭამა, ვიდრე გაძღა და წამოწვა იმავე ხის ძირში.

როდესაც ნახა მეცხვარემ რომ ღორი წამოწოლილიყო, ნელნელა ჩამოვიდა ამ ხიდან და ერთი ხელით ისევ ხეზედ იყო მოჭიდებული და მეორე ხელით დაუწყო ამ უშველებელ ღორს ფხანა, რომ ვინიცობა იყო ამდგარიყო ეს ღორი, მაშინვე ისევ ავარდებოდა ხეზე. იმდენი ფხანა, ვიდრე ღორი გაუყუჩდა და შევიდა ღრმა ძილში. მაშინ მეცხვარემ ამოიღო თავისი ხმალი და დაკლა ეს ღორი ამ ნაირი საქმით შეირთო ხელმწიფის ქალი ცოლათ და შემდეგ ამ ხელმწიფისა დაინარჩუნა მთელი ამისი სახელმწიფოც; და უთხრა დედოფალმა ხელმწიფეს: ხომ შეიტყეთ, მაღალო ხელმწიფეო, და იგრძნეთ ამ არაკის ჰაზრი? უპასუხა ხელმწიფემ: დიახ გავიგე და ძრიელაც მომეწონა. უთხრა დედოფალმა: ეხლა აგიხსნით ამ არაკს: გარეული ღორის სიძლიერეს ანიშ-

ნებს თქვენს შეძლებას და ძლიერებას, რომლისაც არავის არ შეუძლიან სპორი და ქიშპობა. მეცხვარე ნიშნამს შენს დაწყევლილ შვილს, რომელიც თავისი ჭკვიანის ჯაზრით მოსულა თქვენთან. როგორც იმ მეცხვარემ დაფხანით დაამინა ის ღორი დი მოკლა, იგრეც შენი დაწყევლილი შვილის მასწავლებლები გაფხანენ და გამინებენ ტკბილის ზღაპრებით და ცრუ სიტყვებით, ვიდრე შენც დაგამინებენ და დაგაბოლოვებენ და შენს დაწყევლილ შვილს დასომენ ხელმწიფეთ თქვენს ალაგას. უთხრა ხელმწიფემ: ღმერთმა ნუ მოიყვანოს ის დღე რომ ჩემმა შვილმა მე მომკლას, როგორც მეცხვარემ ის ღორი. აჯა ის ცოცხალი აღარ დარჩება, როგორც შენც გინდა, გაუკითხავათ მოვაკვლევინებ. უთხრა დედოფალმა: უკეთუ მალე მოაკვლევინებთ, დიდი სიკეთე გელოდებათ თქვენ, რადგან არ არის ის ღირსი სიცოცხლისა, არამედ დასჯისა და სიკვდილის ღირსია.

მეორეთ წაყვანა ხელმწიფის შვილისა სასიკვდილოთ და მეორე ვეზირის არაკი ხელმწიფის წინაშე, რომლითაც დაიხსნა ხელმწიფის შვილი სიკვდილიდან.

კიდევ გასცა ხელმწიფემ ბრძანება, რომ წაეყვანათ თავისი შვილი ქალაქის გარეთ და გაუკითხავათ მოეკლათ. როდესაც ხელებ გაკრული მიჰყავდათ ქალაქის გარეთ, მაშინ მეორე ვეზირი დაუხვდა წინ ამათ და სთხოვა, რომ არ დაემშურებინათ ამისი სიკვდილი და თითონ მსწრაფლად შეიჭრა ხელმწიფესთან, წინ დაუჩოქა და თაყვანი სცა. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: ჭოი, უსვინდისო და ავო კაცო, შენც არ დარჩები ცოცხალი ჩემის ხელიდან. მოგვეცით ჩემი შვილი თქვენ მოლაპარაკე და ენიანი სწავლისათვის და გონების შესაზენათ; ეხლა შექმნილა ის თქვენს ხელში უენო და უგონო, ზედ მეტი კიდევ რომ მოუნდომებია ჩემის მეუღლის გაუპატიოება; ამისათვის დღეს მოკვდება ის და შემდეგ თქვენც ერთად მოგისპობთ სიცოცხლეს. უპასუხა ვეზირმა: მაღალო ხელმწიფეო, თქვენ ბრძანებთ, რომ თქვენი შვილი უენოა, მაგრამ რისათვისაც არის უენო. ეგ ღმერთმან იცის, უნდა თავის

დროზედ გაესხნას ენა და ილაპარაკოს; კიდევ ბრძანებთ მითომ თწვენს შვილს სდომებია თქვენი დედოფლის უპატიობა; ეგ სრულებ ტყუილი მოგხსენებიათ, რადგან თქვენს მეუღლეს უკეთუ ის თქვენი შვილი ცხრა თვე მუცლით ეტარებინა, მაგისთანა ცილებს არ დასწამებდა იმას; ახლა, მაღალო ხელმწიფეო, ამას მოგახსენებთ მარტო, რომ უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით მოაკვლევინებთ თქვენს დედის ერთა შვილს, მაშინ უარესი მოგივათ იმ კაცზედ, რომელიც თავის ცოლის გულისათვის დასაჯეს საქვეყნიეროთ. უთხრა ხელმწიფემ: მითხარ ეგ ზღაპარი, თუ როგორ მომხდარა? უპასუხა ვეზირმა: ვიდრე მე აქ ამას მოგახსენებთ, თქვენს შვილს მოჰკლამენ; ამისათვის გთხოვთ დროებით უბრძანოთ უკან დააბრუნონ თქვენი შვილი და როდესაც ეს ანბავი მოგხსენდებათ, მაში ნება თქვენი აღსრულდეს; თუ ღირსი იქმნება სიკვდილისა, მაშინაც შეგიძლიანთ მოაკვლევინოთ და თუ არა, იქმნება თავის უფალი. მაშინ უბრძანა ხელმწიფემ, რომ თავისი შვილი დაებრუნებინათ სიკვდილიდამ, და ვეზირმა დაიწყო ზღაპარი:

ერთ ქალაქში იყო ერთი მოხუცებული

კაცი, რომელსაც ცოლათ შაერთო ერთი ახალ გაზრდა ქალი, როგორც თქვენს უმაღლესობას უთხოვნია ჯეჭელი ქალი, და ძრიელ უყვარდა; მუდამ ღამ დაუკეტამდა კარს და გასაღებს შეინახამდა თავის ბალიშის ქვეშ. ეს კაცი რადგან იყო ძრიელ დროული და არ ჰქონდა შეძლება ხორციული ვალი ცოლქმრობისა გარდაეხადა. ამისათვის ის უგონო ქალი ჰყვარობდა სხვას, და მუდამ ღამეს, როდესაც დაიძინებდა თავისი მეუღლე, გამოაცლიდა ჩუმათ კარის გასაღებს, გააღებდა კარს და წავიდოდა თავის სატრფოსთან, რომ აესრულებინა ამისი ნება; და როდესაც აასრულებდა, დაბრუნდებოდა თავის ქმართან. ერთ ღამეს, როდესაც დაეძინა ამის ქმარს, გამოვიდა ჩვეულებისამებრ თავის საყვარელთან. როდესაც ქმარს გამოეღვიძა, ვეღარა ნახა თავისი მეუღლე ლოგინში, და ნახა კარი გაღებული, დაკეტა გაამაგრა, ავიდა ბანზე და დაუწყო ყურება, რომ ენახა იმისი მოსვლა. რა მოა[illegible]ა მამლის ყივილის დრომ, ნახა თავისი მეუ[illegible] მოდიოდა საჩქაროთ, რომ ყარაულებს არ [illegible]ნახათ კარში (იქ იმ დროს იყო ჩვეულობა, რომ მამლის ყივილის დროს სამჯერ ზარს დარეკამდნენ და შემდეგ კიდენ თუ ვისმეს

ნახამდნენ კარში. დაიჭერდნენ საპატიმროში, მეორე დღეს წაიყვანდნენ ქალაქის გარეთ და საქვეყნიეროთ დაახრჩობდნენ). ამ დედაკაცს რა კარები დაკეტილი დახვდა, ძრიელ შაეშინდა და ფიქრობდა თუ რა ექნა, და შემდეგ დაუწყო კარებს გაბედვით რახუნი. მაშინ ქმარმა დაუძახა: ჯოი, ეშმაკო და მაცდინარო დიაცო, ეს რამდენჯერ უნდა გცადო, რომ მისდიხარ ჩემის ლოგინიდან, ეშმაკობ სხვაგან და მოსდიხარ. ნამდვილს გეტყვი, მანდ უნდა დარჩე, ვიდრე ყარაულები მოვლენ, გიპოვნიან კარში, წაგიყვანენ საპატიმროში და ხვალიდან დასახრჩობი ხარ და კიდეც დაგახრჩობენ საქვეყნიეროთ. ეუბნებოდა დედაკაცი: უფალო და პატრონო ჩემო, რისთვის მეუბნები მაგისთანა სიტყვებს? ნამდვილს მოგახსენებ, რომ მეძინა შენთან ლოგინში, იმ დროს მოვიდა დედი ჩემის მოახლე, დამიძახა და მითხრა, რომ დედა შენი ძრიელ შეწუხებულიაო და შენი ნახვა უნდაო, მაშინ მეც აღარ მოვინდომე შენი გაღვიძება ტკბილის ძილიდან, წაველი დედა ჩემთანა, ვნახე და მალე დავბრუნდი ისევ შენთან; იმდენი დაშურებით წამოველი, რომ დაღლილი სირბილისაგან აღარა მაქვს ფეხზე დგომის ილაჯი, ეხლა გეხვეწები, გამიღე კა-

რი, რომ შამოვიდე, არ მოვიდნენ ყარაულები და არ დამიჭირონ. ეუბნებოდა კაცი: ნამდვილს გეტყვი, რომ არ გაგიღებ, უკეთესია, მოვიდნენ ყარაულები და დაგიჭირონ. ეუბნებოდა დედაკაცი: ღვთის გულისათვის გეხვეწები, გამიღე კარები და შამიყვანე, თორემ სირცხვილსა დი უნამუსობას მომიყვან მეცა, ჩემს მშობლებსაც და ჩემს გვარეულობასაც. ეუბნებოდა კაცი: მოიგონე, რამდენჯერ გააუნამუსოვე ჩვენი ლოგინი შენის ცუდი მოქმედულობით; უკეთესია აქ სარციელათ ეწვალო, შენი ცოდვა მოინანიო, ვიდრე საიქიოს ჯოჯოხეთში ეწვალო. ეუბნებოდა დედაკაცი: ჰოი საყვარელო ჩემო პატრონო, იესო ქრისტეს ხათრისათვის გამიღე კარი და შემომიშვი სახლში, თორემ აღარ არის შორს ამ კარებიდან ჩვენი ჭა, თუ არ გამიღებ, წავალ ჩავარდები ამ ჭაში და დავიხრჩობი. ეუბნებოდა კაცი: ადრე იყავ დასახრჩობი და გვიან იხრჩობი. ეს თქვა, მთვარეც ამოვიდა. უთხრა დედაკაცმა: გინდა ჩემი დახრჩობა და დავიხრჩობი, მაგრამ მანამ არ დამხრჩვალვარ ვიზამ ანდერძს, პირველათ ჩემს სულს მივანდობ ჩვენს გამჩენ უფალს და წმ. ქალწულ მარიამს; შემდეგ გთხოვთ, ჩემი ლეში როდესაც ამოი-

ღოთ ამ ჭიდან, დამარხოთ წმ. ბარბარეს ეკლესიის ეზოთ; და თუ რამე მაქვს, ის შენ იცი ჩემო ბატონო, როგორც გინებოს, ისე ქენი. ეს თქო და წავიდა ჭასთან; აქ იყო ერთი დიდი ქვა, აიღო ორი ხელით და ჩააგდო ამ ჭაში. კაცმა რომ გაიგო ჭაში ჩავარდნილი ქვის ხმა, ეგონა თავისი მეუღლე ჩავარდა ჭაშიაო, და თქო: აფსოს თუ რა მოვიმოქმედეო, ჩემი ცოლი დაიხრჩოვო, და მაშინვე გააღო კარი, გამოვიდა ჭასთან, ეგებ ეშველა რამე. მაშინ დედაკაცი დამალულიყო კარების უკანა თაღჩაში. რა კაცი გამოვიდა, დედაკაცი შევიდა მაშინვე, დაუკეტა კაცს შიგნიდან კარები და ავიდა მაღლა ბანზე. ამ დროს ეს კაცი იდგა ჭასთან, ტიროდა და ამბობდა. ვაი ჩემს თავს, რომ დავკარგე ჩემი მეუღლე, ვაი ჩემს თავს რომ ვერ გაუღე კარი. მაშინ ზევიდან დედაკაცი სიცილით იძახდა ჭოი, დაწყევლილო მოხუცო, ამ დრომდის რას აკეთებ კარში? ნუ თუ არ გეყოფი მე, რომ წახვალ ამ დრომდის, დაეთრევი ცუდ საქმეებზე, ეხლა შენ ეგ მაგფერის? კაცმა რომ გაიგო დედაკაცის ხმა ეუბნებოდა: კურთხეულ არს სახელი ღვთისა რომ შენ ცოცხალი დაგინახე, ეხლა გამიღე კარი, შემოვიდე, რისთვის დაკეტე კარი? მინ-

დოდა ცოტა დამერიგებინა შენთვის ჭკვაზე, შემეშინებინე და შემდეგ გამეღო შენთვის კარი. ეუბნებოდა დედაკაცი: ვინმემ თავის ამხანაგს რომ ორმო მოუთხაროს, თითონ ჩავარდება იმ ორმოშიო. შენ არ გინდოდა ჩემთვის კარი გაგეღო, მეც აღარ გაგიღებ შენ ვიდრე მოვლენ ყარაულები და დაგიჭერენ. ყველა ავ მომქმედს სხვაც ავი ჰგონია. შენ რომ დაზდიხარ ცუდ საქმეებზე, გეგონა მეც იმის მომქმედი ვიყავი, ამისათვის ნამდვილს გეტყვი, მანდ დარჩები ვიდრე ყარაულები ჩამოივლიან და დაგიჭერენ. ეუბნებოდა კაცი: ნუ თუ არ გეშინიან ღვთისა? მაგისთანა ჭორებს როგორ ამბობ ჩემზე? ამ ქალაქში დავბერდი და დღემდის ჩემზე კაცს არ უთქვამს, რაც შენ ამბობ, და უკეთუ მე ხვალ საქვეყნიეროთ შემარცხვენენ, ნუ თუ სირცხვილი არ იქმნება ჩემთვის და შენთვის, ჩვენი გვარისათვის? ამისათვის გთხოვ გამიღო კარი. ეუბნებოდა დედაკაცი: არ გაგიღებ, ნუ ეცდები, ნუ მეხვეწები უბრალოთ, უკეთესია აქ ეწვალო შენი ცოდვისათვის, ვიდრე საიქიოს იტანჯო ჯოჯოხეთში. ეუბნებოდა კაცი: ჰოი საყვარელო ჩემო მეუღლევ, ღმერთი მოწყალეა შემბრალებელი, ღვთის გულისათვის გეხვეწები გამიღე

კარი და შემდეგ აღარ ვიზამ, რასაც ამბობ ჩემზე. ვიდრე ამას ეხვეწებოდა კაცი, მოვიდა დრო, მოვიდნენ ყარაულები, დახვდათ ეს მოხუცი კარში, ჰკითხეს: ამ დროს რას აკეთებ კარშიო? ვიდრე ეს კაცი ამათ უპასუხებდა, დედაკაცმა იქიდან დაიწყო მაღლა ხმით ყვირილი: ჩემო ძმებო, გეხვეწებით, დაიჭირეთ ეგ უსვინიდისო და თქვენ იცით როგორც დასჯით თავის ცოდვის შესაფერათ, რადგან მუდამ ღამ დატანჯული ვარ მაგისაგან; მუდამ დამანებებს თავს და წავა უსვინიდისოებში; ამდენ ხანს მოვითმინე და არ გავაცხადე, ეგებ მოიშალოს მეთქი, დღემდის არ მოიშალა ეხლა თავის სასჯელი თითონ იპოვნა. ყარაულებმა მაშინვე წაიყვანეს ეს საწყალობელი იმ ღამეს საპატიმროში და მეორე დღეს დასაჯეს საქვეყნიეროთ, როგორც ჩვეულება ჰქონდათ.

ამ დროს მოახსენა ვეზირმა ხელმწიფეს: ხომ გაიგეთ ეს არაკი როგორი იყო, მაღალო ხელმწიფეო? უთხრა ხელმწიფემ: დიახ შევისმინე, რომ იმ დაწყევლილმა და უსვინიდისო დედაკაცმა ძალათ მისცა თავისი ქმარი მწარე სატანჯველს.

მოახსენა ვეზირმა: ნამდვილს მოგახსე-

ნებთ, მაღალო ხელმწიფეო, რომ თუ თქვენის მეუღლის სიტყვით მოჰკლამთ თქვენს შვილს, უმწარესი იქმნება შენთვის იმ მოხუც კაცზე. ბრძანა ხელმწიფემ: ჭეშმარიტს ბძტყვი რომ აღარ მოვკლამ დღეს ჩემს შვილს შენის სიტყვით. მოახსენა ვეზირმა: უკეთუ მე შემისმენთ და თქვენს შვილს აღარ მოაკვლევინებთ, დიდი სიკეთე შეგხვდებათ თქვენ ეს იქო, თავყვანი სცა ხელმწიფეს და გავიდა.

როდესაც გაიგო დედოფალმა რომ დღესაც გადარჩომილა უმზნეველათ ხელმწიფის შვილი, შევიდა თავის სადგომს და ტიროდა დიდის გოდებით და ამბობდა: ვაი ჩემს თავს რომ ვერ შევიძელ ერთი თხოვნა შემესრულებინა ჩემის ხელმწიფისათვის. ამ ნაირი მწარეს ცრემლით ოხრავდა და ტიროდა ვიდრე მოსამსახურეებმა აცნობეს ხელმწიფეს. გამოვიდა ხელმწიფე, წავიდა იმის სადგომში და უთხრა: საყვარელო ჩემო რას სტირი ასრე მწარეთ? მოახსენა დედოფალმა: თუ შენი საყვარელი ვყოფილვიყავ ჩემს თხოვნას აასრულებდი, და გულით მე რომ ესრე არ მიყვარდე, არც იქნებოდა ჩემთვის ამ რიგათ საწყენი. ჩემი გულის დარდი დიდი არის რადგან შერცხვენილი გამიშვით ქვეყანაში და არ დასაჯე შე-

ნი დაწყევლილი შვილი რომლის ქცევასც თითონ ნახეთ თქვენის თვალით, მაგრამ შენ ყურს უგდებ შენი შვილის მასწავლებლებს; და არ იცით თუ ისინი შენთვის რასა ფიქრობენ, მაგრამ მე უფრო მიყვარხართ და მინდა თქვენი სიკეთე, მაგრამ თქვენ არ გესმით; ამისათვის შენც იგრე დაგემართება, როგორც დაემართა იმ ერთ კაცს, რომელმაც თავის შვილს თავისი ხელით ყელი გამოსჭრა. უთხრა ხელმწიფემ: მითხარ, საყვარელო ჩემო, რა უყო იმისთანა შვილმა თავის მამას? უთხრა დედოფალმა: მოგახსენებთ ამაზედ ერთ კარგ არაკს და თქვენ კარგათ შეისმინეთ, და დაიწყო:

### მესამე არაკი დედოფლისა, რომლით დააჯერა ხელმწიფე, რომ მოეკვლევინებინა თავისი შვილი.

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი დიდი სახელოვანი კაცი და ამას ჰყვანდა ერთი ვაჟიშვილი და ორი ქალიშვილი; და ამ კაცს უყვარდა თამაშობა იქამდისინ რომ თავისი ყოველი ქონება და სიმდიდრე წააგო თამაშაში და ძრიელ დაღარიბდა. ამ დროს იმავე ქალაქში ხელმწიფობდა ერთი სახელათ ოკტავიანე.

ხელმწიფე, რომელიც უკეთესი დიდი და ძრიელი ხელმწიფე შეიქმნა თავის წინაპარებზედ. ამან შეაგროვა ძრიელ ბევრი ოქრო და ვერცხლი, გააკეთა ორი მაღალი კოშკი, ერთი აამსო ოქროთი და მეორე ვერცხლით და მიანდო შესანახავათ ყარაულებს. მაშინ იმ გაღარიბებულმა კაცმა დაუძახა თავის შვილსა და უთხრა: აჰა ეხლა მე გავღარიბდი და მინდა გავყიდო, რაც მაქვს ჩემი ყოველი მემკვიდრობა და უკეთუ გავყიდი ჩემს სიკვდილის შემდეგ შენც დაიკარგები და შენი დებიც შენთან. უთხრა შვილმა თავის მამას: ეხლა იფიქრეთ თუ ამისათვის რა ვქნათ? რომ ვიყვნეთ კეთილ ცხოვრებაში და ჩვენი მემკვიდრობაც არ გაიყიდოს. უთხრა მამამ: შვილო, მე ვიცი რომ ჩვენს ხელმწიფეს აქვს ორი კოშკი: ერთი სამსე ოქროთი და მეორე სამსეა ვერცხლით, წავიდეთ და მოვიპაროთ და იმით ვიცხოვროთ, ნუღარ გავყიდით ჩვენს მამულებსა. ერთ ღამეს ამ სიტყვაზედ შვილი და მამა წავიდნენ კოშკში ოქროს ამოსაღებათ და როდესაც შევიდნენ, რამდენიც შეიძლეს აკიდება, აიღეს და წამოვიდნენ.

მეორე დღეს ყარაულებმა ნახეს კოშკი, რომ გაღებული იყო და წაეღოთ ოქროები.

საჩქაროთ წავიდნენ ხელმწიფესთან და უამბეს ყოველი, რომ გაღებულია კოშკი და ვიღაცეებს მოუპარავთ ოქროებიო. უთხრა ხელმწიფემ მე არ მენაღვლება, ის ოქროები თქვენგან იქნება მოპარულიო. ყარაულები გამოვიდნენ ხელმწიფისაგან და ფიქრობდნენ თუ რა ექნათ. მაშინ იმათგან ერთმა თქო: მოდი, ვიყიდოთ ჩვენ ერთი ქვაბი და დავმარხოთ კოშკის შიგნით კარებთან, ავავსოთ კუპრით და უკეთუ მეორეთ მოვა ის ქურდი, ჩავარდება იმ ქვაბში, კუპრიდან ვეღარ ამოვა და ვნახამთო. ეგრეც აასრულეს და გამართეს ქვაბი.

რამდენიმე ხნის შემდეგ, კიდევ გადარიბდა ის კაცი და შემოაკლდა ოქროები, მოვიდა იმავე კოშკიდან ფულის გასატანათ თავისი შვილით, მაგრამ მამა წინ მიდიოდა და შვილი უკან მისდევდა; და როდესაც შევიდა შიგნით კოშკის კარებში, ჩავარდა იმავე ქვაბში და ღრმათ წელამდის დაიმარხა შიგ და ვეღარ ამოვიდა. დაიწყო მაღლა ხმით ბღავილი ამ კაცმა ქვაბიდან და ამბობდა: ნუ მოხვალ შენ აქეთ, რადგან ვეღარ გახვალ. უთხრა შვილმა: მოვალ და დაგიხსნიო, და მე თუ ვერ გიშველი სხვასაც მოვიყვან რომ გიშველოთ და მაინდან ამოგიყვანოთო, რადგან მანდ რომ შენ გიპო-

ვნობ, გიცნობენ და ჩვენც ყველას გაგვწყვე-ტამენო. უთხრა მამამ: ღმერთმა ნუ ქნას რომ მოვიდნენ და გაიგონ თუ მე ვინა ვარო; ამისათვის უკეთესი იქმნება მარტო მე დავიღუპო და მოვკვდე, არამც თქვენც ჩემთან დაგღუპოთ ყველანიო. აიღე ერთი ხმალი და მომჭერ თავიო, რადგან როცა მოვლენ და მნახავენ, უთავო ვიქმნები და ვერავინ მიცნობს თუ ვინა ვარო. უთხრა შვილმა: ეგ კარგი მითხარიო და ამოიღო ხმალი, მოსჭრა მამას თავი და ჩააგდო ერთ დიდ ორმოში, და როცა წავიდა სასლში, უანბა თავიანთ თავზედ გარდასავალი თავის დებსა, იმათაც რომ გაიგეს თავიანთ მამის სიკვდილი, დაიწყეს გოდება და ტირილი მაღლა ხმით.

მეორე დღეს მოვიდნენ ყარაულები და ნახეს ერთი კაცი მკვდარი ჩავარდნილი კუპრის ქვაბში და თავი არა ჰქონდა. წავიდნენ მაშინვე და უამბეს ხელმწიფეს. მაშინვე უბრძანა ხელმწიფემ რომ ის მკვდარი კაცის ლეში მოებათ ერთ ცხენის კუდზე და ისრე თრევით ეტარებინათ კარდაკარ და რომელი სახლიდანაც გამოვიდოდა ტირილის ხმა, ის იქნებოდა იმ სახლიდან. იგრეც აასრულეს როგორც ხელმწიფემ უბრძანა და ატარებდნენ ბაზარ ბაზარ

და კარ და კარ, ვიდრე მაიყვანეს და მივიდნენ პირველში იმ კვდარი კაცის სახლთან. რა ამის ქალებმა ნახეს თავიანთი მკვდარი მამა, მაშინვე დაიწყეს მწარეს ცრემლით ტირილი და მაღლა ხმით. თუმც გაიგეს ამ მკვდარის მატარებლებმა ამ ტირილის ხმა, მაგრამ მკვდარის ვაჟიშვილმა აიღო ერთი მჭრელი დანა, ღრმათ გაიჭრა ხელი და უთხრა: ჩემი დები სტირიან ჩემზე რომ ხელი ძრიელ გამეჭრაო. ყარაულებმა დაიჯერეს ამის სიტყვა, დაბრუნდნენ უკან, წაიღეს მკვდარის ლეში და რომ ვეღარ გაიგეს ვისი იყო ეს მკვდარი, წაიღეს და ჩამოჰკიდეს ერთ ხეზე. ესლა, მაღალო ხელმწიფეო, იმ დაწყევლილმა შვილმა რომ მოსჭრა თავი თავის მამას და აღარ დაასაფლავა თავისი მამის ლეში. ხომ გაიგე ეს არაკი.

უპასუხა ხელმწიფემ: დიახ გავიგე.

უთხრა დედოფალმა: მეშინიან უფალო ჩემო ხელმწიფევ, შენც არ დაგემართოს იმაზედ უარესი.

უპასუხა ხელმწიფემ: კარგი მაგალითი მომხსენდა საყვარელო ჩემო, ის შვილი დაწყევლილი ყოფილა, რომ მოუჭრია თავისი მამის თავი და ლეშიც არ მიუბარებია მიწისათვის. ნამდვილს გეტყვი რომ ჩემი შვილი მე

ვერ მიჰსამს იგრე, რადგან ხვალ ადრიანათ მივსცემ იმას მწარე წვალებით სიკვდილს.

**მესამეთ მიჰყავთ ხელმწიფის შვილი სა-სიკვდილოთ და მესამეთ წაგა მესამე ვე-ზირი დაიხსნის არაკით.**

მესამეს დღეს ხელმწიფე დაბძანდა თავის სახელმწიფო ტახტზედ, დაუძახა დამსჯელებს და უბრძანა: გამოიყვანეთ შვილი ჩემი საპა-ტიმროდან, ქალაქზედ გაატარეთ და წაიყვანეთ მოსაკლავათ და მალე განაშორეთ იმისი თავი ტანიდან, როგორც ეკუთნის მაგისთანა ცოდ-ვილს. მაშინვე მსაჯელი მოვიდა, გამოიყვანა, და შეუკრა უკანიდან ხელები და წაიყვანეს, გაა-ტარეს ქალაქზე. უკანიდან იძახდნენ ყველანი: რომელიც მოინდომებს თავის დედის ნაცვალ-ზე მაგისთანაებს, ეგრე ტანჯვით სიკვდილის ღირსია.

ვიდრე მიჰყვანდათ ხელმწიფის შვილი, დაეწია ვეზირი, განრისხდა ამ მსაჯელზე, შეასხ-ნევინა ხელები დიოკლეტიანესი, უთხრა მცირე ხანს შეაგვიანებინა დასჯა ხელმწიფის შვილისა და თითონ საჩქაროთ წავიდა ხელმწიფის სად-გომს; შევიდა ხელმწიფესთან და თაყვანი სცა.

მაშინ ხელმწიფემ დიდის განრისხებით უთხრა: შენც ჩემს შვილთან უნდა დაისაჯო ხვალიდან-ვე, რადგან მოგეცით მე ჩემი შვილი ენიანი და მოლაპარაკე, რომ გეჭეწურთნათ და ყოველი სასწაული შეგესწავლებინათ, მაგრამ ეხლა ვხედამ ჩემს შვილს გაჩუმებულს და პირუტყვათ შექმნილს; და კიდევ ზედ მეტი უსვინიდისოთ გარდაქცევა თქვენგნით, რომ მოუნდომებია კიდეც შეცოდება ჩემს მეუღლესთან და ჩემი სიკვდილი. ამისათვის დღეს ის დაისჯება მწარე სიკვდილით და ხვალიდან კიდევ თქვენ იხილამთ თქვენს სიკვდილს თქვენივე თვალით.

მოახსენა ვეზირმა: მაღალო ხელმწიფეო, უენოთ შექმნა თქვენის შვილისა ღვთისაგან არის მიცემული, რადგან ის არის რომელიც ყრუს აძლევს სმენას და მუნჯს აძლევს ენას; და ნამდვილათ ვიცი რომ თქვენი შვილის სიმუნჯე არ არის მართალი. თუმც უნდა რომ ილაპარაკოს, მაგრამ ჯერ დრო არ არის. რომელსაც ბრძანებთ რომ მოუნდომებია ცოდოს მოქმედება თქვენს მეუღლესთან, ეგ თუ მე მირწმუნებთ, ტყუილი მოგონილება არის ამაზედ; ის მაგ საქმეს არ იზამდა, რადგან ქვეყანაზედ არაფერი ცუდი არ არის დედაკაცის სიცუდე-

ზედ უარესი. და გაჩვენებთ თუ დედაკაცის მოქმედულებას საზოგადოთ, როგორი ურწმუნოებას არის და ტყუილი მოლაპარაკეები ყოფილან.

თქვენც დაგემართებათ ისრე, როგორაც დაემართა ერთს, რომელმაც თავისი ცოლის ტყუილი ლაპარაკით მოკლა თავისი საყვარელი თუთიყუში.

უბრძანა ხელმწიფემ: მითხარ დედაკაცები როგორი ტყუილი მოლაპარაკები არიან და თუთიყუშის ამბავიც. მოახსენა ვეზირმა: მე ვერ ვიტყვი და ვერც ვეცდები, ვიდრე მე ამ არაკს ვიტყოდე თქვენს შვილს იქ მოჰკლამენ და რა სარგებლობა ექმნება ჩემს არაკს? მაშინვე გასცა ბძანება ხელმწიფემ რომ დაებრუნებინათ უკან ხელმწიფის შვილი სიკვდილიდან, ვიდრე დაასრულებდა ვეზირი თავის არაკს თუთიყუშზე და დაიწყო ვეზირმა:

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი კაცი აზნაური და სახელოვანი და ამას ჰყვანდა ერთი თუთიყუში, რომელიც იყო ნასწავლი და გაწურთნილი იქამდისინ, რომ როგორც კაცი ისრე სწორეთ ლაპარაკობდა; და ეს თუთიყუში რასაც ნახამდა ანუ გაიგებდა, ეუბნებოდა ყველას თავის პატრონს. იმავე კაცსა ჰყვანდა

ქრთი ცოლი მრიელ მშვენიერი და ახალგაზ და ამ დედაკაცს არ უყვარდა თავისი მეუღლე, მრიელ ეჯავრებოდა და სხვებსა ჰყვარობდა. როდესაც კაცი წავიდოდა სადმე საქმისათვის, მაშინვე ეს დედაკაცი დაუძახებდა თავის საყვარელს და ერთათ დროებას ატარებდნენ. როდესაც მოვიდოდა კაცი, მაშინვე უანბებდა ყველას დაწვრილებით ეს თუთიუში და ეუბნებოდა ვინც მოდიოდა იმის ცოლთან და ერთათ განისვენებდნენ. იქამდისინ გავრცელდა ეს ანბავი, რომ მთელმა ქალაქმა გაიგო ამათი ამბავი და ამ დედაკაცის მოქმედობა. ამისათვის ეს კაცი ბევრჯელ დაარიგებდა თავის მეუღლეს და ეუბნებოდა: რისთვის შვრები მაგ საქმესაო? ეუბნებოდა ცოლი: ღმერთმა ნუ ქნას ბატონო ჩემო, რომ მე მაგისთანა საქმის მოქმედი ვიყო, მაგრამ შენ იჯერებ მაგ დაწყევლილი თუთიყუშის სიტყვას. ვიდრე ეგ ცოცხალი იქნება, ჩვენ სიმშვიდე და სისრული არ გვექნება, რადგან შენ მაგის ტყუილებს უჯერებ. უთხრა კაცმა: დედაკაცო, შენ ხომ იცი რომ ის ტყუილს არ მეტყვის, რასაც ნახამს და გაიგებს, იმას მეტყვის. ერთ დღეს ეს კაცი ჩვეულებისამებრ გამოვიდა და წავიდა თავის საქმეზე, მაშინათვე დედაკაცმა

გაგზავნა ბიჭი და დაუძახა თავის მეგობარს. და როდესაც დაღამდა, მოვიდა მეგობარი შიშით და კრძალვით, მაგრამ დედაკაცმა უთხრა: ნუ გეშინიან შემოდი გაბედულობით, აქ არავინ არის რომ გნახოს. მაშინ უთხრა მეგობარმა: თქვენი თუთიყუში მნახავს და ყველას ეტყვისო. უთხრა დედაკაცმა: მოდი და ნუ შეგეშინდება, ამაღამ მე ამოვიყრი მაგის ჯავრს. როდესაც გაიგო თუთიყუშმა ამათი ლაპარაკი, უთხრა: ჰეი, შე უბედურო კაცო, ჩემს პატრონს შენ ღალატობ და იმის მეუღლის ლოგინში წვები; თუმც ღამეში ვერა გხედავთ, მაგრამ რა საქმეზედ ხართ მე სულ მესმის, და როდესაც ჩემი პატრონი მოვა, ვეტყვი ყველას დაწვრილებით.

მამლის ყივილის დროს გამოვიდა დედაკაცი, დაუძახა თავის მოახლეს და უთხრა: ადი ბანზე, გამოხვრიტე ბანი თუთიყუშის თავზედ, იქიდან ჩამოყარე მიწა და ქვიშა და დაასხი ბლომათ წყალი. მოახლემაც იგრე აასრულა და იქამდისინ შეაწუხა, საწყალობელი თუთიყუში კვდარ ცოცხალი შეიქმნა. გათენდა დილა ამ დედაკაცის მეგობარი ადგა ლოგინიდან და წავიდა თავის სადგომს.

იმავე დღეს ამ დედაკაცის ქმარი მოვიდა

სახლში, ნახა თავის საყვარელი თუთიყუში და ჰკითხა თუ როგორ არის და ან როგორ გაატარა წარსულ ღამეებში დროება. უპასუხა თუთიყუშმა: როდის შენ წაბრძანდი შენს საქმეზე, იმ ღამეს მოვიდა შენს მეუღლესთან იმისი მეგობარი და იმასთან ქმნა მთელი ღამე; და მე რომ ვნახე ეს გარემოება, მაშინ დაუწყე ლანძღვა იმ კაცსა და უთხარი რომ როცა ჩემი პატრონი მოვა, ყველას მოვახსენებ დაწვრილებით მეთქი, მაგრამ მე რომ წუხელ მეწუხება ვნახე, ისრე არ დამმართვია; სიკდილს ძლივ გადურჩი, რადგან იმდენი სეტყვა და წვიმა მოვიდა ჩემს თავზედ რომ კვდარცოცხალი შევიქენი.

როდესაც დედაკაცმა შეიტყო ამ თუთიყუშის სიტყვები, უთხრა თავის ქმარს: მიკვირს შენი ჭკვისაგან რომ უჯერებ მაგ ტყუილ მოლაპარაკე თუთიყუშს. აჰა ამბობს მითომ ამაღამ სეტყვა და წვიმა იყოვო, რომელიც ამა ღამისთანა მოწმენდილი ჰაერიც არა ყოფილაო; თუ მე არ დამიჯერებ, ჰკითხე ყველა მეზობლებსა და მართალს შეიტყობო. კაცი მაშინვე გამოვიდა, ჰკითხა მეზობლებს და იმათ უთხრეს, რომ მართლაც იმ ღამეს სხვა ღამეებზედ უკეთესი მოწმენდილი იყოვო. მო-

ვიდა კაცი და უთხრა თავის მეუღლეს: მართალი გამოხვედი შენაო, რადგან ამაღამ უფრო მოწმენდილი ყოფილა სხვა ღამეებზე.

მაშინ უთხრა დედაკაცმა: ჰოი კეთილო და საყვარელო ბატონო ჩემო, მართალს გეტყვი, რომ ეგ შენი თუთიყუში ძრიელ ტყუილი მოლაპარაკეა, იქამდისინ რომ, ჩვენს სახლში ჩააგდო ყოველი შფოთი, უკმაყოფილება და არეულობა, და შეგვარცხვინა მთელს, ქალაქში და მასხარა შევიქენით ყველასი მაგისაგან და გავხდით ყველას სალაპარაკო.

მაშინვე კაცი წავიდა თუთიყუშთან და უთხრა: ჰოი თუთიყუშო, რისთვის მომატყუე და დაივიწყე ჩემი სიკეთე შენთვის, რომ მე ჩემის ხელით გაძლევდი საჭმელს, მაგრამ შენ შენის ტყუილი ლაპარაკით, ჩააგდე ჩემი მეუღლის და ჩემს შუა უკმაყოფილებას, შეგვაძულე ერთმანერთს და გაგვხადე მთელი ქალაქის და ქვეყნის სალაპარაკო.

უპასუხა თუთიყუშმა: იცის ღმერთმა რომ ჩემში ტყუილი არ არის არას დროს. რაც მინახამს და გამიგია, ის მითქომს. ტყუილი შენი იმით დავამტკიცე, რომ მითხარ: ამაღამ ჩემს თავზე წვიმა და სეტყვა მოვიდაო, და ამისთანა ტყუილებით შეგვაძულე მე და ჩემი მე-

უღლე. მაშინ ძრიელ განრისხდა ეს კაცი აიღო ეს თუთიყუში და გაუკითხავათ მაშინათვე თავი მოჰკვეთა და მოკლა.

ამ კაცის ცოლმა ეს რომ ნახა, ძრიელ გაუხარდა და უთხრა თავის მეუღლეს: ეხლა მადლობა ღმერთს, ჩვენში სიმშვიდე ჩავარდება, რადგან ძლივს მოკალი ეგ ტყუილი მოლაპარაკე თუთიყუში. შემდეგ ცოტა ხნისა ამ კაცმა გაიხედა გამოიხედა, ნახა ამ თუთიყუშის თავზე ბანი გახვრეტილი, კიბე მიდგმული დარჩომილიყო. ბანზე ავიდა და ნახა ერთი ჭურჭლით წყალი იდგა და იქვე მრავალი ქვიშა და მიწა და გაიგო რომ ცოლს ექნა ესე, და დაინანა ძრიელ ამ თუთიყუშზე რომ თავის ცოლის სიტყვით მოკლა ამისთანა კარგი და მშვენიერი ფრინველი. და მაშინათვე იმ კაცმა გაყიდა თავისი ყოველი საცხოვრებელი, წავიდა შორს ქვეყანაში და აღარ დაბრუნდა თავის ცოლთან. შემდეგ უთხრა ვეზირმა ხელმწიფეს: ხომ შეიტყე, მაღალო ხელმწიფეო, რაც მოგახსენეთ. უთხრა ხელმწიფემ: დიახ გავიგე და ჭკვაშიც მომივიდა შენი არაკი. უთხრა ვეზირმა: თუ შენის მეუღლის სიტყვით მოაკვლევინებთ თქვენს დედის ერთას, უარესი დაგემართებათ თქვენ იმ კაცზედ, რომელიც მოკ-

ხსენდათ. უთხრა ხელმწიფემ ვეზირს: კარგი გამაგონე და გაანქარვე მცირედ ჩემი გული და შენის სიტყვით ჩემი შვილი დღეს აღარ მოკვდება. უთხრა ვეზირმა: მეც მადლობას შემოგწირავთ, რომ შეისმინეთ ჩემი სიტყვები და დაიხსენით თქვენი შვილი სიკვდილიდან. მადლობა გარდაუხადა ხელმწიფეს და გამოვიდა, წავიდა თავის სადგომში.

როდესაც შეიტყო ხელმწიფის მეუღლემ რომ დღესაც გადარჩენილა სიკვდილიდან ხელმწიფის შვილიო, დაიწყო კივილი და ტირილი მაღლა ხმით, რომ ყველამ გაიგო და მოსამსახურებმა შეატყობინეს ხელმწიფეს დედოფალის მწუხარება. მაშინვე იმასთან შევიდა ხელმწიფე და უთხრა: რისთვის სტირი მაგრე მაღლა ხმით? უთხრა დედოფალმა: მე შენი მეუღლე ვარ, რომელიც ჰროვმის სემწიფე ხარ და შვილი ვარ დიდის ხელმწიფისა. ახლა გამხადე შენი დაწყევლილი შვილის გულისა, რომელმაც დააგდო ძირს ჩემი პატივი და გამხადა ქვეყნის სალაპარაკო; რომელიც დამპირდი რომ უნდა მოეკლა, მაგრამ ჯერაც ცოცხალია. მე როგორ უნდა ტირილისაგან დავწყნარდე და ან ვიცოცხლო ქვეყანაში. ეხლა უკეთესია ჩემთვის სიკვდილი არამედ ამისთანა შეწუხების

და უპატიობის მიღება. უთხრა ხემწიფემ: მე ძრიელ მოწადინე ვიყავ თქვენის სიტყვის ასრულებისა და გუშინ უბრძანე იმისი სიკვდილი, მაგრამ მოვიდა ერთი ჩემი ვეზირი, მითხრა ერთი ზღაპარი და დამაჯერებინა; ამისათვის დღესაც ვეღარ მოვაკვლევინე და დარჩა ხვალისათვის. უთხრა დედოფალმა: შენ იმდენს უყურებ შენს ვეზირებს და იმათ სიტყვაზე გაივლი, ვიდრე დაგემართებს იმ ერთ ხელმწიფესავით, რომელსაც ჩაებარებინა თავისი ქალაქი ვეზირებისათვის.

უთხრა კეისარმა: ჰოი დედოფალო ჩემო, გთხოვ რომ მიამბო ეგ ზღაპარი თუ როგორ მომხდარა. უთხრა დედოფალმა: რისთვის უნდა ამდენი ვიშრომო ანუ გითხრა რამე? უკეთუ ვიცოდე რომ ჩემ ზღაპარს ექმნება ყურადღება და რამე სარგებლობა, მაშინ გეტყოდი. უთხრა ხემწიფემ: რა სარგებლობა გინდა შენ? ნუ თუ გავანთავისუფლებ სიკვდილიდან ჩემს შვილს? მცირედ დავაგვიანე იმისი სიკვდილი ვეზირის გულისათვის, რომელმაც ეგრეთვე მითხრა ზღაპარი. უთხრა დედოფალმა: ვეზირების სიტყვები შენს სიკვდილს მოიყვანს, მაგრამ ჩემი სიტყვები დაგიხსნიან შენ მრავალს განსაცდელისაგან, ამისათ-

ვის შეისმინეთ ჩემი სიტყვები და შეინახეთ თქვენს გულში, რადგან თქვენთვის იქმნება გათილი და დაიწყო ზღაპარი:

## მეოთხე არაკი დედოფლისა, რომელიც მოახსენა თავის მეუღლე კეისარს.

იყო ერთი ძრიელი და სახელოვანი ხელმწიფე და ჰყვანდა შვიდი ბრძენი და ამ ხელმწიფეს ჩაებარებინა თავისი სახელმწიფო ამ ბრძენებისათვის და ესენი ინახავდნენ ამის სახელმწიფოს თავიანთ განკარგულებით და ბრძანების ქვეშ, და ხელმწიფე უამათოთ ვერაფერს იზამდა როგორც ეხლა შენ. ამ ბრძენებმა თავიანთ ხელმწიფეს უყვეს ერთი თვალთმაქცობა ამ ნაირათ: როდესაც პალატში იქმნებოდა ეს ხელმწიფე, ყველასა ხედავდა; როდესაც პალატიდან გამოვიდოდა, დაუბნელდებოდა თვალის სინათლე. ეს თვალთმაქცობა ამ ბრძენებმა ხელმწიფეს იმისათვის უყვეს რომ როგორც ნდომებოდათ ქვეყანა ისრე შეენახათ. ერთხელაც თავიანთში სცადეს რომ მოერჩინათ ხელმწიფე და უწინდელივით თვალის სინათლე ჰქონოდა, მაგრამ ვერ შეიძლეს. ეგრეთვე ბრძანება ჰქონდათ ხემწიფისაგან, რომ უკეთუ ვი-

სმეს ნანახი სიზმარი აეხსნათ, დაასაჩუქრებდა ლიტრა ოქროთი, რადგან სიზმარი აუხსნა, და თუ არ აეხსნათ, ორი იმოდენი მტრავი უნდა მიეცათ ხემწიფისათვის. ამ ნაირათ ბევრი განძი მოაგროვეს. ერთ დღეს დამჯდარ იყო ხემწიფე თავის დედოფალთან და ძრიელ დაღონებული იყო. — უთხრა დედოფალმა: მაღალო ხელმწიფეო, რას ხარ დაღონებული? მაშინ უამბა ხემწიფემ თავის თვალის სიბნელეზედ. უთხრა დედოფალმა: როგორც დაგარიგო ისე ქენი და მორჩებიო. შენს პალატში გყავს შვიდი ბრძენი, რომელნიც თავიანთ სიბრძნით ინახამენ მთელ თქვენს საბძანებელს; იმათ დაუძახე და დამუქარებით უთხარ: როდესაც გამოვდივარ პალატიდამ, რისთვის არა ვხედამ სინათლეს? ეხლა ჩემი ბრძანება ეს არის, რომ წამალი მიშოვნოთ, როდესაც პალატიდამ გამოვიდე დავინახო სინათლე და თქვენს დანაშაულს გაპატიებთ; გაიგოთ რომ ამაში თქვენა ხართ დანაშაული- თუ ამ ნაირათ მე არ მომარჩენთ, უბრძანებ რომ დიდის საცოდაობით დაიხოცნეთ თქვენ ყველანი. მაშინ ხემწიფემ თავის მეუღლის დარიგებით დაუძახა ამ ბრძენებს თავისთან და უბრძანა: ჭოი მეგობარნო ჩემნო ერთგულნო ვეზირნო, გვით-

ხამთ თქვენ ერთ რამეს და მიპასუხეთ. გვიბრძანეთ ხელმწიფეო, მოვისმენთ თქვენს ბრძანებას და პასუხს მოგახსენებთ. უბრძანა ხელმწიფემ: როდესაც გამოვდივარ პალატიდამ, რატომ არა ვხედამ სინათლეს? მოახსენეს ბრძენთა: ჩვენ არ ვიცით მიზეზი. კეისარმა უთხრა ბრძენებს, როგორც დედოფალს დაერიგებინა: მე შემიტყვია რომ თქვენ მოგიწამლივართ, რომ როდესაც კარში გამოვიდე, სინათლე ვერ დავინახო; ეხლა მე თქვენს დანაშაულს გაპატიებთ მხოლოდ მიყავით საშუალება, რომ ისევ მომარჩინოთ და როდესაც კარში გამოვიდე ვნახო სინათლე; უკეთუ არ იზამთ მაშინ დიდის წვალებით და მწარე სიკვდილით დავაბოლოვებ თქვენს სიცოცხლეს; ახლა თქვენი სარგებლობა თქვენ იცით. მოახსენეს ვეზირებმა: მაღალო ხელმწიფეო, ეგ ტყუილად მოგხსენებია ჩვენზედ, მაგ საქმეში ჩვენ სრულებით არ ურევივართ. უბრძანა ხელმწიფემ: მე მაგისთანა სიტყვებისა არა ვიცი რა, მხოლოდ ბრძანება ჩემი ეს არის, რომ უნდა მე მომარჩინოთ ჩემი სატკივრიდან. მოახსენეს ვეზირებმა: მაღალო ხელმწიფეო, გვადროვეთ ჩვენ ათ დღემდის, რომ ვიფიქროთ და პასუხი მოგართოთ. უბრძანა ხელმწიფემ: თქვენი თხოვნისამებრ მო-

მიცია ათი დღე ვადა. ისინიც მაშინვე წავიდნენ ხელმწიფიდან და ფიქრობდნენ თუ რა ექნათ და ვერავერ ლონის ძიებას ვერა პოულობდნენ და დაღონებულნი ეუბნებოდნენ ერთმანერთს: უკეთუ ვერ მოვარჩენთ ჩვენ ხელმწიფეს, ჩვენ ყველანი იმის ხელით დავიხოცებითო. ამ ნაირათ დაღონებული რომ დადიოდნენ ქალაქში, სიარულით მოვიდნენ ერთ შუკაში. მაშინ ერთი კაცი მოახლოვდა ამ ვეზირებს და უთხრა: ერთი სიზმარი მინახამს, და თუ ამიხსნით ჩემს სიზმარს, მოგართმევთ თქვენ ერთ ლიტრა ოქროსაო. ამ დროს პატარა ყმაწვილები, რომ იქვე თამაშობდნენ, იმათგან ერთი წინ მოვიდა და უთხრა იმ კაცს: ნუ მისცემ მაგათ ოქროს, რადგანაც ეგენი არიან მატყუვრები, შენ მე მითხარ შენი სიზმარი და მე აგიხსნი ყველას დაწვრილებით. ამ დროს ვეზირები შორიდან უყურებდნენ. კაცმა უთხრა ამ ყმაწვილს თავისი სიზმარი ამ ნაირათ: მე ვნახე სიზმარში, რომ ჩემ ბაღჩაში გამოდიოდა ერთი წყარო და იმისთანა მოზდილი იყო, რომ ჩემი ბაღი მთლათ წყლით აემსო. უთხრა ამ ყმაწვილმა: წადი ახლავე შენს სახლში, აიღე ერთი ბარი და მოთხარე იმავე ალაგას, სადაც წყარო გა-

მოდიოდა, იპოვნი დიდს ზინეთს, გამდიდრ-დები შენ და შენი ყველა გვარეულობა და ნათესაობათ. მაშინვე კაცი დაეშურა სახლისაკენ, მივიდა, მოთხარა, სადაც ყმაწვილს ეთქო იმ ადგილს იპოვნა დიდი ზინეთი და გამდიდრდა თითონ და თავის ყველა გვარეულობა და ნათესაობა. მაშინვე ის კაცი დაბრუნდა იმ ყმაწვილთან და მისცა ორი ლიტრა ოქრო ამ ნაირათ სიზმარის ახსნისათვის. ყმაწვილმა ხელში არ აიღო ეს ოქრო და უთხრა: ნუ ქნას ღმერთმა, რომ შენგან მე ეგ ოქროები ავიღო ჩემს გასამრჯელოში, მაგრამ ამასკი გთხოვ რომ ჩემთვის ილოცო. ეს რომ ნახეს იმ ვეზირებმა, რომ ეგრე ჭკვით აუღსნა იმ კაცს სიზმარი, უთხრეს იმას: საყვარელო ყმაწვილო, რა არის შენი სახელიო? მოახსენა ყმაწვილმა: ჩემი სახელია ქერილნო. უთხრეს ვეზირებმა: ვხედამთ რომ შენი გონება და სიჭკვიანე ძრიელ დიდია და ამისათვის გვინდა ერთი რამ გკითხოთ. მოახსენა ქერილნომ: მიბრძანეთ და მე პასუხს მოგახსენებთ. უთხრეს ვეზირებმა: ჩვენი ხელმწიფის თვალები დაბრმავებულია, უკეთუ იმას უშველი რასმე და მოარჩენ, ჩვენგან დიდ ჯილდოს მიიღებ. მოახსენა ქერილნომ: სრულებ ვერა ჰხედავს, თუ თვალის ტკი-

ვილი აქვს? უთხრეს ვეზირებმა: ვიდრე პალა-
ტშია, ჰხედავს, და როდესაც პალატიდან გა-
რში გამოვა, მაშინვე ვეღარას ვერ დაინახამს.

მოასხსენა ქერილონომ: წავიდეთ ვნახოთ და შემდეგ ღვთის ძალით მოვარჩენ. უთხრეს ვეზირებმა: მოდი ჩვენთან და წაგვიყვანეთ ჩვენს ხელმწიფესთან. მაშინვე გამოვიდნენ და წავიდნენ ერთად ხელმწიფესთან. უბრძანა ხელმწიფემ: რა ქენით და მე თქვენ რა დაგავალეთ? მოასხსენეს ვეზირებმა: აი მოვიყვანეთ ერთი ჰექიმი ეს ყმაწვილი, რომელიც აასრულებს თქვენს გულის წადილს. უთხრა ხელმწიფემ: იცით მართლათ, რომ ეგ აასრულებს ჩემს ნდომას? მოასხსენეს ვეზირებმა: დიახ ვიცით, რომ ეგ აასრულებს თქვენს ნდომას და გამოცდილიცა გვაქვს მაგისი ნამდვილი ჭკვიანობა დ̃ გონივრება. უთხრა ხელმწიფემ: კარგია რასაც ამბობთ და დაბრუნდა ხელმწიფე ყმაწვილისაკენ და უთხრა: რა არის შენი სახელი? უთხრა ყმაწვილმა: ჩემი სახელი ქერილონო, რომელიც თქვენი ყმა გახლავართ. უბრძანა ხელმწიფემ: შეგიძლიან მამარჩინო ჩემი სატკივრიდან?

უპასუხა ქერილონომ: ჯერ მე არ ვიცი თქვენი სატკივარი, მიბრძანეთ რაც არის და მე შე-

ვიძლებ თქვენს მორჩენას ღვთის შემწეობით. უბრძანა ხელმწიფემ: ჩემი სატკივარი ეს არის რომ როცა ჩემის პალატიდან გამოვალ კარში, ვერას ვხედავ.

მოახსენა ქერილნომ: უბრძანე ყველანი კარში გავიდნენო. ხელმწიფემ უბრძანა მაშინვე ყველანი კარში გასულიყვნენ და დუქეტა კარები. მოახსენა ქერილნომ: შამიყვანეთ თქვენს საწოლ ოთახში და იქ მოგახსენებთ ყველას დაწვრილებითაო და ვიზამ რაც საჭიროება იქმნებაო. მაშინვე უთხრა მოსამსახურებს რომ აელოთ ხელმწიფის ლოგინი. აიღეს ლოგინი და ნახეს ხელმწიფის საწოლის ქვეშ შვიდი თვალი წყარო მიდიოდა. ხელმწიფეს ძრიელ გაუკვირდა ეს ამბავი. მაშინ მოახსენა ქერილნემ: მაღალო ხელმწიფეო, ვიდრე თქვენ არ მოსჭრით ერთათ თქვენს შვიდს ვეზირს თავებს, ეს წყაროები აქედან არ დაბოლოვდებიან და თქვენც გარეთ თქვენის პალატისა სინათლეს ვერა ნახამთო, რადგანაც მაგ ვეზირების ნაქნარი ჯადოების ეგენი; იმათ სდომნებიათ თქვენ თვალის სინათლე არა გქონოდათ და ჯადოებით უდარდელათ თავიანთ ნებაზედ სდომნებიათ თქვენის სახელმწიფოს შენახვა. მაშინვე ხელმწიფემ უბრძანა იმ შვიდ-

თავე ვეზირებისათვის თავები მოეჭრა. რა ეს ბრძანება აღასრულეს, ეს წყაროებიც მაშინვე უჩინარ იქმნენ და ხელმწიფეც შეიქმნა უწინდელივით სინათლიანი.

მაშინ მოახსენა ქერილნომ: მაღალო ხელმწიფეო, ახლა გავიდეთ კარზედ და ნახეთ სინათლე ქმნება კიდევ თქვენს თვალებს თუ არაო. მაშინათვე ხელმწიფემ უბრძანა ორი ცხენი მოეყვანათ, ერთზედ შებრძანდა თითონ და მეორეზე ქერილნო; გამოვიდნენ კარში და ნახა, რომ ხელმწიფე შექმნილიყო უწინდელივით თვალ სინათლიანი და ძრიელ უხაროდა. დაბრუნდნენ პალატში და უბოძა ხელმწიფემ ქერილნოს სიდიდე, როგორც ნამდვილ მთავარს ვისმეს.

მოახსენა დედოფალმა ხელმწიფეს: გაიგე და შეიტყე ჩემი თემისარის ჰაზრი და შეისმინე თუ არა?

უბრძანა ხელმწიფემ: ნამდვილს გეტყვი ჩემო დედოფალო, რომ კარგი თემისარი მომხსენდა თქვენგან და ძრიელაც მომეწონა.

მოახსენა დედოფალმა: თქვენც კარგათ შეიტყეთ, მაღალო ხელმწიფეო, რომ თქვენი ვეზირებიც ეგრეთვე ცდილობენ თავიანთის ტყუილი ზღაპრებით იმდენი მოგატყუონ, ვიდ-

რე იპოვნიან დროებას თქვენ სიცოცხლე მოგისპოთ ჲ თქვენს ალაგას დასონ ხელმწიფეთ თქვენი დაწყევლილი ჲ წყეული შვილი; ის ხომ ვერ იხელმწიფებს, დაიღუპება თქვენი სახელმწიფოც ჲ თქვენც მიიღებთ ქვეყნის წყევლას.

უბრძანა ხელმწიფემ: არ გაუშვებ იმათ მე ისრე რომ მეც იმ ნაირათ მიყონ; რა მშვიდობის დილა გათენდება, ადრიანათ მივცემ იმას აუცადათ მწარეს სიკვდილს.

**მეოთხეთ მიჰყავთ ხელმწიფის დედის ერთა შვილი მოსაკვლელად და მეოთხე ვეზირი დაიხსნის ხელმწიფის წინაშე ზღაპრის მოხსენებით.**

მეოთხე დღეს რა დაბრძანდა ხელმწიფე თავის ტახტზედ, უბრძანა მოსულიყო თავისთან მსაჯული; ჲ როდესაც მოვიდა, უბრძანა ხელმწიფემ: გამოიყვანე საპატიმროდან შვილი ჩემი ჲ წაიყვანე მოკალ გაუკითხავათ ჲ განაშორე იმისი პილწი თავი კისრიდან. ეგრეთვე დედოფალს წინათ დარიგებული ჰყვანდა მსაჯული, რომ მოსაკლავათ წაყვანის დროს გაეკრა იმისათვისაც ხელები, როგორც სხვებს უშვრებოდნენ დასჯის დროს. მოვიდა მსაჯული

მაშინჳე, გამოიყვანა საპატიმროდან, გაუკრა უკანიდან ხელები, როგორც კაცის მკვლელი და უკაჶიდანაც დამჭერები ამბობდნენ: ვისაც ენდომება თავის მეორე დედასთან შეცოდება, ამ ნაირათ უნდა დაისაჯოს. და ამ ნაირი უპა-ტიობით მიჰყვანდათ დედის ერთა ხელმწიფის შვილი თავის ალსასრულის ბინაზე. რა მიჰყ-ვანდათ, ხალხი კი მაღლა ხმით ამბობდა: აფ-სოს, აფსოს და ათასჯერ აფსოს, რომ ხელმ-წიფის დედის ერთა შვილი მიჰყავთ უბრალოთ სასიკვდილოთ. მაშინ მეოთხე ბრძენი ვეზირი საჩქაროთ მოეწია თავისი მშვენიერ რაშით; რა ნახა ამ ნაირათ საწყალობლათ მიჰყვანდათ ხელმწიფის შვილი, ძლიერ შეწუხდა და გაცხა-რებულმან უთხრა: ხელმწიფის შვილს ნუ თუ ეკუთნის ამ ნაირათ ხელების შეკვრა? და მა-შინვე გაახსნევინა. უთხრა მსაჯულმა: დედოფ-ლის ბრძანება ძლიერია და ჩვენ რა ვქნათ? და ხალხიც, რომ გარეშემო იყვნენ მაღლის ხმით ეხვეწებოდნენ ვეზირს: დაეშურე კეისართან და შენც დაიხსენ ხელმწიფის დედის ერთა შვი-ლი, როგორც შენმა სხვა ამხანაგებმაც დაიხსნ-ეს. ყმარწვილიც თითქმის ხვეწნით თაყვანსა სცემდა თავის მასწავლებელს და უნდოდა ეთ-ქო. თუ დამიხსენი მე სიკვდილისაგანო. უთხრა

ვეზირმა: დააყენეთ ეს ყმაწვილი ამ ალაგას, ვიდრე მე წავალ კეისართან, რადგან იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ დღესაც მე დავიხსნა ეგ სიკვდილისაგან. ვეზირი სიჩქარით წავიდა პალატში და დიდის პატივით თაყვანი სცა ხელმწიფეს. ხელმწიფე დიდათ განრისხდა ვეზირზე და უთხრა: დაწყევლილო მოხუცო, შენის ტყუილის ლაპარაკით იპოვნი ხვალიდანვე მაგიერს, რომ მე მომატყუე. მოახსენა ვეზირმა: მაღალო ხელმწიფეო, დაჯილდოების იმედი მქონდა თქვენგან და არა მაგრე განრისხებისა ჩემზე და ანუ რისათვის უნდა მომეტყუებინეთ ჩემი პატრონი ხელმწიფევ? უთხრა ხელმწიფემ: რადგან მოგეცით შვილი ჩემი წმინდა მოლაპარაკე და ენიანი, ახლა დამუნჯებულა, მაგრამ უარესი ცუდი ის არის, რომ მეცნიერების მიღების მაგივრათ სდომნებია ჩემს მეუღლესთან შეცოდება. ამისათვის აჯა დღეს ის მოკვდება და თქვენც ყველანი იმასთან დაიღუპებით. მოახსენა ვეზირმა: ღმერთმა იცის, რომ ტყუილი არ იქმნება თქვენს წინაშე ცხადია, თუ თქვენი შვილი რისთვის არა ლაპარაკობს? მაგრამ მალე კი დაიწყობს ლაპარაკს, რადგან ჯერ არარის მოსული დრო ლაპარაკისა; უკეთუ მოითმენთ მცირეს და არ მოაკვლევინებთ თქვენს

შვილს, მალე გაიგებთ იმის ლაპარაკს; რომე-
ლსაც ბრძანებთ, რომ ჩემს მეუღლესთან შეს-
ცოდებიაო, ეგ არ არის რიგი დედაკაცს დაუ-
ჯეროთ, და უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით
მოაკვლევინებთ თქვენს შვილს, მეშინიან არ
დაგემართოთ თქვენც ისრე, როგორც დაემარ-
თა ერთ მოხუცებულს კაცს თავის მეუღლისა-
გან. უთხრა კეისარმა: ჰოი მე უსვინიდისო
მოხუცო, შენც გინდა ის ოინი მომიყვანო,
როგორც ერთხელ შვიდ ვეზირს უქნია კეისა-
რისათვის? უპასუხა ვეზირმა: მაღალო ხელმ-
წიფევო, მე არ მინდა თქვენ ურიგო გიყოთ,
რადგან თუმც ერთი ცუდს იფიქრებს თქვენ-
ზედ, ეგ ყველას არ უნდა დააბრალოთ, ერთის
ცუდი ქცევა არ წაახდენს მეორის კეთილ მო-
ქმედებას; ყველას საქმე თითონ შეეხებათ, თუ
კარგი და თუ ავი, რადგან ყოველ გვარში იპო-
ვება კარგიც და ავიც; მაგრამ მე ამას მოგახ-
სენებთ: უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით
დღეს თქვენს შვილს მოაკვლევინებთ, ცუდი
დაგემართებათ თქვენ და უკეთუ მე არ გამიგე
ბთ, შემდეგ დაინახებთ, მაგრამ ვეღარას უშვე-
ლით და მე ამის სიმართლეს დაგიმტკიცებთ ჩე-
მის ზღაპრულის სიტყვებით.

უთხრა კეისარმა: მითხარ, ეგ ზღაპარი

თუ როგორ იყო, ჯერ ვერ ვიტყვი, რადგან ვიდრე მე ამ ზღაპარს ვიტყოდე, შეიძლება მანამ თქვენი შვილი იქ მოკლან და მე რა სარგებლობა მექნება ჩემის ზღაპრით? უკეთუ გნებამთ მოისმინოთ ჩემი ზღაპარი, პირველად თქვენი შვილი დააბრუნოთ საპატიმროში და შემდეგ მოგახსენოთ ზღაპარი; უკეთუ ჩემს სიტყვას მიღება ექმნება თქვენსა წინაშე, აცოცხლეთ თქვენი შვილი და თუ არა მოაკვლევინეთ. თქვენის ბრძანებით არის სიცოცხლე მისი და სიკვდილი. მაშინვე კეისარმა უბრძანა დაებრუნებინათ თავისი შვილი საპატიმროში, ვიდრე ვეზირი იტყოდა ზღაპარს და დაიწყო:

**მეოთხე ზღაპარი მეოთხე ვეზირისაგნ ნათქვამი ერთი დედაკაცისათვის, რომელსაც უნდოდა დიაკვანი შაეყვარებინა.**

ერთ ქალაქში იყო ერთი მოხუცი კაცი, კეთილი და ღვთის მოშიში. ამას მოუკვდა მეუღლე და დიდხანს დარჩა უცოლოთ ქვრივათ, და არ უნდოდა მეორე ეთხოვნა. შემდეგ მოვიდნენ ამის კეთილი მონდომე ნათესავები და უშოვნეს რომ შაერთოთ ამისათვის ერთი ჯეჰელი ქალი ცოლათ, როგორც თქვენმა ვეზი-

რებმა თქვენთვის მოინდომეს; და ეს ქალი მრიელ ლამაზი იყო და კაცსაც ძრიელ უყვარდა. გავიდა სამი წელიწადი და შვილი არ მიეცათ. ერთ დღეს გამოვიდა დედაკაცი და წავიდა დილის ლოცვაზე ეკლესიაში; აქ ამას შეხვდა თავისი დედა, მისცა სალამი და უთხრა: ჩემო ქალო, როგორა ხარ შენ და ან შენი მეუღლე როგორ გექცევა? უპასუხა ქალმა დედას: ჩემი ქმარი ცუდი კაცი ყოფილა, რადგან რა ჩავწვებით საწოლში, დაეგდება როგორც ხის ნაჭერი და შეუნძრეველათ გაათენებს, და ვერაფერს ხორციელს სიამოვნებას ვერა ვხედავ მე იმისაგან; ამისათვის მინდა სხვა შევიყვარო, რომ აღვასრულო ჩემი ხორციელი გულის ნდომა და წადილი. უთხრა დედამ: ჩემო ქალო, ეგ საქმე რომ ქნა, დიდი ცოდო იქმნება; აი მე და მამა შენი რამდენი ხანია ერთად ვართ და ჩვენ ეგ არ გაგვიფიქრია. უთხრა ქალმა: ჩემო დედაკ, საკვირველი არ არის თქვენთვის, რომ ეს საქმე არ გექნათ, რადგან ორივეს ჯე[illegible]ელობით დაგიკმაყოფილებიათ ერთმანეთის ხორციელი ვალდებულება. და არა [illegible]ყოფილხართ ჩემი ქმარივით გამორისხული ყველაფრიდან, რომელსაც ალაგიდან დაძვრის შეძლებაც არა აქვს; ხესავით ჩაეგდება ხოლმე ლოგინში და

სძინამს გათენებამდის, ამისათვის ვიფიქრე რომ სხვა შემეყვარებინა ვინმე. უთხრა დედამ: მითხარ მე ვინ გინდა რომ შეიყვარო? უთხრა ქალმა: აქაური დიაკვანი მინდა შევიყვარო. უთხრა დედამ: დიაკვანი რისთვის გინდა შეიყვარო და არა ერის კაცი ანუ სხვა ვინმე, რომ ცოტა ყოფილიყო ცოდო. უთხრა ქალმა: ერის კაცი რომ შევიყვარო, ანუ სხვა ვინმე, ვაი თუ მალე დამანებოს თავი და საქვეყნიეროთ შემარცხვინოს, მაგრამ დიაკვანი არ გააცხადებს ამისთანა საქმეს, რადგან არც შეუძლიან განცხადება; მუდმივ ჩემთან იქმნება და რასაცა ვთხოვ, აღმისრულებს. უთხრა დედამ შეისმინე ჩემი დარიგება და შენთვის კარგი იქმნება; რადგან მოხუცნი დიდ გულა და ანჩხლები არიან, სცადე ის ერთი ორჯერ და ზიანი ქენი იმისი წინაშე; უკეთუ ის დანაშაულს გაპატიებს და არას გეტყვის, მაშინ შეიყვარე ვინც გენდომება. უთხრა ქალმა: მაგდენ ხანს არ შემიძლიან მოთმენა. უთხრა დედამ: მოითმინე ჩემო ქალო, უკეთუ გინდა რომ ჩემი ლოცვა მიიღო. უთხრა ქალმა: ვეწვალები შენის ლოცვის გულისათვის პატარა ხანს, მაგრამ მითხარ თუ როგორ უნდა გამოვცადო მე ის? უთხრა დედამ: უკეთუ თქვენს ბაღში არის ი-

მისთანა ხე, რომელიც ყველაზე ძრიელ უყვარს, მოსწყვიტე; და როდესაც შენი ქმარი გარედან მოსასვლელი იქმნება, მაშინ დაუდე ის ხე ცეცხლზე და სვამიც შენს ქმარს დაუდგი იმის პირი-და პირ, რომ ის დაჯდეს და ნახოს ცეცხლზე; და უკეთუ იმან ეს დანაშაული გაპატიოს, მაშინ შეიყვარე დიაკვანი. უთხრა ქალმა: მაგასაც ავასრულებ ყველასა და წავიდა სახლში. უთხრა ქმარმა: მაგდენ ხანს რისთვის დაიგვიანე და სად იყავი აქამდის? უთხრა ცოლმა: ეკლესიაში ვიყავი და წირვა მოვისმინე, და შემდეგ ვლაპარაკობდი დედა ჩემთანა. უთხრა კაცმა: მაგისთანა საქმე ჩემთვისაც მოსაწონია, რომ მუდამ დილაობით წასვიდე ეკლესიაში. ამის შემდეგ ეს კაცი თავის ჩვეულებისამებრ წავიდა სანადიროთ. გამოვიდა ეს ქალი შინიდან და უთხრა მებაღეს: ძმაო, წადი ბაღში, მოსწყვიტე ერთი ხე და მოიტანე რომ ავანთო ბუხარი, რადგან დღეს ცივა და ჩემი ქმარი შეცივნული მოვა სანადიროდან და გავათბობ. მაშინვე მებაღე გამოვიდა, აიღო ცული და წავიდა ბაღში. ეს ქალიც მაშინვე მიჰყვა ამ მებაღეს, შევიდა ბაღში და აქეთ-იქიდან აგროვებდა ჩხირებს, ვიდრე მოვიდა იმ ხესთან, რომელიც ძრიელ საყვარელი იყო ამის ქმ-

რისა, და უთხრა მებაღეს: მოსჭერ ეს ხე. უთხრა მებაღემ: არ შემიძლიან მაგის მოჭრა, რადგანაც ჩემს ბატონს ეგ ხე ძრიელ უყვარს. მაშინვე ქალმა წაართო მებაღეს ცული და თავისი ხელით თითონვე მოსჭრა ეს ხე და მოიტანა სახლში დასაწველათ. როდესაც საღამოს მოაწია და თავის ქმრის მოსვლის დროც იყო, მაშინ დაუდო ცეცხლზედ ეს ხე. მოუვიდა ქმარი, და მაშინვე ქალმა მოიტანა სკამი, დაუდგა ბუხარის პირდაპირ, რომ გამთბარიყო. რა დაჯდა კაცი ცეცხლთან, ნახა რომ ცეცხლზედ იწვებოდა თავისი საყვარელი ხე. დაუძახა მებაღეს და უთხრა: რისათვის მოსჭერ შენ ეს ხე? უთხრა მებაღემ: ქალბატონმა მიბრძანაო, და მაშინვე ქალმაც უთხრა: მე მოვაჭრევინეო, რომ შენ მოსულიყავ და გამთბარიყავ. კაცმა მაშინვე არეულის თვალებით დაუწყო ამ ქალს ყურება და უთხრა: ჰოი უსვინდისო და ავო დიაცო ეგ რა ქენი? შენ იცოდი, რომ ეგ ხე მე ძრიელ მიყვარდა და მოსჭერი. დედაკაცმა დაიწყო ტირილი და ამბობდა: მე შენი სიკეთისათვისა ვქენი, რომ გამთბარიყავი; ამ სიკეთის მაგივრათ კიდეც მიწყრები? ამას ამბობდა და მწარეთ ტიროდა. უთხრა კაცმა: დაწყნარდი ტირილიდან; ეხლა ეგ და-

ნაშაული გაპატიოვე, მაგრამ მეორეზედ გაფრთხილდი მაგისთანა საქმე აღარა ქნა. მეორე დღეს გამოვიდა დედაკაცი და წავიდა ეკლესიაში. აქ ამას დახვდა თავისი დედა და ერთმანერთს სალამი მისცეს. ქალმა უთხრა თავის დედას: გამოვცადე ჩემი ქმარი და ვქენი, რაც შენ დამარიგე, მოვჭერი ის ხე და დავწვი. ჩემმა ქმარმა ნახა ჩემი დანაშაული და განრისხდა. როდესაც მე დავიწყე ტირილი, მაპატივა ჩემი დანაშაული. ეხლა რას მეტყვი? მინდა ჩვენი დიაკვანი შევიყვარო. უთხრა დედამ: ჩემო ქალო, მეორეთ კიდევ გამოსცადე, რადგან მოხუცნი ერთხელ აპატიებენ და მეორეთ ძრიელ დასჯიან. უპასუხა ქალმა: არ შემიძლიან მოვითმინო. უთხრა დედამ: ჩემო საყვარელო ქალო, პირველად რომ მოითმინე, უნდა ჩემი ლოცვა მიგეღო. მეორეთაც მოითმინე, რომ მიიღო შენი მამის ლოცვა; და მეორეთაც კიდევ გამოსცადე შენი ქმარი, და უკეთუ ეხლაც მოგითმინა და არ განრისხდა, შემდეგაც შეგიძლიან შეიყვარო დიაკვანი. უპასუხა ქალმა: თუმც მაგდენი მოთმენა ჩემთვის ძრიელ ძნელია, მაგრამ რაკი მამი ჩემის ლოცვას მაპირებ, კიდევ მოვითმენ და ერთხელაც გამოვცდი ჩემს ქმარს, მაგრამ როგორ გამოვ-

ვალი? უთხრა დედამ. იცი რომ შენ ქმარს
უყვარს თქვენი პატარა გოშია ძაღლი, ის მო-
კალ რაიმე მიზეზით შენი ქმრის წინაშე და უ-
კეთუ ეს დანაშაულიც გაპატიოს, მაშინაც შე-
გიძლიან შეიყვარო ვინც გინდა ეს რომ თქვეს,
წავიდნენ თავიანთ სახლებში. რა დაღამდა, ქა-
ლმა დაავლო ქვემაგები ქმრისა ჩვეულებრივ და
გარდააფარა ძვირფასი ფარჩის ნაკერები. მაშინ
კაცი იჯდა ცეცხლთან და თბებოდა და ძაღლი
როგორც დაჩვეული იყო, თამაშობა დაიწყო
ამ დაგებულ ლოგინზე. ამ დროს დედაკაცმა,
მითომ გაჯავრდა რომ აფუჭებდა ლოგინს,
აიღო ხელში ეს ძაღლი, იმისთანათ მიარტყა
კარებს რომ ტვინი დაებნა საწყალობელ გო-
შიას და მოკვდა თავის პატრონის წინაშე. ეს
რომ ნახა კაცმა, ძრიელ ეწყინა და უთხრა დე-
დაკაცს: ჯერ შენ შეჩვენებულო დედაკაცებში
და დაწყევლილო ყოველ სულიერებში, რაქენი
ეგ ჩემს წინაშე? უთხრა დედაკაცმა; რასაც შე-
ნი სიკეთის გულისათვის რასმეს ვიზამ, შენ-
თვის ყველა არაფერია და მუდმისათ მიჯავრ-
დები მე; შენ თითონ ჰხედავ, რომ შენი ლო-
გინი მოვრთე აბრეშუმის ნაქსოვებით და ეს
წყეული ძაღლი შეადგა ზედ გასვრილის ფეხე-
ბით. უთხრა კაცმა: ნუ თუ შენ არ იცოდი,

რომ მე უფრო ეგ ძაღლი მიყვარდა შენს მორთულს ლოგინზე? უპასუხა დედაკაცმა: რაც უნდა სიკეთე ვქნა შენს წინაშე, მაინც არაფერია; ეს თქო და მაშინვე დაიწყო ძაღლის ხმით ტირილი. უთხრა კაცმა: გაჩუმდი, ნუღარა სტირი, ახლაც გაპატივებ მაგ დანაშაულსაც და შემდეგ მაგისთანას ნუღარ იზამ ჩემთან. უთხრა დედაკაცმა: დიდის კმაყოფილებით აღვასრულებდი თქვენს გულის წადილს, რომ ვიცოდე თუ რა უფრო მოგეწონებათ და თქვენს გულში რა არის. კაცმა აღარა თქორა, გამოვიდა და წავიდა საწოლში მოსასვენებლათ. რა დილა გათენდა კიდევ გამოვიდა ეს დიაცი და წავიდა ეკლესიაში; იქ ამას დახვდა კიდევ თავისი დედა და უთხრა: დილა მშვიდობისა, ჩემო დედი, აი აღვასრულე ახლაც შენი სიტყვა: პირველათ შენი ხათრისათვისა და მეორეთაც მამიჩემის ხათრისათვის; ახლა მინდა დიაკვანი შევიყვარო. საკმაოა რომ ამდენი მოვითმინე, მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან; ორჯელ გამოვცადე ჩემი ქმარი და რა განმირისხდა მე დავიწყე ტირილი და იმანაც მაშინვე მაპატივა. უთხრა დედამ: კარგათ იცოდე ჩემო ქალო, რომ მოხუცნი ძრიელ ფიცხები არიან; ერთხელ, ორჯელ გაპატიებს, მაგრამ

მესამეზედ ბოლოდ წაგამწარებს; ამისათვის უკეთესია კიდენ მესამეთაც გამოსცადო. უთხრა ქალმა: უბრალოდ ეხლაკი თქვენი დარიგება ჩემთვის, მე აღარ შემიძლიან მეტი მოვითმინო და შენ დაგიჯერო; ამდენი ხანია, რომ

მე ვარ ამ სატანჯველში, და შენ სრულებ არ გეცოდები. უთხრა დედამ: ეს ერთხელაც დამიჯერე მე სიტყვა და გამოსცადე კიდენ შენი ქმარი; ეხლაც თუ მოგიტევებს ის შენს დანაშაულს, ღმერთს გაძლევ მოწამეთ, რომ მაგ საქმეში მეც დაგეხმარები და შენი გულის სურვილს აგისრულებ და აღარ შეგაწუხებ. უთხრა ქალმა; ძრიელ შემაწუხე მე, ჩემო დედავ, და არცკი ვიცი თუ მაგდენი როგორ უნდა მოვითმინო, ეხლა მითხარ კიდევ მესამეთ როგორდა გამოვცადო? უთხრა დედამ: იმ კვირა დღეს შენს ქმარს დიდი წვეულება უნდა ჰქონდეს და მოწვეული ეყოლება ბევრი ღირსეულნი პირები: როდესაც ყველანი მოვლენ და დასხდებიან სადილზე, შენც მიდი, იქ დაჯექ და სუფრის წვერი გაიმაგრე შენს სარტყელში; მაშინვე უცებ წამოხტი, მითომ დაგავიწყებია რამე, და წადი, ვიდრე მთელი სუფრას დაიმლება და საჭმელები დაიღვრება, და დაიფანტე-

ბა იმდენი ხალხის წინ; მაშინაც თუ შენი ქმარი არ გაგიწყრება და შენს დანაშაულს მოტევებას მისცემს, როგორც უწინ, მაშინ შეგიძლიან შეიყვარო მღვდელი; ეს გაათავეს და წავიდნენ თავიანთ სახლებში. რა შეიქმნა კვირა, მოვიდნენ ამ კაცთან ყველა დაპატიჟებულნი; და როდესაც გაშალეს სუფრა, ყველანი დასხდნენ სუფრაზე და საჭმელებიც მოიტანეს, ქალიც მაშინვე მოვიდა, როგორც დედისაგან დარიგებული იყო, დაჯდა ამ სტუმრებთან სუფრაზე, აიღო ჩუმათ სუფრის წვერი და გაიმაგრა სარტყელში. მაშინ ამის ქმარმა ნახა რომ თავის წინ აღარ მოეტანა დანა და ჩანგალი, ძრიელ განრისხდა და უთხრა თავის მეუღლეს: ჰოი მტერო და გაუგონარო დიაცო, როგორ დაგავიწყდა, რომ ჩემთვის დანა არ მოგიტანია? ეხლა რა ნაირათ ვჭამო სადილი? ქალმა, მაშინვე საჩქაროთ წამოხტა და გაიქცა, ვითომ დანა და ჩანგლის მოსატანათ; რა საკვირველია, მაშინვე სუფრა რომ გასწია და დაითრია, ყველა საჭმელები დაიფანტნენ, ღვინოები დაიღვარა და ვერცხლის სასმელები ძირს ჩამოცვივდნენ. კაცმა რომ ნახა ეს გარემოება ძრიელ ეჯავრა, მაგრამ ამ მოწვეული ხალხის გულისათვის ვეღარა უთხრა რა

უბმანა მოსამსახურეებს, რომ ხელახლათ საჭმელები მოეტანათ და სუფრა გაესწორებინათ და სრულებით არ დაალოცნა თავისი სახე. მეორეთ გამართეს სუფრა, მოიტანეს საჭმელები ჭამეს, სვეს და მხიარულება გასწიეს. რა დილა გათენდა კაცი გამოვიდა სახლიდან, წავიდა ბაზარში, იქ იპოვნა ერთი ექიმი და ჰკითხა: იცი სისხლის გამოშვება? ექიმმა უპასუხა ვიცი. მაშინვე მოიყვანა სახლში და უთხრა თავის მეუღლეს: მოდი აქ, აი მომიყვანია ექიმი, რომ სისხლი გამოგიშოს, რადგან, როგორც გატყობ, სისხლი გაქვს მორეული და ჭკვა გაგისუბუქებია; უკეთესი იქმნება სისხლი გაასშვებინე ექიმსა, სისხლი რომ გამოგივა, ჭკვა მოგიგროვდება თავში. უთხრა დედაკაცმა: ჯერ სისხლი არ გამომიშვია და ახლაც არ მინდა გამოვაშვებინო. უთხრა კაცმა: შენ არც კი გინდა გაიგო თუ ეს მესამეთ რა ოინები მიყავი მე? ძალათ დაიჭირა, შეუკრა ხელები და გააჭრევინა ორივე ხელების ძარღვები. სისხლმა დაიწყო დენა როგორც ნიაღვარი და იმდენი გაასშვებინა, ვიდრე ქალი გონებიდან დაიკარგა. შემდეგ წაიყვანეს და დააგდეს ლოგინზე, და უთხრა კაცმა: იყავ ლოგინზე, ვიდრე კარგ ხასიეთის დაიჭერო, გამოვიდა და წავიდა სანა-

დირით. დედაკაცი რა ღონიდან დაიწურა და-
უძახა ერთ მოახლეს და უთხრა: დაემძურე წა-
დი დედაჩემთან და უთხარი იმას, რომ მალე
მოვიდეს, რადგან აქა ვკვდები. მოახლე წავი-
და და უთხრა ქალის დედას ყოველი დაწვრი-
ლებით. როდესაც დედამ გაიგო, მოვიდა სი-
ხარულით ქალთან. რა ნახა ქალმა თავისი დედა
უთხრა: ჰოი საყვარელო და ტკბილო დედავ,
ძლივსღა გადავრჩი სიკვდილისაგან, რადგან ბე-
ვრი სისხლი გამოვიდა ჩემგან. უთხრა დედამ:
სომ გითხარი, რომ მოხუცნი ძრიელ ცხარე
ხასიათისანი არიან მეთქი, ესლა გინდა რომ
სხვა შეიყვარო? უთხრა ქალმა: ეშმაკებმა
შეიყვარონ ისიც დღეის იქით და სხვანი-
ცაო; ამის შემდეგ ჩემი ქმრის მეტი არავინ
მინდა და იმის მეტს არავის არ შევიყვარებო.

მაშინ ვეზირმა მოახსენა ხელმწიფეს: მა-
ღალო ხელმწიფეო, გაიგეთ და მოიწონეთ ჩე-
მი არაკი თუ არა? უპასუხა ხელმწიფემ: ყვე-
ლა ზღაპრულ სიტყვებში რაც გამეგონა, მა-
ღითლათ ეს უფრო მოსაწონი იყო ჩემთვის,
რადგან იმ დაწყევლილმა დედაკაცმა სამი ზა-
რალი მისცა ქმარსა და უჭკვლოთ მოთხეც
უნდოდა. მოახსენა ვეზირმა: იმისათვის მო-
გახსენეთ, რომ თქვენც ერთხილათ ბრძანდე

ბოდეო თქვენის მეუღლისაგან, რადგან უარე-სი არ მოგივიდეთ იმაზე, მაგრამ თქვენი მე-უღლის სიტყვით მოაკვლევინებთ თქვენს დე-დის ერთა შვილს. უთხრა ხელმწიფემ: მარ-თალს გეტყვი, რომ დღეს ჩემი შვილი აღარ მოკვდება, შენ წადი მშვიდობით. მოასხენა ვე-ზირმა: მადლობას შემოგწირავთ, მაღალო ხელმწიფეო, რომ ჩემის სიტყვით დღესაც აცო-ცხლეთ თქვენი შვილი და თქვენი მლოცველი ვიქმნები საუკუნოთ; ეს თქო ვეზირმა და გა-მოვიდა.

შემდეგ ამისა, რა გაიგო დედოფალმა, რომ ხელმწიფის შვილი დღესაც არ მომკვდა-რაო, შევიდა თავის ოთახში, მოაგროვა ყვე-ლა თავისი ძვირფასი ტანისამოსი დაიმზადა; ყოველი სამზადისი გზისა, უბრძანა თავის მო-სამსახურეებს, რომ დაეწყოთ ყველა თავის ეტლზე (კარეტაზე) და გაემგზავრა, რომ წა-სულიყო თავისი მამის სახლში. რა გაიგეს კა-რის კაცებმა ეს ამბავი, შეატყობინეს ხელმ-წიფეს, რომ ხვალ დედოფალი დამზადებულა და აპირობს თავის მამის სახლში წაბრძანება-სო. ხელმწიფემ, რომ ეს გაიგო, შევიდა თა-ვის მეუღლის სადგომში და უთხრა: საყვარე-ლო ჩემო, სად გნებავს წასვლა? უპასუხა დე-

დოფალმა: უნდა წავიდე ჩემს მამასთან. უთხრა ხელმწიფემ: რისათვის? უთხრა დედოფალმა: რადგან ძრიელ კეთილათ ვატარებდი თქვენთან ჩემს სიცოცხლეს. უთხრა ხელმწიფემ მე მეგონა რომ ჩემის მეტი ქვეყანასა ზედა არავინ არ გიყვარდა, და ეხლა რა ნაირათ უნდა მომიძულო და წახვიდე?

უპასუხა დედოფალმა: მართლათ ნამდვილია, რომ ქვეყანაზედ შენისთანათ არავინ არ მიყვარს, მაგრამ შენგნით იმისათვის ვშორდები, რომ შენი მწარე დღეები და წვალება არა ნახოს ჩემმა თვალებმა, რომელიც უნდა მოგცეს შენმა უზედურმა შვილმა. მართლათაც უკეთესია ჩემთვის, რომ შენი სიკვდილი გავიგო შორიდან, ვიდრე ახლოდან ვნახო ჩემის თვალით, რადგან იმდენათ მიზიდული ხარ შენი შვილის მასწავლებლებისაგან, ვიდრე დაგემართება შენც ისრე, როგორც დაემართა ოგტავიონოს ხელმწიფეს, რომელიც თვალგატეხილობის გამო ცოცხალი დამარხეს თავისმა ვეზირებმა სახაში ოქროების ჩაყრით დ ჩატენით. უთხრა ხელმწიფემ: საყვარელო ჩემო, მითხარ ეგ არაკი თუ როგორ იქმნა. უპასუხა დედოფალმა. ამის შემდეგ შენს სიტყვას ვერ დავიჯერებ დ ვერც გეტყვი რასმეს, გა-

შორდები შენ. უთხრა ხელმწიფემ: ნუ ქნას ღმერთმან, რომ შენ წახვიდე შენს მამასთან და მე გამიშვა უშენოთ. უთხრა დედოფალმა: მართლაათ უნდა დაკარგულიყო შენი შვილი და ცოცხალი არ დარჩომილიყო, უკეთუ მეუღლე ვიყავი მე ხელმწიფისა და მეფეთ-მეფისა შვილი; რომ ამ ნაირათ გამაუპატიურა მე და თქვენც თქვენის თვალით ნახეთ. დამპირდი მოგეკლევინა ის წყეული შენი შვილი და არ აღასრულე; მაგისათვის მეც აღარ ვირწმუნებ თქვენს სიტყვას ამის შემდეგ, რადგან ტყუილი მოლაპარაკე გამოჩნდით. მაგრამ არ ეკუთნის ხელმწიფეებს ტყუილი კაპარაკი. უთხრა ხელმწიფემ: საყვარელო ჩემო მეუღლევ, ყველას ხელმწიფეებს მართებთ, რომ ყური ათხოვონ ყველას ლაპარაკს და მართლაათ უნდა გამოიძიონ, რომ საქმე ბრუდეთ და უსამართლოთ არ მოუვიდეს და დიდი სირცხვილი არ შეექმნას. ამისათვის გეხვეწები, რომ სასარგებლო რამე სიტყვანი მითხრა, რომლიდან შეიძლებოდეს ნების მიცემა და სიკვდილი ჩემის შვილისა. უპასუხა დედოფალმა, მოგახსენებთ მე ერთ არაკს და შემდეგში გითხოვთ ყური აღარ ათხოვოთ მაგ თქვენს ვეზირებს, და დაიწყო თქმა:

## მეხუთე არაკი დედოფლის ნათქომი ოკტავიონოს ხელმწიფის თვალგატეხილობაზედ და გაუმაძღრობაზედ.

ერთ ქალაქში იყო ერთი ძრიელი ხელმწიფე სახელად ოკტავიანოსი; ეს იყო მეფეთ მეფე და დიდი ხელმწიფე როგორაც თქვენა ბრძანდებით. ოკტავიანოსი იყო ძრიელ გაუმაძღარი და მოყვარე ოქრო ვერცხლისა; რასაც ამას ეტყოდნენ, ყველას დაუჯერებდა, როგორც ეხლა თქვენ უჯერებთ თქვენი დაწყევლილის ოსტატებს. ამ დროს მოქალაქენი აბუნტდნენ და მრავალნი ხელმწიფენი აბუნტეს ამ ქალაქზედ. მაშინ ამავე ქალაქში იყო ერთი ვეზირი სახელად ვირგილიოს, რომელიც განთქმული იყო ყველგან თავისის ჭკვითა და გონებითა, და უფრო მეტად თავისის თვალთ მაქცურის ხელოვნებითა. ამასა სთხოვეს მოქალაქეებმა, რომ თავისი გონებითა და სწავლით ეპოვნა რამე ღონის ძიება, რომ შეეძლოთ ამ მომტერების შებრძოლება. ამანაც თავისის თვალთ მაქცურის ხელობით ამ ნაირად მოიქცა: უბრძანა გაეკეთებინათ ერთი კოშკი; ამ კოშკზედ დაეხატნათ ყველა სახელმწიფოები, იმ ნაირად როგორც იციან ომები და ამ

ათში ერთი სხვა ნახატი გამოიყვანა, რომელსაც ეჭირა ხელში ერთი ოქროს ვაშლი. და ამის გარეშემო, რომელნი სახელმწიფოებიც იყვნენ ეჭირათ ყველას ხელში თითო ზარი რომელიც სახელმწიფოც აუბუნტდებოდათ, იმავე სახელმწიფოს ზარს დააკვრეჯინებდნენ და იმ ქალაქში ჯარმა იცოდა; რომელთანაცა ჰქონდათ ომი; ემზებოდნენ და კიდეც დიდის გამარჯვებით დაბრუნდებოდნენ. და ამ ნაირის კოშკის ძალით, რომელიც გაეკეთებინა ვირგილიოს ფილოსოფოსს, არავინ ვერა ჰბედავდა ამათთან ომის გასწორებას. ამ დროს შეიყარნენ სამნი ხელმწიფენი, რომელნიც ამ ქალაქიდან დიდს შეწუხებაში იყვნენ, და ფიქრობდნენ რომელიმე ღონის ძიებით დაებოლოვებინათ ეს სახელმწიფო, სადაც ეს კოშკი იყო. თანაც ამბობდნენ, რომ ვიდრე ის კოშკი იქარის დაუქცეველათ, არაფერს ვერ გავაწყობთ. ეს რომ გაიგეს სამმა იქაურმა ვეზირებმა, მოვიდნენ და უთხრეს: რას გვიბოძებთ ჩვენ, რომ შევიძლოთ დაქცევა იმ კოშკისაო? უპასუხეს ხელმწიფეებმა: რასაცა გვთხოვთ მოგცემთო. მოახსენეს ამ ვეზირებმა: ჯერ ქისა მოგვეცით ოთხასი ოქრო, და როცა იმ კოშკს დავაქცევთ, მაშინ ნება თქვენი იყოს, რამდენ საჩუქარსაც

გვიბოძებთო. უთხრეს ხელმწიფეებმა: ეხლა რათ გინდათ ეგ ოქროებიო? უპასუხეს ვეზირებმა: ამ ოთხას ოქროს როგორმე მიზეზით იმათ მივცემთ და ამ ნაირათ შევიძლებთ იმ კოშკის დაქცევასაო. მაშინ ამათაც მისცეს ოთხასი ოქრო და გაგზავნეს.

რა ვეზირებმა მიიღეს ეს ოთხასი ოქრო, მოვიდნენ იმ ქალაქში, სადაც ეს კოშკი იყო. ამ ქალაქსა ჰქონდა ოთხი კარები; და ამ ვეზირებმა ღამე ჩუმათ ქალაქის თითო კარებში დამარხეს ას ასი ოქრო ქილებით. შემდეგ შევიდნენ ქალაქში, გამოცხადდნენ იმ ქალაქის ხელმწიფესთან და დიდის პატივით და მუხლის დრეკით თაყვანი სცეს და სალამი უბოძეს. უბრძანა ხელმწიფემ ამ ვეზირებს: რასა ქმისთვის გარჯილხართ და მოსულხართ აქაო? უპასუხეს ვეზირებმა: უფალო ხელმწიფეო, ჩვენ შორის ქვეყნიდანა ვართო, და ჩვენ სიზმარის მნახველი და ამხსნელი; მაგრამ ჩვენი სიზმარი მარტო იმას აჩვენებს, სადაც მიწაში უწინდელი დამარხული და შენახული განძი, ოქრო და ვერცხლი იქმნებაო; ეხლა გაგვიგია თქვენი კეთილი გულის ანბავი, რომ უყურადღებოთ არ გაგვიშვებთ და ინებებთ ჩვენს სამსახურს წინაშე თქვენი. უპასუხა ხელმწი-

ფემ: ჯერ გამოგცადოთ თქვენ და თუ მარ-
თალი გამოსვალთ, ჩვენგან მიიღებთ დიდს სა-
ჩუქარს და ჯილდოს. უპასუხეს ვეზირებმა:
თქვენგან არაფერ საჩუქარს არა ვთხოულობთ.
მაგრამ რასაც ვიპოვნით ნახევარი ჩვენ დაგ-
ვითმოთ. უპასუხა ხელმწიფემ: კეთილია, რა-
საც ამბობთ; დაუძახა თავისთან ვახშმათ, დი-
დი პატივი მისცა და შემდეგ ვახშმისა მოახ-
სენეს ვეზირებმა: უფალო, უკეთუ ისურვებთ,
ჩვენში რომელიც უფროსია, ამაღამ იმან ისი-
ზმროს და ხვალ აგიხსნათ. უთხრა ხელმწი-
ფემ: წადით მშვიდობით, და ბრძანოს ღმერ-
თმა რომ კარგი სიზმარი გენახოს და ხვალ
ოქროები გვეპოვნოს. ეს ვეზირები წავიდნენ
სიხარულით თავიანთ სადგომში და იცინოდ-
ნენ ხელმწიფეზე.

რა დილა გათენდა, მოვიდნენ ხელმწი-
ფესთან, უფროსმა ვეზირმა აუხსნა სიზმარი,
რომ ქალაქის პირველ კარებში ოქროები არი-
სო და გთხოვთ თქვენც მობრძანდეთ და თქვე-
ნის თვალითა ნახოთო. მოვიდნენ პირველ კა-
რებთან მოათხრევინეს მიწა და ამოუღეს, უჩ-
ვენეს ხელმწიფეს თავიანთ დამარხული ოქრო-
ები. ხელმწიფემ, რომ ნახა ეს ოქროები, მრი-
ელ გაუხარდა და ამათაც მისცა ამ ოქროები-

დან ნახევარი. მაშინ მეორე ვეზირმა უთხრა ხელმწიფეს: თქვენის ლოცვით ამაღამ მე დავისიზმრებ და ხვალ ვიშოვნით კიდევ ოქროებსაო. უთხრა ხელმწიფემ: ბრძანოს ღმერთმა, რომ შენც კარგი სიზმარი განახოსო. დილით მოვიდნენ ვეზირები და მეორე ვეზირმა მოახსენა თავისი სიზმარი, რომ ქალაქის მეორე კარებშიაც ბევრი ოქროები არისო. გამოვიდნენ, წავიდნენ ხელმწიფესთან, მოთხარეს მეორე კარები და ამოიღეს ერთი ქილით კიდევ ოქროები, რომელიც თითონ დაემარხნათ. რა ნახა ხელმწიფემ ეს ოქროები, ძრიელ გაუხარდა და იმათაც მისცა ნახევარი ამ ოქროებისა. მაშინ უთხრა მესამე ვეზირმა: უფალო ხელმწიფეო, ამაღამ მე ვისიზმრებ. უთხრა ხელმწიფემ: ღმერთმა ბრძანოს, რომ შენც კარგი სიზმარი განახოსო და იკურთხოს ის საათი, რა საათშიაც თქვენ მოხვედით ჩემთანაო.

რა დილა გათენდა მოვიდნენ სამნივე ვეზირები ხელმწიფესთან და მოახსენეს: უფალო ხელმწიფეო, თქვენ მშვიდობით ბრძანდებოდეთ და დიდი ზიანეთი ყოფილა თქვენს საბძანებელშია. უთხრა ხელმწიფემ: როგორ? უპასუხეს ვეზირებმა: ამ ქალაქის მესამე და მე-

ოთხე კარებშიაც თითო ქილა ოქროთ სამსე ყოფილაო. უთხრა ხელმწიფემ: იქაც წავიდეთ და ვნახოთ თუ მართალიაო. ვეზირები და ხელმწიფე როდესაც მოვიდნენ მესამე და მე-ოთხე კარებშიაც მოათხრევინეს და ნახეს თი-თო ქილა ოქროთ სამსე, ხელმწიფეს ძრიელ გაუხარდა და იმათაც კიდევ მისცა ნახევარი. მაშინ ხელმწიფემ უთხრა თავის კარის კაცებს და ვეზირებს: მე ჩემს სიცოცხლეში არ მი-ნახამს ამათთანა პატიოსანი და მართალი მო-ლაპარაკე კაცებიო. ამ ვეზირებმა აიღეს ნახე-ვარი ოქრო და წავიდნენ თავიანთ სადგომში. მეორე დღეს ვახშმათ დაუძახა ამ მესიზმრე ვეზირებს ხელმწიფემ და დიდი პატივი მიაპ-ყრო. შემდეგ მრავალის შექცევისა და ლაპა-რაკისა ამათ მოახსენეს ხელმწიფეს: თუმც აქამდის ჩვენ თვითეულათ თითო სიზმარს ვხედავდით და ცალკ-ცალკე ოქრო ვიპოვნეთ, ეხლა ამალამ სამივემ ერთად უნდა ჩავხედოთ სიზმარში და იმედი გვაქვს რომ ამალამის სი-ზმრით ვიპოვნოთ ხვალ დიდი და აუარელი განძიო. უპასუხა ხელმწიფემ: მოგანიჭოთ თქვენ უფალმა კეთილი სიზმარი და შნოიანი. ესენი გამოვიდნენ ხელმწიფიდან, სიხარულით სადგომში და დასცინოდნენ ხელმწიფეს.

მეორე დილას მოვიდნენ ხელმწიფესთან და მოახსენეს: მაღალო ხელმწიფეო, იცოცხლეთ დიდხანს და გახარებთ დიდს სასიხარულოს. ჰკითხა ხელმწიფემ: რა სიხარულიაო? უპასუხეს ვეზირებმა: ვნახეთ სიზმარი, რომ იმ კოშკის ძირში, რომელიც გამშვენებულია ყოველი ხელმწიფების ნახატებით, იმდენი ოქრო და ზინეთი არის, რომ არ შეიძლება იმისი თვლა და ანგარიში და რამდენი ცხენი და აქლემიც არის ამ ქვეყანაში, ვერ აიკიდებსო. უპასუხა ხელმწიფემ: ღმერთმა ნუ ქნას, რომ ის კოშკი გარდაიქცეს, რომლის ნახატებიც გვიხსნის ჩვენ ყველა ჩვენის მებრძოლებისაგან. უპასუხეს ვეზირებმა: მაღალო ხელმწიფეო, როდის გვნახე ჩვენ ტყუილი მოლაპარაკე? უთხრა ხელმწიფემ: მე არ მითქომს და არც ვიტყვი, რომ ტყუილი მოლაპარაკენი ხართ, მაგრამ ჭეშმარიტი და მართლები.

უპასუხეს ვეზირებმა: მაღალო ხელმწიფეო, თუ ჩვენ დაგვიჯერებთ, ჩვენ ჩვენის ხელოვნებით მოვთხრით იმ კოშკის გარეშემო და კოშკის უმზნეველათ და დაუქცეველათ ქვეშედან გამოვიღებთ ოქროებს; მაგრამ ეს საქმე უნდა ღამით მოვიმოქმედოთ, რომ მოქალაქეებმა არა გვნახონ და არ მოვიდნენ ძალ-

ით არ წაგვართონ ის ოქროები. უთხრა ხელმწიფემ: კარგია, რასაცა ლაპარაკობთ, წადით ღვთის ნებით და მეც დილით მოვალ და გნახამთ. ეს ვეზირები სიხარულით წავიდნენ, დაიწყეს თხრა შუა ღამის დროს ამ კოშკის გარეშემო, ვიდრე კოშკი მზათ იყო, რომ ძირიდან უნდა გადმობრუნებულიყო; შემდეგ გარეშემო კოშკისა მოუკიდეს ცეცხლი და თითონ იმავე ღამეს გაიქცნენ თავიანთ ქვეყანაში. ამ კოშკს მოეკიდა ცეცხლი, გადმოიქცა ძირიდან და დაიწო.

რა დილა გათენდა, მოვიდნენ ქალაქის თავადნი, და ვეზირნი ნახეს ეს კოშკი ძირიდან დაქცეული და დამწვარი, ძრიელ დაღონდნენ. წავიდნენ ხელმწიფესთან და ჰკითხეს მიზეზი ამ კოშკის დაბოლოვებისა, რომლიდანაც იმედიანათ იყვნენ, რომ მტერი ვერ დასძლევდა ამ ქალაქს. უპასუხა ხელმწიფემ: სამი მატყუარა კაცები მოვიდნენ ჩემთან და მითხრეს, რომ იმ კოშკის ძირში იმოდენა ოქრო და ზინეთი არის, რომ რაც ჩვენს სახელმწიფოში ცხენები და აქლემები იყვნენ, ვერ აიკიდებდნენ. და ფიცი მომცეს მე რომ იმ კოშკის სულ უხლებლათ და დაუქცევლათ გამოვიღებთ იმ ოქროებსა და ზინეთსა ჩვენის ხელ-

ოვნებითაო. მაშინ ხელმწიფეს უთხრეს ყველა მოქალაქეებმა და ვეზირებმა: რადგან მაგდენათ მონდომე ყოფილხარ მრავალი ოქროსი, ეხლა აღვასრულებთ შენს სურვილსაო, რის გამოთაც დაგვიკარგე ჩვენ იმისთანა იმედი და ბურჯი, რომლითაც უმზნევლათ ვრჩებოდით ყოველი ჩვენი მებრძოლებიდანავო; მაშინვე დაიჭირეს ეს ხელმწიფე, ჩააყარეს და ჩასტენეს ხახაში ოქროები და ცოცხალი დამარხეს.

ამის შემდეგ დიდი ხანი აღარ გამოვიდა, მოვიდნენ ამ ქალაქზე სხვა სახელმწიფოები, ეომნენ, აიღეს ეს ქალაქი და დაიმონავეს მუნ მყოფნი ყველანი. და მაშინ მოახსენა დედოფალმა ხელმწიფეს: უფალო ხელმწიფეო, ხომ კარგათ შეისმინეთ და გაიგეთ ჩემი არაკის ჯაზრი? უპასუხა ხელმწიფემ: დიახ გავიგე და შევისმინე, მაგრამ გთხოვთ ამიხსნათ ამ არაკის ჯაზრიო. მოახსენა დედოფალმა: ის კოშკი და ბურჯი შემკობილი კარგის ნახატებით, თქვენა ბრძანდებით, რომლის შიშიდანაც არც ერთ მტერს ვერ ძალუძს, რომ თქვენს სახელმწიფოს მისცეს ზიანი. მატყუარა კაცები შენი შვილის ოსტატები არიან, რომელნიც ცდილობენ, რომ თავიანთის ტყუილის ზღაპრებით შენც დაგაბოლოვონ, როგორც ის კო-

შვი, და შენც დიდ ყურადღებას აქცევ იმათ ლაპარაკს, რომელნიც თავიანთის ტყუილის ლაპარაკით გითხრიან გარეშემო, და როდესაც დროს გიპოვნიან, სიკვდილით გარდაგაქცევენ და დაგაბოლოვებენ.

უთხრა ხელმწიფემ: ჰოი დედოფალო ჩემო, კარგი არაკი მითხარი მე, დღეის შემდეგ ველარ შეიძლებენ იმათ მე დამაბოლოვონ, როგორც ის კოშკი დაბოლოვდა. ამისთანა შრომისათვის დღეს ისინი დაბოლოვდებიან.

უთხრა დედოფალმა: უკეთუ მაგას იზამ, ჭკვას იზამ, დიდ ხანს იხელმწიფებ და იქმნები მრიელი.

## მეხუთეთ წაიყვანეს ხელმწიფის შვილს სასიკვდილოთ და მეხუთე ვეზირი არაკით გამოიხსნის.

რა დილა გათენდა, ხემწიფე გამოვიდა და დაჯდა ტახტსა ზედა; მაშინვე დაუძახა მსაჯულების უფროსს და უბრძანა: ამავე მინუტს წაიყვანეთ ჩემი შვილი და გაუკითხავათ დაბოლოვეთ იმის სიცოცხლე. მაშინვე წავიდა მსაჯული, გამოიყვანა შვილი ხელმწიფისა საპატიმროდან, უბრძანა უკანიდან გაეკრათ ხელ-

ები საწყალობელისა.

წინ მიუძღოდა კაცი და მაღლა ხმით აშბობდა: ვისაც შეცოდება ენდომება დედის-ნაცვალთან, ამ ნაირი სიკვდილით მოკვდება.

რა ხალხმა გაიგო რომ ხემწიფის შვილი მოსაკლავათ მიჰყავნდათ, დაიწყეს ტირილი და გოდება; ტირილით იძახდნენ: ავსოს, ავსოს და ათასჯერ ავსოს, რომ სასიკვდილოთ მიჰ-ყავთ ხელმწიფის შვილი სრულებით უცოდ-ველიო.

ამ დროს მოვიდა მეხუთე ვეზირი დი-დის სიჩქარით. და რა ნახა ხელმწიფის შვი-ლი ამ ნაირათ უწყალოთ შეკრული, გაურის-ხდა მსაჯულს და უთხრა: რა არის მიზეზი, რომ ეგრე შეგიკრავთ ხემწიფის შვილიო? და მაშინვე გაახსნევინა ხელები. ხელმწიფის შვი-ლმა რომ ნახა თავისი მასწავლებელი, თაყვა-ნი სცა მას და მითომ უნდოდა ეთქო: მიე-შურე მალე მამა ჩემთან და მომიგონე, აჰა ეხ-ლავ მივყვევარ სასიკვდილოთაო. და ხალხიც უფრო ძრიელ ეხვეწებოდნენ ამ ვეზირს, რომ მალე წასულიყო ხემწიფესთან და დაეხსნა იმი-სი დედის ერთი შვილი. უბრძანა ვეზირმა მსაჯულს: აქ შეაყენე მცირე ხანს და ნუ დაა-შურებ მაგის სიკვდილს, რადგან იმედი მაქვს

ღვთისაგან, რომ დღეს მე ეგ დავიხსნა სიკ-
ვდილიდან. ეს რომ თქო, მაშინვე წავიდა პა-
ლატში, შევიდა ხელმწიფესთან და თავდაბლო-
ბით სალამი მისცა ხელმწიფეს. მაშინ ხელმ-
წიფემ უთხრა ვეზირს: უფალმა ავი არ და-
გილიოს შენ შენის ამხანაგებით, რომ გინ-
დოდათ თქვენც ჩემი ცდენა და მოტყუება, რო-
გორც იმ სამმა მატყუარამ აცდინეს ერთი ხე-
ლმწიფე და დააქციეს იმათი დამსხნელი კოშ-
კი. უპასუხა ვეზირმა: მაღალო ხელმწიფეო,
იმათ როგორ მოატყუეს, მე ეგ არ ვიცი, მხო-
ლოდ ეს ვიცი რომ მე თქვენთვის უკეთუ-
რებას არ მომინდომებია, როგორც თქვენ ჰფი-
ქრობთ. უთხრა ხელმწიფემ: ჰოი, უგუნურო,
მოგეცით შვილი ჩემი კარგი მოლაპარაკე, რომ
გესწავლებინათ სასწავლი და ამის მაგივრათ
რომელიც სრულებ არ გისწავლებიათ, კიდეც
სდომნებია ჩემი ცოლის გაუბედურება და იმას-
თან შეცოდება. მოახსენა ვეზირმა: შენი შვი-
ლის ლაპარაკი თავის ხელშია; თუ უნდა ილა-
პარაკებს და თუ უნდა ჩუმათ იქმნება, მაგრამ
იმის ლაპარაკს გაიგებთ, თუ სამი დღეც იც-
ოცხლა; რომელსაცა ბრძანებთ, რომ ჩემს მე-
უღლესთან შეცოდება სდომნებიაო, მაგას მე
ვერ ვირწმუნებ. ჭკვიანი დიაცი მაგისთანას ვერ

იტყვის; შვილი თქვენი, რომ იმისთანა ბრძე-ნი და ჭკვიანია, მაგისთანა საქმეს იზამდა, ნუ ქნას ღმერთმა რომ დავიჯერო; მაგრამ მე ამას მოგახსენებთ უკეთუ თქვენის მეუღლის სიტ-ყვით მოაკვლევინებთ თქვენს შვილს, უმწარე-სი მოგივათ თქვენ ბოქრატეზედ, რომელიც მოიმოქმედა თავისა შვილის შვილი კალენო-საზედ.

უბრძანა ხელმწიფემ: მე მინდოდა ეგ ან-ბავი გამეგო ბოქრატეზედ, თუ როგორ იყო.

მოახსენა ვეზირმა: უკეთუ ბრძანებთ გა-იგოთ არაკი ბოქრატესაზედ, გამოაბრუნები-ნეთ შვილი თქვენი საპატიმროში, და მე მო-გახსენებთ იმაზედ არაკს, და შემდეგ თქვენს სვინიდისს დაეკითხეთ და გაარჩიეთ სამართა-ლი, სასიკვდილოა შვილი თქვენი, თუ არა? მაშინ უბრძანა ხელმწიფემ, რომ თავისი შვი-ლი დაებრუნებინათ საპატიმროში, ვიდრე ვე-ზირი იტყოდა არაკს, და დაიწყო ვეზირმან არაკი:

ერთ ქალაქში ცხოვრობდა ერთი ბრძენი და ძრიელ სახელოვანი განთქმული ჰექიმი სა-ხელად ბოქრატესი, რომლისთანაც იმ დროს არ იყო არავინ. ამასა ჰყვანდა ერთი შვილის შვილი სახელად კალენოს, და ძრიელაც უყვა-

რდა ის. ეს ყმაწვილი ძრიელ გონებიანი იყო და დღე მუდამ იმას ფიქრობდა, რომ როგორმე ესწავლა ეს ხელობა თავისი მამისაგან. მაგრამ რა ბოქრატესი ჰხედამდა, რომ ეს ცდილობდა ამ ხელობის სწავლას, იმისაგან მალამდა თავის ხელობას, რადგან ეშინოდა რომ თუ ესწავლა ეტყობოდა ამაზედ უკეთესი მსწავლული და სახელოვანი უნდა გამოსულიყო და გადაეჭარბებინა თავის მამისათვის. რა კალენოსმა გაიგო თავის მამის ფიქრი, უფრო ცდილობდა, რომ მალე ესწავლა ამის ხელობა და იგრეც აღასრულა; შეიქმნა ნამდვილი დახელოვნებული ჰქიმი. ამ დროს ერთმა ხემწიფემ გამოუგზავნა კაცი ბოქრატესას და სთხოვდა რომ წასულიყო და მოერჩინა თავისი შეწუხებული შვილი. მაშინ ბოქრატესი აღარ წავიდა იმ მიზეზით, რომ მითომ მოხუცებაში იყო, მაგრამ გაგზავნა წერილი და თავისი შვილის შვილი თავის მაგივრათ, რადგან იცოდა რომ თავის ხელობაში ეს ყმაწვილიც ძრიელ კარგი დახელოვნებული იყო და მოარჩენდა; და უკეთუ ვერ მოარჩენდა ან იქავე მოჰკლამდნენ და ამის მამა ბოქრატესსაც ეს უნდოდა.

კალენოსი მაშინვე შეუდგა გზას, იარა და მივიდა იმ ხემწიფესთან, შევიდა და დი-

დის პატივით საღამო მისცა. ხელმწიფემ ძრიელ პატივით მიიღო კალენოსი, მაგრამ ძრიელ გაუკვირდა რომ ბოქრატესი არ მოსულიყო.

მაშინ კალენოსმა მოახსენა: პაპა ჩემი მოხუცებაში დიდი მოვალეობა აწევს და იმისათვის ვერ გიახლათ, მაგრამ მე გამომგზავნა თავის მაგივრათ, და მე უფლის ძალით მოვარჩენ თქვენს შვილს. ხელმწიფეს ძრიელ ესიამოვნა კალენოსის სიტყვა, შეიყვანა თავის ავადმყოფ შვილთან და აჩვენა. კალენოსმა რა ნახა შვილი ხელმწიფისა, მოახსენა ხელმწიფეს: საჭიროება მოითხოვს, რომ უნდა ვნახო თქვენი და თქვენი მეუღლის შარდი, რათა უკეთესათ გავიგო მიზეზი თქვენი შვილის ავადმყოფობისა.

რა დილა გათენდა, მეორე დღეს დედოფალმა ორივეს შარდი აჩვენა კალენოსს. კალენოსმა რომ ნახა ესენი, მოახსენა დედოფალს, რომ მოახლეები სულ კარში გასულიყვნენ რომ ჩუმათ სიტყვა მაქვს სათქმელიო, და იგრეც აასრულა. მაშინ მოახსენა კალენოსმა; ჰოი დედოფალო, ეხლა გეხვეწები და გთხოვ, რომ მართალი მითხრა ამ ყმაწვილის მამა ვინ არის? უთხრა დედოფალმა: მაგის მამა, ჩემი პატრონი ხელმწიფეა. უთხრა

გალენოსმა. ხელმწიფე არ არის მამა ყმარწვილისა. უთხრა დედოფალმა: თუ მცოდნებოდა, რომ ეგ სიტყვა მართალი გულით მითხარი, შენი თავი აქამდის აღარ იქნებოდა ტანზედაო. უთხრა გალენოსმა: მე მართალს მოგახსენებთ რომ ხელმწიფე არ არის მამა მაგ ყმარწვილისა, მაგრამ მე აქ მოვსულვარ, რომ დიდის ჯილდოებით პატივი მცეთ და არა თავი მომჭრათ; და თუ მართლა გულში გაქვთ ჩემი თავის მოჭრა, თქვენ ღმერთს მივანდობთ და მე გამიშვით ისევ წავიდე, და თქვენ სხვა ჴექიმი იშოვნეთო. რა დედოფალმა გაიგო ეს სიტყვები, უთხრა: ჰოი საყვარელო ჴექიმო, ნუ წახვალ, მე მოგითხრობ ჩუმათ ჩემს გულის პასუხს, მაგრამ გეხვეწები, არ განაცხადოთ და არ შემარცხვინოთ.

უპასუხა გალენოსმა: ნუ ქნას ღმერთმა, ჰოი დედოფალო, რისთვის შეგარცხვენ? უთხრა დედოფალმა: ერთი დროს წინათ ერთი ხელმწიფის ელჩი მოვიდა ჩვენთან და რა მარტოდ დავრჩით, მომივიდა შეცოდება იმასთან და მეყოლა ეს ყმაწვილი. უთხრა გალენოსმა: ნამდვილია რაც ბრძანეთ, ნუ შეგეშინდება ამის შემდეგ. ღვთის ძალით მოვარჩენ შენს შვილს.

მაშინ მისცა ყმაწვილს საჭმელად მარტო დეკეულის ხორცი და წყალი სასმელად და მორჩა ყმაწვილი. რა ნახა ხელმწიფემ ავადმყოფობისაგან მორჩენილი თავისი შვილი, დააჯილდოვა გალენოსი და დედოფალმაც. ეგრეთვე. გალენოსმა ჩუმად დაარიგა დედოფალი, რომ თუ უნდოდა თავისი შვილი საუკუნოთ გარგათ ყოფილიყო, ეჭმევინა მარტო დეკეულის ხორცი და დაელევინებინა წყალი; სხვა საჭმელ სასმელი არ უნდა მიიღოს თავის სიცოცხლეშიო.

შემდეგ ამისა გალენოსმა გარდაუხადა პატივი ხემწიფეს და დედოფალს და გამოვიდა, მოვიდა თავის პაპა ბოქრატესთან. რა ბოქრატესმა მოსული ნახა თავისი შვილის შვილი გალენოსი, გარდაეხვია, დაჰკოცნა და ჰკითხა: მოარჩინე ხელმწიფის შვილი? უთხრა გალენოსმა: დიახ მოვარჩინე. ჰკითხა ბოქრატესმა: რა სატკივარი ჰქონდაო? უპასუხა გალენოსმა: მე სატკივარი არ ვიცი, მარტო რომ მივეცი იმას საჭმელად დეკეულის ხორცი და სასმელად წყალი. უთხრა ბოქრატესმა: ნუ თუ ბოზი იყო დედა მისი? უპასუხა გალენოსმა: დიახ იმისთანა იყოვო.

მაშინ ბოქრატესის გულში ძრიელ ჯავ-

რი ჩაუვარდა კალენოსზე და ამბობდა თავის გუნებაში: ეს რომ ცოცხალი დარჩეს, ჩემი სახელი დაიკარგება, ეხლა უნდა ეს დაიღუპოს უკეთესია ჩემს დაღუპვაზედაო. იმ დღიდან ბოქრატესი ფიქრობდა, რომ როგორმე მოეკლა კალენოსი. ერთ დღეს ბოქრატესმა მოისურვილა ბაღში წასვლა ყვავილების მოსაგრევეათ. დაუძახა კალენოსს და უთხრა: საყვარელო შვილო ჩემო, მოდი, წავიდეთ ბაღში და მოვაგროვოთ ყვავილები. უთხრა კალენოსმა: აი აქა ვარ, მამაო ჩემო, და ორნივე ერთად წავიდნენ. რა შევიდნენ ბაღში, უთხრა ბოქრატესმა: შვილო კალენოს, ყვავილების სუნი კარგათ გესმის, რომელიც უფრო მძიქლია და კარგი. დაიხარე და დაკრიფე. კალენოსმაც დაუჯერა. რა შევიდნენ შუა ბაღში, უთხრა ბოქრატესმა: ერთი ნაირი ყვავილია, რომელიც ოქროს ფერია; მოძებნე და იპოვნე, რადგან ბევრი ნაირი ავადმყოფობის წამალია. კალენოსმა იპოვნა ეს ყვავილი, დაიხარა ამის მოსაგლეჯათ, მაგრამ ბოქრატესმა მაშინ ამოიღო თავის შვილდისარი უკანა მხრიდან დაარტყა კალენოსს, რომ მკერდამდის უწია და იქავე ალაგობრივ დაეცა და მოკვდა.

დიდი ხანი აღარ გავიდა, რომ სასიკვ-

დიდოთ ავათ შეიქმნა ბოქრატესი მუცლის ტკივილით და გაუნძრეველათ იყო ლოგინში. თითონ ვერ მოერჩინა თავის თავი. რა ბოქრატესის შაგირდებმა გაიგეს ამის ავადმყოფობა: ყველანი მივიდნენ, რომ ეშველათ რამე და მოერჩინათ, მაგრამ ვერავინ ვერ მოარჩინა მაშინ თქო ბოქრატესმა: ჩემი საყვარელი შვილის შვილი კალენოსი, რომელიც მე მოვკალი, რომ ცოცხალი ყოფილიყო, ის მომარჩენდა და ჩემთვის კარგი იქმნებოდაო- ეხლა ღვთის რისხვაა ჩემზე და ჩემი ცოდვის კითხვა, რომ ჩემზედ მოსულა. ეს რომ თქო, მაშინვე სულიც მისცა.

უთხრა ვეზირმა ხელმწიფეს: მაღალო ხელმწიფეო, ხომ გაიგეთ და შეისმინეთ, რაცა ვთქვი?

უპასუხა ხელმწიფემ: დიახ გავიგე და შევისმინე, რომ ძრიელ კარგი იქმნებოდა, გალენოსი ყოფილიყო ცოცხალი და ბოქრატესაც კიდევ იცოცხლებდა რაოდენიმე ხანს. უფლის უმტყუნო სამართლით იმისი წამლებმა ვეღარ იწარმოვეს და შაგირდებმაც ვეღარ მოარჩინეს ბოქრატესი.

მოახსენა ვეზირმა: რისათვისაც გეუბნები, მაღალო ხელმწიფეო, უარესი მოგივა იმა-

ზედ, უკეთუ შენის მეუღლის სიტყვით მოაკვლევინებ შენს დედის ერთა შვილს, რომელმაც თავის დროს უნდა გიშველოსთ და დეგესმაროთ თქვენ.

უთხრა ხელმწიფემ: მართალს გეტყვი, რომ ჩემი შვილი დღეს აღარ მოკვდება.

მოახსენა ვეზირმა: უკეთუ მაგრე იზამთ, კეთილი მოგიძღვისთ; რომ ჩემი არაკის თქმით დაიხსენით თქვენი შვილი, მე მაღლობას შემოგწირამთ, და ჩემი ლოცვა უკლებელი იქმნება თქვენზედ. ეს თქო ვეზირმა, მაღლობა გარდაუხადა და გამოვიდა, წავიდა.

რა გაიგო დედოფალმა, რომ დღესაც არ მოუკლამთ ხელმწიფის შვილიო, მაშინვე დაიხია ტანისამოსი, და დიდის ხმით და ხელმწიფეზედ წყრომით ამბობდა: ვაი მომსვლია მე, რომ მოვსულვარ მე ამათშიაო, რა ნაირია ჩემი მამის სახელმწიფო, და მე კი ვარ ქარე გაუხარელათ და უპატიოთაო. მაშინ ხელმწიფემ გაიგო დედოფლის ხმა, შავიდა იმასთან და უთხრა: საყვარელო ჩემო, რა არის მიზეზი, რომ მაგდენს აწუხებთ თქვენს თავს და არა ჩუმდებით ტირილისაგან? უთხრა დედოფალმა: როგორ უნდა შევიძლო გაჩუმება, რომ ხელმწიფის ქალი ვარ და დიდის ხელ-

მწიფის მეუღლე და ამოდენა შერცხვენაკი მოვიღე თქვენის ხელიდან და გთხოვე შენ ამდენი, და შენ სრულებ არ შემიბრალე.

უთხრა ხელმწიფემ: რისთვის ამბობ მაგას და რა დაგაკლდა შენ?

მოახსენა დედოფალმა: ნუ თუ არ იცი თუ რა მიყო შენმა დაწყევლილმა შვილმა, და შენ შენის თვალით ნახე, რომელის მოწამეც აღარ არის საჭირო, დამძირდი და დამაჯერე კიდეც მე რომ მოაკვლევინებ იმასაო, მაგრამ მე ვერ გაქნევინე ეს საქმე, რომ ჩემი ნება ასრულებულიყო.

უთხრა ხელმწიფემ: ჰოი დედოფალო, მე არ ვიცი თუ რა ვქნა; ერთი კვირა არის რაც შენ ცდილობ მომაკვლევინო ჩემი შვილი და ვეზირები ცდილობენ რომ ის დაიხსნან. და მე აღარ ვიცი, თუ რომელი მხარე დავიჭირო? და რომელია თქვენგნით მართალი, მე ვერ გავიგე.

მოახსენა დედოფალმა: თქვენ უფრო უჯერებთ თქვენს ვეზირებს ჩემზედ, მაგრამ თქვენც ისე დაგემართებათ, როგორც დაემართა ერთ ხელმწიფეს თავისი კარის კაცისაგან.

უთხრა ხელმწიფემ: გესვეწები, ჰოი დედოფალო, მიამბე ეგ არაკი, რომ მეც რამე

ვისარგებლო შენის სიტყვებიდან და იგრე მოვიქცე; და თუ მომეწონება, მაშინვე მოვაკვლევინებ ჩემს შვილს გაუკითხავათ.

მოახსენა დედოფალმა: ყველას რასაცა ვშვრები, როგორც შენ გინდა ისე ვშვრები, მაგრამ შენ კი სრულებ არ ასრულებ ჩემს თხოვნას; მაგრამ გიჩვენები, რომ კარგათ ყურადღებას უქნათ ჩემს სიტყვებს, და კიდევ ნუღარ მიჰყვებით შენი დაწყევლილი შვილის მასწავლებლების ტყუილ ლაპარაკს, და დაიწყო:

## მეექვსე არაკი დედოფლისაგან დაბოროტებულ და უწმინდურ ხემწიფეზედ.

ქალაქსა ერთსა იყო დაბოროტებული და უწმინდური ხემწიფე. არც ერთი დედაკაცი არ ისურვებდა მასთან წასვლას. არამედ მიაჩნდათ დედაკაცებს და ეჯავრებოდათ. ამ ხელმწიფემ მოისურვა რომ ძალათ წაერთმევინა საბერძნეთიდან გვამნი წმიდათა მოციქულთა პეტრეპავლესი თვისისა განკურნებისათვის. რა წავიდნენ გზას, მივიდნენ ერთსა ქალაქსა და იქ განისვენეს; მაშინ დაუძახა თვისსა მოლარესა, რომელიც იყო პატივ ცემული კაცი და უთხრა ხელმწიფემან: ჰოი, ჩემო ერთგულო, შენ-

გან ვითხოვ ერთს საქმეს და არ ვიცი, აღმისრულებ თუ არა, მოახსენა მოლარემან: მიბრძანეთ რაც გენებებათ, უფალო ჩემო, და მე ვეცდები აღსრულებასა მისისა თქვენის ერთგულობისათვის. უბრძანა ხელმწიფემ: მიშოვნე ერთი მშვენიერი ქალი, რომელთანაც მნებავს განსვენება ამ ღამესა. მოახსენა მოლარემან: უფალო ჩემო, ყოველთა დედაკაცთა იციან, რომ თქვენ სნეული და ბოროტი ბრძანდებით; ამისათვის არ მოვლენ თქვენთან, თუ არ მიიღეს დიდი ფასი და ჯილდო თქვენგნით. უთხრა ხელმწიფემ: ნუ თუ არა მაქვს შეძლება, რაც ფასი და ჯილდო ითხოვოს დედაკაცმა მივცე? მე მივცემ მას ათას ოქროს. ეს მოლარე იყო ძრიელ ხარბი და ვერცხლის მოყვარე; გამოვიდა, წავიდა თავის ცოლთან და უთხრა: საყვარელო ჩემო, ეხლა ხელთა შენთა არის თუ მოიწონებ და ინებებ, ამაღამ აიღებ ათას ოქროს. ცოლი მისი იყო მეტად მშვენიერი. უთხრა ცოლმან: მითხარი რა საქმით მიბრძანებ. უთხრა ქმარმან: ხელმწიფე ჩვენი თხოულობს ერთსა ქალსა, რომელთან უნდა განსვენება ამ ღამეს და დილაზედ ადრე განუტევოს; თქვენც იცით რომ ბოროტი და უწმინდური არის; ამისათვის დედაკაცნი არ

ნდომულობენ მასთან წასვლასა და მე დამპი-რდა ათას ოქროსა, რომ მიუყვანო ერთი ქალი; ეხლა, საყვარელო ჩემო, მე ამისათვის მოვსულვარ და მნებამს რომ წაგიყვანო შენ საწოლსა მისსა ამ ღამეს; განთიადის დროს მალე მოხვალ და ერთ ღამეს აიღებ ათას ოქროს.

უთხრა ცოლმან: თუმცა არ იყოს ბოროტი და სნეული, შორს იყოს ჩემგან, რომ მოვიმოქმედო ეს საქმე წინაშე ღვთისა და არ ჩავარდე ცოდვასა დიდსა. რა ქმარმან შეიტყო უარის თქმა, უთხრა ცოლსა: ღვთის სახელსა ვფიცავ, რომ ეხლა თუ არ აღასრულებ ნებასა ჩემსა, არ მიიღებ სიკეთეს ჩემგნით ვიდრე ცოცხალი იქმნები. რა ცოლმან ამისთანა პასუხი მოისმინა, ძრიელ შეშინდა და დაჰპირდა წასვლას. მაშინ მოლარე წავიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: უფალო, ვიშოვნე დედაკაცი მეტად მშვენიერი და მას ნებამს რომ უბოძოთ ათასი ოქრო, მაგრამ არა ნებამს დღით მოსვლა, უნდა ღამით მოვიდეს, ამისათვის რომ ყოველთა უცნობელ იყოს და ნებამს დილაზედ ღამიანათ წასვლა.

უთხრა ხელმწიფემ: იყოს ნებისა მისისამებრ. რა სიღამო შეიქმნა, მოიყვანა მოლა-

რემ ცოლი თვისი უნებურათ საწოლსა ხელმწიფვისა, დაკეტა კარი და თითონ წავიდა განმრახვითა, რომ მიიღებდა ხელმწიფისაგან ათას ოქროს.

მას ღამეს ხელმწიფემ საკურველათ იხილა დედაკაცი, განისვენა და შაექცა მასთან· ოდეს მოვიდა დრო ქათმის ყივილისა, მოვიდა იგი მოლარე ხელმწიფესთან, დაურეკა კარი და მოახსენა: უფალო, განთიადი მოწევნილა, თუ გაუშო დედაკაცი, უბოძეთ ათასი ოქრო; უკეთესია მალე გაუშოთ, რომ ვერ იცნან გზასა ზედან, უთხრა ხელმწიფემ: მართალს გეტყვი, რომ ჯერ ვერ გაუშვებ, იმისათვის, რომ მეტათ მომეწონა. რა მოლარემ ამისთანა პასუხი მოისმინა ხელმწიფისაგან, დიდათ შეწუხდა, მაგრამ გაატარა მცირე ხანი და კიდენ მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: უფალო, გამოუშვი დედაკაცი, რადგან განთიადის ჟამი არის და არ იქმნას შერცხვენილი. უთხრა ხელმწიფემან: ჯერ დრო არ არის, ვერ გაუშვებ, შენ გარეთ გადი და მოკეტე კარი. გამოვიდა მოლარემ გარეთ, შეწუხებული იარებოდა აქა იქ და არ იცოდა თუ რა ექმნა; ამასობაში მართლა გათენდა და მზემან მოჰფინა სხივი თვისი ქვეყანასა ზედა. მაშინ მოლარემ მე-

სამედ მივიდა, შევიდა ხელმწიფესთანა და მოახსენა: უფალო, მართლა ეხლა კი სინათლე არის და დედაკაცი მართლა სირცხვილში ჩავარდება; ხალხმა რომ ნახონ წასვლის დროს, მაშინ სხვა დედაკაცი რომ მოინდომო, აღარავინ მოვა თქვენთანა; მალე გამოუშვი წავიდეს. უთხრა ხელმწიფემ ვერ გამოუშვებ მალე, რადგან მნებამს ამაღამაც ამასთან განსვენება. რა ამ გვარი პასუხი შეიტყო ხელმწიფისაგან მოლარემან, მაშინ ველარ მოითმინა და მოახსენა: უფალო, გამოუშვი, რათა ცოლი ჩემი არის, როდესაც ხელმწიფემ ეს გაიგონა მოლარისაგან, უთხრა: გააღე სანათური და ვიხილო, თუმცა ნათქვამი შენი არისო. მაშინ გააღო მოლარემან სანათური და იხილა ხელმწიფემ, რომ მართლა ცოლი მისი იყო. მაშინ გაუწყრა და უთხრა: ჰოი, შენ წყეულო და ყოველთა საძაგელო კაცო, მცირე რამ ოქროსათვის შეარცხვინე ცოლი შენი და უცნობელად მოიყვანე ჩემთან? რადგან ესრე ჰქენი, ახლავე დაიკარგე ჩემის ქვეყნიდგან, რომელიც საბძანებელია ჩემი; თუმცა დღესვე არ დაიკარგები ჩემის პირიდან, ვფიცავ თავსა ჩემსა უნამუსო სიკვდილით დაგკარგავ შენ. რა მოლარემ ეს ისმინა, მაშინვე გარდაიხვეწა წინაშე

ხელმწიფისაგან და აღარ გამოჩნდა მუნ.

შემდეგ ამისა ხელმწიფე აიყარა წავიდა საბერძნეთს, საბერძნეთი მისცა დიდსა შეწუხებას მრავალსა დროსა, ვიდრე ინებეს მიცემა წმინდათა ნაწილსა პეტრესი და პავლესი. ამ დროს იყვნენ საბერძნეთსა შვიდნი მეცნიერნი როგორც წყეულის შვილისა ოქვენისანი, და ინახამდნენ ქალაქს.

მაშინ მოვიდნენ მოქალაქენი ამ მეცნიერებთან და მოახსენეს: რა ვქნათ, რომ ქალაქი ეგრე შეწუხებაში არის? საქმიდან ისრე სჩანს რომ ანუ ქალაქი უნდა მივცეთ და ანუ წმიდა ნაწილი მოციქულთა. მაშინ უთხრა მათ გან პირველმან მეცნიერმან: მე შევინახამ ქალაქსა და წმინდათა ნაწილთა დღესა ერთსა, რომ არ ევნოს ხელთა მათგან. და ეგრეთვე მეორეთა მეცნიერთა აღუთქვეს, ვითარცა შვილისა შენისა. ოდეს ხელმწიფემან დაუწყო გარედამ ქალაქსა ბრძოლა, მაშინ წარმოდგა პირველი მეცნიერი ქალაქიდამ, დაუწყო მას ხელმწიფესა მეცნიერებითა თვისითა ლაპარაკი, მანამ დამშვიდდა იგი ხელმწიფე ბრძოლისაგანა; და ეგრეთვე ყოველთა მეცნიერთა დაუწყეს თითო დღე ლაპარაკი, ვიდრე მოვიდა უკანასკნელი მეცნიერთან. მეშვიდე დღეს მო-

ვიდნენ ყოველნი მოქალაქენი და უთხრეს: ჵოი, შენ პატივცემულო და ყოველგან განთქმულო და სახელოვანო მეცნიერო, აჰა მან ხელმწიფემან დაიფიცა: ხვალ ადრე ქალაქს ავიღეფო; და თუმცა მართლად დაიჭირა, ჩვენ ყოველნი დავიკარგებით: ასლა შენც ეცადე შენი ამხანაგებივით დაგვიხსნა. უთხრა მან მეცნიერმან: ნუ ზრუნამთ თქვენ, მე ასრე მნებავს, რომ ხვალ ადრე საქმე იმისთანა ვიმოქმედო, რომ მაშინვე იგი ხელმწიფე გარდაიხვეწოს ჯარითა თვისითა.

ოდეს დილა გათენდა, მას დროს დაუწყო ხელმწიფემ ქალაქსა ზედა ბრძოლა. მაშინ ჩაიცო მან მეცნიერმან ერთ გვარი შესამოსი, რომელიც გაკეთებული იყო სხვა და სხვა ფრინველების ბუნბულებით: მავარდენისა, არწივისა და სხვა ფრინველებისა. აიღო ორ ხელში ორი ბრწყინვალე ხმალი, განვიდა ერთსა მაღალ კოშკსა პირის პირ ხელმწიფისა, დაიწყო გარეშემო კოშკისა ტრიალი და ბრწყინვალებდა ვითარცა მზე; საკურველად ჰქონდა ხმალთა ელვარება, ვიდრე ვერა რომელსა შეძლო მისკენ თვალის გამართვა.

რა იხილეს ყოველმან ჯარმან ესე საკურველება, ერთ პირად ხელმწიფეს მოახსენეს:

უფალო, ამისთანა საკურველი რამ არასოდეს არ გვიხილამს, რომელიც წინასა ჩვენსა არის მაგ კოშკსა ზედა. უთხრა ხელმწიფემ: ძრიელ საკურველება არის, რომელსაცა ვხედამთ. მაშინ იმათ მოახსენეს: ეს უნდა იყოს ქრისტიანების ღმერთი, რომელიც ჩამობრძანებულ არს ზეციდან და გვაშინებს ჩვენ რომ უნდა იმავე ხმლებით ამოგვწყვიტოს, უკეთუ მცირედ აქ შევიგვიანეთ. რა ნახა ხელმწიფემ, ძრიელ შეშინდა და უთხრა: მაშ რა უნდა ვქნათო? მოახსენეს ჯარმა: მოდით მალე განვშოორდეთ აქედან, რომ იმათმა ღმერთმა არ ამოგვწყვიტოსო; და გამოიბრუნეს პირი გასაქცევათ ხელმწიფე და თავის ჯარმა ერთად.

რა იხილეს საბერძნეთმა ამ გვარი გაქცევა, იგინიც ფიცხლავ აბჯარით შეიმოსნენ და საომრად გამოუდგნენ; მრავალნი მათგან დახოცეს და ხელმწიფეც მოკლეს მცირედი იმათგანნი ძლივს გადარჩნენ და გაიქცნენ. და ამ ნაირათ დამარცხებულ იქმნენ ყოველნი ჯარნი ერთის მოხუცებულის მეცნიერისაგან.

მაშინ მოახსენა დედოფალმან ხელმწიფეს: უფალო, მოისმინე მოხსენება ჩემი? უთხრა ხელმწიფემან, დიახ ვისმინე. მოახსენა დედოფალმან: ნახე ვითარი საყვარელი იყო და

დიდებული იგი მოლარე ხელმწიფისა, რომელმაც სურვილით მცირე ოქროსი იქმნა სირცხვილეული, დაკარგა ცოლი მშვენიერი და თვითონაც გარდაიხვეწა იმ ქვეყნიდან; ეგრეთვე შვილი თქვენი სურვილისათვის თქვენის სახელმწიფოსი და დიდებისა უნდა გაგაუპატიოოთ თქვენ და დაგკარგოთ, რათა თითონ იხელმწიფოს თქვენს ალაგას.

ახლა თქვენც უკეთუ არ გნებავსთ სიკვდილი თქვენის შვილისა, გააგდეთ თქვენის საბძანებლიდან, როგორც იმ ხემწიფემ გააგდო თავისი მოლარე, და თქვენ ბრძანდებოდეთ მშვიდობით. მოისმინეთ ისიც, თუ როგორ იგი ხელმწიფე ლაშობდა ქალაქის ალებას, მაგრამ როგორ მოტყუვდა იმ მეცნიერებისაგან და მეშვიდეს დღეს მეშვიდე მეცნიერის მანქანებით გაუშვა ქალაქი ხელთაგან, გაიქცა, თითონაც მოკვდა და ჯარიც. ეგრეთვე მასწავლებელთ შვილისა შენისას ნებამთ, რომ იგრე გიქნან, მოგატყუონ, შემდეგ მოგკლან იმ ხემწიფესავით და შენს ალაგას ახელმწიფონ შენი დაწყევლილი შვილი. უთხრა ხელმწიფემ: მართალს გეტყვი რომ მე ველარ მიზამენ იმისთანა საქმეს, რადგან დილაზედვე მივცემ იმას გაუკითხავათ მწარეს სიკვდილს.

## მეექვსეთ წაყვანა ხელმწიფის შვილისა სასიკვდილოთ და მეექვსე ვეზირისაგან არაკით დახსნა.

რა დილა გათენდა, გამობძანდა ხელმწიფე, დაჯდა თავის ტახტსა, მაშინვე დაუძახა ჯალათსა და უბრძანა: წადი მალე, ამოიყვანე შვილი ჩემი საპატიმროდამ, მასვე ყაქსა წაიყვანე, მოკალ გაუკითხავათ და განაშორე თავი მისი ტანიდგან. ეგრეთვე დედოფალი უქადაგებდა და ჰპირდებოდა დიდს საჩუქარს, უკეთუ მალე აღასრულებდა ხელმწიფის ბრძანებას და დიდის წვალებით სიკვდილს მისცემდა ხელმწიფის შვილს. მაშინ მივიდა ჯალათი, ამოიყვანა შვილი ხელმწიფისა საპატიმროდამ, შეუკრა ხელები უკანიდამ და იმისთანათ უპატიოთ მიჰყვანდათ; წინ მიუძღოდნენ და იძახდნენ: ვინც მოინდომებს შეცოდებას თავის დედისნაცვალთან, ამ გვარი სიკვდილით უნდა დაისაჯოს. როდესაც ხალხს ესმათ, რომ კიდევ დაბეზღებულა შვილი ხელმწიფისა და სასიკვდილოთ მიჰყავთო, დაიწყეს მაღლა ხმით გლოვნა და ტირილი, და ამბობდნენ: ვაი, ვაი, აფსოს, აფსოს და ათასჯერ აფსოს, რომ უბრალოთ კვდება მე ხელმწი-

ფისა. ამ დროს მოეწია მეექვსე ვეზირი. იხილა რომ მე ხემწიფისა შესაბრალისათ მიჰყვანდათ; მაშინვე შესძახა განრისხებით მსაჯულსა და უთხრა: რისთვის შეგიკრამთ მე ხელმწიფისა, ნუ თუ სასიკვდილოდ იყოვო ხელმწიფის შვილი და მაშინვე გაახსნეინა. უთხრა მსაჯულმან: ჭოი, პატივ ცემულო მეცნიერო, ბრძანება დიდი არის ხელმწიფისა, და მეტადრე დედოფლისა, და ჩვენ რა ვქნათ? ოდეს იხილა ხელმწიფის შვილმა ვეზირი, თაყვანი სცა და ვითარცა ენება თქმა: მომიხსენე მე წინაშე მამისა ჩემისა, რომელ უბრალოთ მივალ სასიკვდილოთაო. ეგრეთვე ხალხნიც უმეტესად ევედრებოდნენ ვეზირსა, რომ ჩქარა წასულიყო ხელმწიფესთან და დაეხსნა შვილი ხელმწიფისა. უთხრა ვეზირმან მას მსაჯულსა: ნუ სჩქარობ სიკვდილსა ხელმწიფის შვილისა, იმედი მაქვს ღვთისა, რომ მე დღეს დავიხსნა ეს სიკვდილიდან.

რა ეს სიტყვა დაასრულა, მაშინვე წავიდა, შავიდა პალატში დი თაყვანი სცა ხელმწიფეს. უთხრა ხელმწიფემ: მალე შეგხვდება შენ უბედურება. უთხრა ვეზირმა: იცის ღმერთმა რომ მე თქვენთვის არ მიმსახურნია იგრე რომ ღირსი ვიყო დასჯისა, მაგრამ იმედიც მქონ-

და, რომ თქვენგნით პატივიც მიმეღო, არა თუ წყრომა. უთხრა ხელმწიფემ: მე მოგეცით შვილი ჩემი წმინდათ მოლაპარაკე, რომელიც ახლა შექმნილა პირუტყვი; მაგრამ უმეტესი ცუდი ეს არის, რომ მოუნდომებია შერცხვენა და შეწუხება დედოფლისა ჩემისა, რისათვისაც დღეს უნდა ის მოკვდეს და თქვენთვისაც გამზადებული არის თქვენი გაწვალება, რომ თქვენის თვალით იხილოთ სიკვდილი თქვენი. უთხრა ვეზირმან: უფალო, რომელიც ბრძანეთ, რომ პირუტყვი შექმნილა მე თქვენი, მე ვიცი რომ არ არის მართალი დამუნჯება მისი, რადგან შეუძლიან იმას ლაპარაკი, მაგრამ ჯერ არ არის დრო; დროება მოსულია იმის ლაპარაკისა და უკეთუ ცოცხალ გადარჩება ორი დღეც, მაშინ გაიგებთ იმის ლაპარაკს; რომელ ბრძანებთ, თუ დედოფლისა ჩემისა უნებების შეწუხება და შერცხვენაო, მე დიდათ მიკვირს რომ ხელმწიფე მეცნიერი ბრძანდებით და თქვენის მეუღლის სიტყვა დაგიჯერებიათ მოტყუებით. უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით მოაკვლევინებთ თქვენს დედის ერთა შვილს, თქვენც ისრე დაგემართებათ, როგორც დამართა ერთ კაცს, რომელმაც დაუჯერა ცოლის დარიგებას და სიტყვას, მაგრამ ბოლოს იქ-

მნა ცხენის კუდს გამობმული და ხეზედ დაკიდული. უბრძანა ხელმწიფემ: ღვთის გულისათვის მითხარი ეგ არაკი, რომ შევიძლო გამოსვლა ამ მწუხარებისაგან. მოახსენა ვეზირმა: მოხსენება ჩემი უბრალოდ იქმნება და ვერც გულმშვიდათ მოგახსენებთ: თუმცა გნებავთ, რომ მოისმინოთ არაკი ჩემი, მაშინ დააბრუნეთ სიკვდილისაგან შვილი თქვენი, ამყოფეთ საპატიმროსა დ~ მე მოგახსენებთ არაკსა დ~ თუმც მოგეწონოთ, აცოცხლეთ შვილი თქვენი და თუ არა, მაშინაც შეგიძლიანთ იმისი სიკვდილი, ნება ხელმწიფისა აღსრულდეს. რა მეცნიერისაგან ესე პასუხი ისმინა, ბრძანა ხელმწიფემან დაბრუნება თავისი შვილისა საპატიმროს და მეცნიერმან დაიწყო არაკი:

მეექვსე არაკის მოხსენება მეექვსე ვეზირისაგან, რომელიც თქო მიზეზი ერთის ცოლისა, რომელმაც დახოცა სამნი მხედარნი და შემდეგში თითონაც მიეცნენ წვალებით სიკვდილსა.

ქალაქსა ერთსა იყო ვინმე ხელმწიფე დ~ ჰყვანდა სამნი მხედარნი მეტად სახელ განთქმულნი და მრიელნი, რომელნიც მას ხელ-

მწიფეს მრიელ უყვარდა. მასვე ქალაქსა იყო ერთი დროული კაცი. მას ჰყვანდა ახალგაზდა ცოლი, მეტად მშვენიერი, ვითარცა დედოფალი თქვენი და ძრიელ უყვარდა იგი დედაკაცი. იგი დედაკაცი იყო მეჩანგე, მგვრელი; რომელიც ტკბილი საკრავის ხმითა მიიზიდამდა თავისაკენ მრავალსა მსმენელსა. დღესა ერთსა იჯდა სახლსა თვისსა და ჩვეულებისამებრ მდეროდა გზისა მხარეს, დაიწყო ტკბილის საკრავის კვრა მეტად მაღლა ხმით, ისე რომ ყოველნი მსმენელნი განცვიფრებულ შეიქმნენ

ამ დროს შეხვედრით გაიარა იმის კარებთან ერთმან მხედარმან სახელმწიფოს პალატიდან და რა შეიტყო ტკბილი ხმა მისი და იხილა სიმშვენიერე ქალისა, ჩაუვარდა ეგოდენ სიყვარული მისი, რომ შავიდა მასთან; დაუწყო მას საუბარი ურიგო და უთხრა: საყვარელო ჩემო, რა მოგცე, რომ განისვენო ჩემთან ღამესა ერთსა? მოახსენა დედაკაცმან: მომეცი ორმოცი ოქრო და განვისვენებ თქვენთან ერთსა ღამესა. უთხრა ხედარმან: ნება მაქვს მოცემისა, მაგრამ გამაგებინე რა დროს მოვიდე შენთან? უპასუხა დედაკაცმა: ახლა წადი ჩემგან და როდესაც დრო მექმნება, მე თითონ გაცნობებთ. გამოესალმა იგი მხედარი.

და წავიდა პალატსა, მაგრამ გულში ჰქონდა დაპირება ქალისა. მეორე დღესაც კიდევ იჯდა ჩვეულებრივ საყურებელ ალაგსა და ტკბილის ხმით მღეროდა. ეხლაც შეხვედრით გაიარა მეორე მხედარმა, პირველის მხედარის ამხანაგმან; და რა გაიგო ამისი ხმა, აენთო სიყვარულით და დაუწყო მას დედაკაცს ლაპარაკი ურიგო, და უთხრა: საყვარელო ჩემო, რა მოგცე შენ, რომ ნება მომცე შენთან შექცევისა? უთხრა დედაკაცმან: ასი ოქრო. უთხრა მხედარმან: მე მნებამს რომ შენ მოგცე ასი ოქრო და სხვა საჩუქარიც, მაგრამ როდის მოვიდე და აღვისრულო სურვილი ჩემი? უპასუხა დედაკაცმან: როდესაც დრო მექმნება, მე გაცნობებ, ეხლა წადი ჩემგან შენს ბინაზედ, რადგან დრო არ არის; მაშინ მხედარი გამოესალმა დედაკაცს და იმედიანათ წავიდა თავის სადგომსა. მესამე დღესაც იჯდა სახლის კარებთან და უცხოს ხმით იმღეროდა. მაშინ მესამე მხედარმან, რომელიც იყო ამხანაგი უწინდელებისა, მას გზას გაიარა, და რა გაიგო ტკბილი ხმა მისი, ისე მოეწონა, რომ სასიკვდილოთ მიიწურა, უკეთუ არ ელაპარაკნა ამ ქალთან; მაშინვე ვეღარ მოითმინა, შავიდა გაბედულობით ამ ქალთან, დაუწყო საუბარი დ

უთხრა: რა მოგცე შენ, რომ აღასრულო ნება ჩემი? მან ქალმან უპასუხა: ასი ოქრო მომეცი. მიუგო მხედარმან: შემიძლიან მოგცე ასი ოქრო, მაგრამ მითხარ, რა დროს მოვიდე შენთან. უთხრა დედაკაცმან: მე გაცნობებ მას დროს, რომ უშიშრად მოხვიდე შენ. მაშინ მხედარმან მოიწონა სიტყვა ქალისა, გამოესალმა და წავიდა სადგომსა თვისსა. ამ ნაირათ ამ სამთა მხედართა დაფარულად ერთმანერთისაგან ცალკ-ცალკე პირობა დაუდვეს მას დედაკაცსა. იგი დედაკაცი იყო ფლიდი და სავსე ყოველის ავის საქმით. რა დაღამდა და მოვიდა ქმარი მისი სახლსა თვისსა, მოეგება ქმარსა და უთხრა: მშვიდობა შენი მოსვლა და ნახვა, ჩემო საყვარელო პატრონო, მაქვს საქმე შენთან სათქმელი საიდუმლო, და უკეთუ აღასრულებ შენ ჩემს საიდუმლოს, დიდებას და ბედნიერებას მოვეწევით, აჭა საწყალთა ვართ. უთხრა ქმარმან: რა გვარის საქმით? უპასუხა ცოლმან: სამნი დიდებულნი მოვიდნენ ჩემთავის სახელმწიფოს პალატიდან თითო თითოდ ერთი ერთმანერთის უცნობლად და თვითეულენი დამპირდნენ ას ოქროს მოცემას, რომ აღვასრულო ნება მათი. ახლა დიდი ჭკვა და მეცნიერება იქმნებოდა ჩვენგნით, რომ რო-

გორმე წაგვერთმევინა იმათგან ის ოქროები და მე იმათთან არ განმესვენა. უთხრა ქმარმან: როგორც შენ ინებებ, ჩემიც მოსაწონი იქმნება. უთხრა დედაკაცმან: მე მოგცემ შენ ერთ კარგ დარიგებასა: პირველ დაღამებისას დაუძახოთ პირველს დიდებულს ოქროთი; მეორე ამხანაგს შუაღამისას და მესამეს ქათმის ყიყილისას. როცა იგინი მოვიდნენ ჩემთან, მაშინ შენ იყავ გამზადებული კარის უკან ბასრის ხმლით და რომელიც მათგან შემოვიდეს, ნურას ჰკითხავ, მაშინვე თითო თითო დახოცე უეცრათ იგინი და გამოვართოთ მოტანილი ოქროები. უთხრა ქმარმან: მეშინიან რომ ვინმემ გაგვიგოს ეს საქმე, შეასმინოს ხელმწიფეს და უწყალოდ დაგვხოცენ ჩვენც. უთხრა ცოლმან: ნუ გეშინიან, ეს საქმე მე თითონ განვიძრახე და მე თითონ კიდეც აღვასრულებ. ეს რომ გაიგო ქმარმან, უთხრა: რაკი არ დაგიშლია ეს საქმე, რასაც მეტყვი მე, აღვასრულებ შენს დარიგებას. ცოლ ქმართა ესე განიძრახეს.

მაშინ უსვინდისო დიაცმან დაუძახა პირველ დიდებულს, რომ მალე მოსულიყო მასთან, და როცა აცნობეს; მაშინვე ფიცხლავ მოვიდა იგი. უთხრა დედაკაცმან: საყვარელო,

თუ გნებავს რომ აღვასრულო ნება თქვენი, მობრძანდით პირველ ღამეს ჩემთან, თან მოი-ტანით ჩემს მოსაცემ ოქროებს და აღასრულებთ თქვენს ნებას. უთხრა დიდებულმან: განმზადებული ვარ სიყვარულისა შენისათვის, გარდაეხვია, აკოცა დედაკაცსა და წავიდა. და ეგრეთვე დაუძახა მეორე და მესამეს თვითეულათ იგივე სიტყვანი უთხრა და მოსვლის დროც დაუნიშნა მეორეს შუაღამე და მესამეს მამლის ყივილის დრო.

რა საღამოს ჟამმა მოაწია, მოვიდა პირველი დიდებული, დაურეკა კარი; მაშინ ამ ქალის ქმარი მზათ იყო კარებს უკან, გაუღო კარები და როცა შევიდა, მსწრაფლ ხმალი შემოჰკრა და მოკლა იგი დიდებული და გვამი მისი შეათრიეს ერთს ბნელს ოთახსა. რა იქმნა შუაღამე, მოვიდა მეორე დიდებული თავის დაპირებულის ოქროებით, იგიც მისებრივ მოკლეს და გვამი მისი შეათრიეს ბნელს ოთახსა. მოვიდა მესამეც მამლის ყივილის დროს იგიც მოკლეს და გვამი მისიც შეათრიეს იმავე ბნელს ოთახსა. რა ეს საქმე ეგრე დააბოლოვეს, მაშინ უთხრა კაცმა თავის ცოლს: ჰოი საყვარელო ჩემო, ნუ ქნას ღმერთმან რომ ამ კაცების გვამნი იპოვნონ ჩვენთან, მაშინ

ჩვენც მწარის სიკვდილით უნდა მოგვისპონ სიცოცხლე; რადგან არ შეიძლება რომ ჰალატიდან არ მოიკითხონ ეს კაცები, თუ რა იქნენ? უპასუხა დედაკაცმა: ეს საქმე მე დამიწყვია და მევე დავაბოლოვებ; შენ ჯერ კიდენ არ იცი დედაკაცის მოხერხება და მანქანები. ამ დედაკაცსა ჰყვანდა ერთი ძმა და იყო ქალაქის მცველათ ღამისა. რა ღამის მცველნი გამოვიდნენ დაჲარებოდნენ ქალაქსა შინა, მაშინ გამოვიდა დედაკაცი და დადგა სახლის კარებში; იხილა თავისი ძმა, რომელმაც გაიარა, დაუძახა და უთხრა: ძმაო, შენთან მაქვს ერთი საიდუმლო სიტყვა სათქმელი და გთხოვ სახლში შემოხვიდე და იქ გეტყვი. და რა შევიდა სახლში, ქმარმაც დიდის სიყვარულით მიიღო თავისი ცოლის ძმა და დასხდნენ ცეცხლთან. მაშინ უთხრა დედაკაცმან ძმას: ჰოი საყვარელო ძმაო ჩემო, მიზეზი შენის დაძახებისა ჩემთან ეს იყო, რომ საიდუმლო ჩემი გულის პასუხი მეთქო შენთვის. გასულ ღამეს დიდებული ვინმე შემოვიდა აქ უცნაურად, ჩემთან ენება მოსვენება, მაშინ ქმარი ჩემი შემოვიდა და ამასაც დაუწყო აპირათ ლაპარაკი, ამ ნაირათ დიდი შუღლი მოუვიდათ; გაუწყრა ქმარი ჩემი და მოკლა დიდებული იგი. აჰა გვამი მი-

სი, რომელიც გდია შიგნით ოთახსა ეხლა სა-
ყვარელო ძმაო ჩემო, შენის მეტი არავინა მყა-
ვს ქვეყანაში და შენა ხარ ჩემი იმედი; მაგისი
გვამი რომ ჩვენთან იპოვნონ, დიდის წვალე-
ბით დაგვხოცენ; ამისათვის გეხვეწები, რომ
აქედან აიღო გვამი მისი, წაიღო დაკარგო იმი-
სთანა ალაგას სადმე, რომ აქ არავინ იპოვნოს.
მაგრამ იმ ოჯისათვის არაფერი არ უთხრა.
უთხრა ძმამან: დიდათ მძიმე საქმე დამავალე,
მაგრამ მოგეხმარები; ჩააგდე ერთ მეშოკში
გვამი მისი და მე წავიღებ, ჩავაგდებ ზღვაში,
რომ იმისი ნიშანი არსად გამოჩნდეს. რა დე-
დაკაცმა ძმისაგან ამისთანა სიტყვები გაიგონა,
ძრიელ განიხარა; მაშინვე აიღო პირველი დი-
დებულის გვამი, ჩააგდო ერთ ტომარაში და
მისცა თავის ძმას: იმანაც ჩუმათ წაიღო, გარ-
დააგდო ზღვაში, დაბრუნდა დასთან და უთ-
ხრა: დამალევინე კარგი ღვინო, რომ შენ და-
გიხსენიო. უთხრა დამ: ღმერთმან მოგცეს
შენც სიკეთე ჩემო ძმაოვო; აიღო მაშინვე
ღვინის ჭურჭელი, შევიდა საცა ლეშები ეყარ-
ნენ იმ ოთახში, მითომ ღვინო უნდა გამოუ-
ტანა ძმისათვის, და უცებ შექმნა ყვირილი დი-
დის ხმით და ამბობდა: უყურეთ რა საკვირვე-
ლსა ვხედამ, რომ ზღვაში ჩავარდნილი კაცის

გვამი ისევ მოსულა ჩვენსა. რა გაიგო ეს ან-
ბავი დედაკაცის ძმამ, ძრიელ გაუკვირდა და
უთხრა: მომეცი მე კიდევ წავიღებ მაგ კვდა-
რსა და ვნახოთ როგორღა მოვა. მაშინვე
დედაკაცმა აიღო მეორე მხედრის გაატანა
ძმას, ამასაც ეგონა პირველი წაღებული იყო,
შეაბა ერთი დიდი ქვა ყელზედ და იგრე გა-
დააგდო ზღვაში; დაბრუნდა თავის დასთან და
უთხრა: ეხლა მომეც კარგი ღვინო დავლიო,
ახლავი უეჭველათ მოგარჩინე განსაცდიელს.
უთხრა დამან; იკურთხე ღვთისაგან, რომ ეს
სიკეთე მიყავ, და მაშინვე შეკვიდა იმავე ოთა-
ხში, მითომ ღვინო უნდა გამოეტანა და შე-
ჰყვირა მაღალის ხმით და ამბობდა: ვაი, ვაი,
თუ რა ნაირი ვაი დამყრია, რომ კიდევ მესა-
მეთაც მოსულა ეს წყეული მხედრის გვამი.
რა გაიგო ძმამან ძრიელ გაკვირდა და თქო-
ნუ თუ ეშმაკი ყოფილა ეგ კაცი? პირველათ
ჩავაგდე ზღვასა. გამოვიდა; მეორეთ ქვა შევა-
ბი კისერზედ და იგრე გადავაგდე, კიდევ გა-
მოვიდა. ეხლა მომეც მესამეთაც წავიღო თუ
მოვა. აიღო მესამე დიდებულის გვამიც, ეგონა
პირველი იყო, წაიღო, გამორდა ქალაქს, ჩაა-
გდო ერთ მცირე ორმოში, მოაგროვა მასზედ
მშრალი შეშა და აანთო დიდი ცეცხლი და

დაწო გვამი მისი; თითონ განშორდა ცეცხლსა და უყურებდა შორიდან ამ დროს ერთი ვინმე შორეული მიდიოდა გზასა ზედან ცხენით და რადგან შეცივებულ იყო ყინვისაგან, რა ცეცხლი იხილა, მოვიდა ცეცხლსა პირსა, დადგა მუნ და თბებოდა.

რა ნახა ამ დედაკაცის ძმამ, რომ ცეცხლის ახლო ვინმე კაცია, მაშინ გაკვირებულმან მივიდა ამ კაცთან და ჰკითხა: შენ ვინა ხარ, რომ აქ სდგეხარო? მან კაცმან უპასუხა: მე ვარ დიდებული უცხო ქვეყნიდამ და ცეცხლზედ ვთბები, რადგან ძრიელ ვიყავ შეწუხებული სიცივისაგანაო. ამან უთხრა: შენ არა ხარ დიდებულიო, შენ სწორეთ ეშმაკი ხარო, რადგან ერთხელ ჩაგაგდე ზღვაში გამოხველ; მეორეთ კისერზედ ერთი დიდი ქვა შაგაბი და მორს ზღვაში გადაგაგდე რომ აღარ გამოსულიყავ, კიდევ გამოხვედი; და ბოლოს მესამეთ ჩაგაგდე ცეცხლში, რომ დამწვარიყავი და აჰა ისევ გამოსულხარ და სდგეხარო. ეს თქო, მაშინვე მოჰკიდა ხელი, ჩააგდო თავისი ცხენიანათ ცეცხლში და დაწო. შემდეგ ამისა დაბრუნდა თავის დასთან და უამბა ყოველი თუ როგორ მოუხდა საქმე და უთხრა: მოიტა ახლა კარგი ღვინო, რომ დავითროთ, რადგან

მრიელ დაღლილი ვარო.

ეს რომ დედაკაცმან გაიგო, თქო იგი დიდებული სხვა ვინმე ყოფილა და უბრალოთ დავიწვამსო; წავიდა მაშინვე, გამოუტანა ტკბილი ღვინო და მიართო თავის ქმას. შემდეგ ქმამან მადლობა გარდაუხადა, გამოვიდა და წავიდა. მცირე ხნის შემდეგ ეს კაცი გაუწყრა ერთი საქმისათვის ცოლსა მას შემოჰკრა ხელით, და ეს დედაკაცი მაშინვე განრისხებული გავარდა გარში და დაიწყო მაღლა ხმით ძახილი საქვეყნიეროთ: ჰოი შენ მუხანათო კაცო, ნუ თუ მეც ისრე გინდა მომკლა, როგორც ამოწყვიტე ის საწყალი სამნი დიდებულნი ხელმწიფისანი?. რა ეს ამბავი შეიტყეს ხალხმან, წავიდნენ და განუცხადეს ხელმწიფეს. მანაც მოაყვანინა ესენი, ყოველი დაწვრილებით გამოიძია და გაიგო, რომ მართლათ ამათ დაეხოცნათ ხელმწიფის მხედარნი და სამასი ოქროც წაერთმევინათ. მაშინ ხელმწიფე მრიელ განრისხდა ამათზე და უბრძანა, რომ ორნივე ერთად გადაებათ და მოებათ ერთი ცხენის კუდზე და ისრე თრევით წაეყვანათ სასიკვდილო ალაგას და იქ ჩამოეკიდნათ ხეზედ.

შემდეგ ამისა მოახსენა ვეზირმან ხელმწიფეს: მოისმინე ესე არაკი? უპასუხა ხელმ-

წიფემან: დიახ მოვისმინე, რომ იმ წყეულმან დიაცმან, რომელიც თითონ იყო სასიკვდილო მწარის სიკვდილით და აგრეც მოუვიდა, მაგრამ ქმარი თვისი ამისაგან უბრალოთ დაბეზღებულ იქმნა სასიკვდილოთ. მოახსენა ვეზირმან: უფალო, მართლათ მოგახსენებთ, რომ უკეთუ თქვენის მეუღლის სიტყვით მოაკვლევინებთ თქვენს დედის ერთს შვილს, თქვენ უარესი დაგემართებათ იმ კაცზედ, რომელიც მოგახსენდათ. უთხრა ხელმწიფემ: ჰოი მეცნიერო, ნამდვილს გეტყვი, რომ დღეს შვილი ჩემი აღარ მოკვდება შენის არაკის გულისათვის. მოახსენა ვეზირმან: მადლობას შემოგწირამთ რომ ჩემის არაკისათვის დღეს დაიხსენით შვილი თქვენი სიკვდილისაგან.

რა დედოფალმან გაიგო, რომ დღესაც შვილი ხელმწიფისა სიკვდილიდან გადარჩენილაო, მაშინ გამწარებული მგსავსად მხეცისა მივიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: ვაიმე დღეს, ეხლა მიჯობდა სიკვდილი, ვიდრე ამისთანა მწარის საქმით სიცოცხლე; და ეხლა მსურს მე, რომ ჩემი თავი მალათ მოვიკლა, ვინემც ამისთანა შეწუხება მოვითმინო, რადგან შერცხვენილი ვიქმენ ქვეყნიერათ და ვერ აღვასრულებინე სურვილი ჩემი. უთხრა მას

ხელმწიფემან. ღმერთმან დაგიფაროს შენ მაგისთანა განძრახვისაგან და სჯობს რომ მცირეც მოითმინო; მაქვს იმედი, რომ საქმე მალე აღსრულდეს. უპასუხა დედოფალმან: მე კარგათ ვიცი, რომ შენ მაგოდენი მოთმენა ავათ უნდა აღგისრულდეს, რადგან ეს სარცხვილი ჩვენ ორივეს დაგვემართა; მაგრამ ამასაც გეტყვი, რომ შენც ისრე უნდა დაგემართოს, როგორც დაემართა ერთ ხელმწიფეს თავის მხედარისაგან. უთხრა ხელმწიფემან: გეხვეწები შენ, ჩემო ლამაზო დედოფალო, მითხარ თუ როგორ დაემართა მას ამ გვარი საქმე. უთხრა დედოფალმან: ამას მოგახსენებთ თქვენ გულ მშვიდათ და უკეთუ მე გამიგონებთ, დიდი სარგებლობა გექმნებათ თქვენ და დაიწყო ესრეთ მოხსენება:

### მეშვიდე არაკი დედოფლისაგან მოხსენებული, რომელიც თქო ერთი ხელმწიფისათვის, რომელსაცა ჰყვანდა საყვარელი დიდებული, რომ შეირთო დედოფალი და გააქცია.

ქალაქსა ერთსა იყო ერთი ხელმწიფე. მას ჰყვანდა დედოფალი, რომელიც ძრიელ უყვარ-

და ჲ ინახავდა ერთს მაგარ კოშკში, რომელს დაჰკეტამდა, დაადებდა კლიტეს ჲ გასაღებს თითონ ხელმწიფე ინახამდა. ამისათვის ძრიელ ჰსწუხდა იგი დედოფალი.

ამ დროს ერთს სხვა ქვეყანაში იყო ერთი დიდებული ცხენოსანი ჲ ძრიელი, რომელმან ნახა ერთს ღამეს სიზმარში დედოფალი ერთი მეტად მშვენიერი ჲ საკვირველი ყოველსა ზედა; ამ რიგათ იხილა ჲ დაემკვიდრა სიმშვენიერე სახისა გულსა შინა. ამავე დროს ამ დედოფალმან იხილა სიზმარში მასვე ღამეს. მითომ ამავე დიდებულს ელაპარაკებოდა, ჲ რა გაეღვიძა, უნდოდა ენახა თუ იგი დიდებული ვინ იყო, ეგრეთვე დიდებულს უნდოდა ცხადივ ენახა იგი სიზმარში ნანახი დედოფალი, მაგრამ არ იცოდნენ ერთმანერთის სამყოფი. შემდეგ სიზმრისა დიდებულმან ველარ მოითმინა ვერც ერთი დღე, გამოვიდა თავის ქვეყნიდან ჲ დაიარებოდა საძებნელად სიზმარში ნანახი დედოფლისა. იმდენი იარა მრავალი ქალაქები, ვიდრე მოვიდა იმ ქალაქში, სადაც იყო იგი დედოფალი კოშკის შიგან ჲ დადგა იმავე ქალაქსა შინა მცირე განისვენოს. დღესა ერთსა დიდებული იარებოდა მას კოშკის გარეშემო და არ იცოდა, თუ დედოფალი იქ

იმყოფებოდა, რომელიც ენახა სიზმარში. მას დედოფალსა ჩვეულობა ჰქონდა მას კოშკიდამ ყურებისა გამვლელ გამომვლელისა. მან დიდებულმან გამოსვლის დროს უეცრად შეხედა ზევით, იხილა იგი დედოფალი და მაშინვე იცნა, რომ ის იყო, რომელიც სიზმარში ენახა. მაშინ უმეტეს ტრფიალი შეექმნა და დაიწყო საამურათ სიმღერის თქმა. რა ესმა დედოფალსა ხმა მისი, მანაც დაუწყო ყურება და მასვე წამსა იცნა, რომ იგი იყო რომელიც ენახა სიზმარში. მას დღეს უკან მალ-მალ გაივლიდა იმ კოშკის ქვეშ და ტკბილის ხმით მღეროდა, რადგან უნდოდა რაიმე ღონის მიებით შესვლა დედოფალთან და საუბარი მასთან. დედოფალმაც რა გაიგო გულის წადილი და ნება მისი, მსწრაფლ დაუწერა ქაღალდი და ჩაუგდო კოშკიდამ. დიდებულმან აიღო ეს წერილი, წაიკითხა, შეიტყო ნება, ძრიელ განიხარა. შემდეგ ამისა მრავალჯერ შეხვდა ეს დიდებული ცხენის თამაშობაში და სხვა ნაირ მხიარულებაში და ყველას გადააჭარბა, ისე რომ ყველანი გაკვირვებულ იქმნენ ამაზედ. ეს ამბავი ესმა ხელმწიფესა, დაუძახა თავისთან და უთხრა: ჰოი დიდებულო და სახელოვანო მხედარო, მსმენია ყოველგან მხნეობა შენი და თუ-

მცა გენებება დამკვიდრდი ჩემთან, იყავ ჩემს ახლო და მიიღე მრავალი პატივი, მაშინ თაყვანი სცა დიდებულმან და მოახსენა: უფალო ხელმწიფეო ჩემო, დიდის სურვილით მნებავს სამსახური წინაშე თქვენი, თუმცა მიბოძებთ თქვენს ახლო ადგილსა, რომ ჩემთვის გავაკეთო სადგომი; და რა ჟამს დამიძახოთ თქვენთან სამსახურისათვის ღამესა თუ დღესა, მსწრაფლ გიახლოთ წინაშე თქვენსა.

უბრძანა ხელმწიფემ: აღვასრულებ ყოველსა წადილსა შენსა და გავაკეთებინებ სამყოფსა შენსა, რომელსაც მოინდომო მასვე დროსა, რა ნაირსაც შენ თითონ გენებება. შემდეგ ამისა გააკეთებინა მან დიდებულმან სახლი თვისი ახლო კოშკისა, სადაც იმყოფებოდა იგი დედოფალი და როდესაც დასრულდა იგი სახლი დიდებულმან უთხრა საიდუმლოთ სახლის ოსტატსა: უნდა გამიკეთო ერთი გზა დაფარული, ძრიელ ოსტატობით რომელიც ამ ჩემის სადგომიდან წავიდეს დედოფლის სადგომს კოშკსა შიგან და მოგცემთ მრავალს რაც გენებებათ. როდესაც გააკეთა ოსტატმან თქმულებისამებრ გზა იგი კაცთაგან უხილავი, მაშინ დიდებულმან ოსტატი იდუმალ მოკლა და გვამი მისი დამარხა თავის სა-

ხლოში, რომ არავის გაეგო ჲ ანუ ხელმწიფეს არ გაეგო. მას შემდეგ როდესაც დრო იპოვნა დიდებულმან, შევიდა ამ დათვარულის გზიდან დედოფალთან ჲ დიდის სიყვარულით სალამი მისცა.

რა დედოფალმან ნახა დიდებული იგი, დიდათ გაუკვირდა ჲ უთხრა: საიდან მოხვე დი აქაო? უთხრა დიდებულმან: სიყვარულმან შენმან მომიყვანა აქ, ჲ შემოვედი შენთან იმ დათვარულის გზით, რომელიც გავაკეთე აინე ქვეშედან მიწისაო, რადგან მინდა ყოფნა შენთან, რომ გიხილო ქვეყანასა ჩემსა სიზმრათ ჲ ბევრის ძებნით აჰა კიდეც გიპოვნე. უთხრა მას დედოფალმან: ნუ ქნას ღმერთმა, დღე იგი, რომ ჩავარდე ცოდვასა დიდსა წინაშე უფლისა ჩემისა ხელმწიფისა ჲ აღვასრულო ნება შენი; ნუ ქნას ღმერთმან, რომ ვქნა ეგ საქმე. უთხრა დიდებულმან: უკეთუ ნებით ჲ სიყვარულით არ გნახამ, ხმლის პირით გაგათავებ შენ. ამა სიტყვასა ზედა შეეშინდა დედოფალსა სიკვდილისაგან, მოის[illegible]ნა ამასათან. დიდებულმან აღასრულა ნება თავისი, გამოვიდა დათვარულის გზით ჲ წავიდა. შემდეგ ამისა დედოფალი იგი ფიქრობდა ჲ იტყოდა: უკეთუ გაცნობოს ეს საქმე ჩემს ხელ-

მწიფეს, გამიწყრება იგი, გაიგებს ქვეყანა და იქმნება დიდი სიმწუხარე ჩემთვის, რადგან მე თითონ ვიქმნები შერცხვენილი ქვეყანასა ზედან. და ჩემი პატრონი ხელმწიფეც ძრიელ განრისხდება ჩემზედ, და ამისათვის აღარა თქორა. როდესაც მოინდომებდა დიდებული, შევიდოდა და აღასრულებდა თავის ნებასა და გამოვიდოდა; და შეიყვარეს ერთმანერთი მეტის მეტათ. შემდეგ რამდენიმე ხნისა დედოფალმა უბოძა დიდებულს მეტის სიყვარულისაგან ერთი ძვირფასი ბეჭედი, რომელიც თითონ ხელმწიფეს მიეცა სიყვარულისა ნიშნათ. ამ დროს იგი დიდებული მრავალს თამაშობაში იქმნებოდა მეტათ გამარჯვებული, ამისათვის ხელმწიფეს ჩაუვარდა დიდი სიყვარული, გახადა თავის პირველი კარის კაცი და თავის საბძანებელი უველა მიანდო ამის განკარგულებას. დღესა ერთსა მოინდომა ხელმწიფემან სანადიროთ წასვლა; გაუგზავნა კაცი და აცნობა, რომ იგი დიდებულიც დამზადებულიყო იმასთან სანადიროთ წასასვლელათ. მაშინვე ისიც დაემზადა და გამოვიდა ხელმწიფესთან სანადიროთ.

რა ინადირეს მთელი დღე, შემდეგ მოვიდნენ ერთ ხის ქვეშ და მუნ განისვენეს. იგი

დიდებული პირის-პირ ხელმწიფისა წამოწვა და ბეჭედი თითში ჰქონდა, რომელიც მიეცა დედოფალსა და კვლავ გაუშალა, რომელიც იხილა ხელმწიფემან. ხელმწიფემან რა იხილა ესე ბეჭედი, თქო გულსა შინა: ეს ბეჭედი მგზავსია ჩემი ბეჭდისა, რომელიც ჩემის დედოფლისათვის მიმიცია სიყვარულის ნიშნათ. რა დიდებულმან განიღვიძა, გაიგო, რომ ხელმწიფეს ენახა იგი ბეჭედი მას თითსა, მოიგონა ავადმყოფობა და მოახსენა ხელმწიფეს: უფალო ჩემო ხელმწიფეო, ავადმყოფობა დამემართა და გთხოვ გამიშო შინ წავიდე. უბრძანა ხელმწიფემან: წადი, როგორც გნებოს. დიდებული მაშინვე შეჯდა ცხენსა, წავიდა სახლსა თვისსა, შევიდა დედოფალთან დამალულის გზიდან და უთხრა: აიღე ეს ბეჭედი, რომელიც მოგიცია, რადგან ეს ბეჭედი იხილა ხელმწიფემან ჩემს ხელში; რა მოვა მაშინვე მოგკითხავს, და ამისათვის უწინ მოგიტანე, რომ არ შევრცხვენილიყავით; მისცა ბეჭედი და წავიდა. რა მოვიდა ხელმწიფე პალატსა თვისსა, შევიდა დედოფალთან და უთხრა: ჰოი საყვარელო ჩემო დედოფალო, სად არის ბეჭედი თქვენი, რომელიც მოგეცი ნიშნათ სიყვარულისა, მიჩვენე მე იგი ბეჭედი. უთხრა დედო-

ფალმან: შენახულია იგი ყუთსა შინა, და დიდი ხანია თითში არა მქონია იგი ბეჭედი. უთხრა ხელმწიფემან: მოიტა ვნახო, მოახსენა დედოფალმან: ახლა რა დაგემართა, რომ ამდენი ხანია არ გიკითხნია, და ახლა კითხულობ? უთხრა ხელმწიფემან: თუმცა არა ვნახო ბეჭედი ჩემი, ვფიცავ ღმერთსა, რომ დღეს შენ არ დარჩები ცოცხალი. დედოფალმა მაშინვე ადგა, წავიდა, გაალო ყუთი, ამოიღო იგი ბეჭედი, მიართო ხელმწიფესა და უთხრა: აჰა ბეჭედი, აიღე და ნახე. რა ხელმწიფემან იხილა იგი ბეჭედი, მაშინ ბრძანა: ვითარ გავს ბეჭედი ბეჭედსა! ერთი ამისთანა ბეჭედი ვნახე ჩემის მხედარის ხელში და ჩემი ბეჭედი მეგონა და ძრიელ ჯავრი მომივიდა და ვგონებდი ავს მოქმედებას; მეგონა თუ ამისთანა ბეჭედი სხვასთან აღარ იშოვებოდა.

უთხრა დედოფალმან: ჰოი უფალო, არ არის საკვირველი. რომ ბეჭედი ბეჭედსა ჰგვანდეს და შენი დიდებულის ბეჭედი მსგავსი იყოს შენი ბეჭდისა: ჩემთვის ავი გაგიფიქრია და ღმერთმან მოტევება გიბოძოთ. რა საკვირველია, მაშინ ხელმწიფემან გული დააჯერა. მცირე ხნის შემდეგ მოახსენა დიდებულმან ხელმწიფესა: უფალო ჩემო, ერთი ქალი მე-

მიყვარებიას ქვეყანასა შენსა, დღესა ერთსა მნებამს ნადიმი და ლხინი გარდავიხადო მასთან და თქვენც გევედრებით, უფალო ჩემო, რომ თქვენც ჩვენს სუფრაზედ ბრძანდებოდეთ, ერთად ლხინი გარდავიხადოთ, რათა პატივი იქმნას ჩემთვის ყოველსა წინაშე. უთხრა ხელმწიფემან: აღვასრულებ ნებასა თქვენსა და გიჩვენებ სიყვარულსა, რომელიც განუყრელათ მაქვს შენთან. მაშინ დიდებულმან დიდის სიხარულით წავიდა დედოფალთან დაფარულის გზით და მოახსენა: შეიმოსე ძვირფასის ტანისამოსითა და მოდი ჩემთან დაფარულის გზით, რათა ერთათ უნდა ლხინი გავატაროთ ჩვენს უფალს ხელმწიფესთან.

უთხრა მას დედოფალმან: ნებისამებრ თქვენისა მე მზათ ვიქმნები. რა დაამზადა დიდებულმან სადილი, მობრძანდა სადგომსა მისსა ხელმწიფე; შემდეგ ამისა მობრძანდა ეგრეთვე დედოფალი. რა იხილა ხელმწიფემან იგი დედოფალი, ჰკითხა დიდებულსა: ვინ არის იგი მშვენიერი თვალის სასმური მზგავსი მთვარისა? უთხრა დიდებულმან: უფალო ჩემო, ეგ არის, რომელსაც მე ვყვარობ; დააბრძანა ხელმწიფის გვერდზედ ხელმწიფე დაკვირვებით უყურებდა დედოფალსა და უკვირდა, რომ

ეგრე ჰგვანდა თავის დედოფალსა; მაგრამ ატყუებდა იმის სადგომი კოშკის სიმაგრე და უფრო რწმუნობდა თავისი დიდებულის სიტყვას და უჯერებდა მას ვიდრე თავის თვალებსა. მაშინ დედოფალმან დაიწყო ხელმწიფესთან კადნიერათ ლაპარაკი და მოახსენებდა: უფალო ჩვენო ხელმწიფეო, მიირთვი და შეექეცი, რომელიც ღმერთს უბოძებია ჩვენთვის. ხელმწიფემან რა გაიგო ხმა და ლაპარაკი ამ ქალისა, მრიელ განკვირვებას მიეცა და ამბობდა გულსა შინა: მადლობა შენ უფალო, თუ ეს ქალი როგორ ემგზავსება ჩემს ცოლსა: თუ ლაპარაკში, თუ ქცევა ყოფაში და თუ ყოველს საქმეში; მაგრამ კოშკის სიმაგრე ატყუებდა მას და ვერ გაებედნა ეთქო თუ ეს ქალი ცოლი ჩემიაო, ან არა; მაგრამ ეხვეწებოდა დიდებულს მალე დაებოლოვებინათ სადილი, იმ განძრახვით, რომ მალე ენახა თავისი დედოფალი იმავე კოშკში იყო თუ არა. მოახსენა დიდებულმან: უფალო, ნუ სჩქარობ, მცირე ხანს ბრძანდებოდეთ ჩვენთან, რომ აღსრულდეს ნატვრა ჩვენი. უთხრა ხელმწიფემან: საქმე მაქვს პალატსა ჩემსა და ამისათვის უნდა წავიდე. მაშინ მოახსენა დედოფალმან: უფალო ჩვენო, აქ თქვენ გამხიარულდით და იქ დარბაზსა შინა

დედოფალი თქვენი გამხიარულდეს. უბრძანა მას დიდებულსა ხელმწიფემან სუფრის აღება. მანაც აასრულა ბრძანება მისი, დაუმადლა ხელმწიფემან, გამოვიდა და წავიდა პალატსა თვისსა. მაშინ მსწრაფლ დიდებულმან მას დაფარულის გზიდან შეიყვანა დედოფალი დარბაზსა თვისსა; მაშინვე გაიხადა ტანთ საცმელი იგი პირველი, შეიმოსა მინაურის ტანსაცმელით და დაჯდა სანათურისაკენ, დაუწყო გამვლელს გამომვლელს მზერა, ვითარცა ჩვეულ იყო. როდესაც ხელმწიფე მოვიდა პალატსა, აღარ წავიდა ტახტსა, შევიდა მაშინვე დედოფალთან და იხილა იგი მეუღლე თვისი სანათურთან მჯდარი უმზერდა ხალხსა. მაშინვე რა ნახა ხელმწიფემან დარბაზში მეუღლე თვისი, გარდაეხვია, დაჰკოცნა და უთხრა: ჰოი საყვარელო ჩემო, დღესაც შეგცოდე შენ. უთხრა დედოფალმან: ვითარი საქმითა მიბრძანეთ მე. უთხრა ხელმწიფემან: წაველი დღეს სახლსა დიდებულისა ჩემისა, ვისადილე იმის სატრფოსთან; რაც დავბადებულვარ, მას შემდეგ არ მინახავს იმისთანა, რაც ვიხილე მე იქ. რადგან ლაპარაკით, ქცევა ყოფით, ხმით მოქმედობით და ყოვლის მხნეობით მგზავსი შენი იყო იგი დედაკაცი, მაგრამ რომ დევეჩ-

ქარე შენს ნახვას, შენ მეგონე მე ის დედა-კაცი. უთხრა დედოფალმან: კურთხეულ არს სახელი ღვთისა, რომ კიდევ შემცოდე, უფალო ჩემო, ნუ თუ არ იცი სიმაგრე კოშკისა, რომ არავის შეუძლიან აქ შემოსვლა და ან გასვლა; ესეც ნუ თუ არ მოგეხსენებათ, რომ კარის საკეტიც თქვენს ხელში არის? ამით თქვენი გონება დაგიმტკიცებთ თქვენ, რომ კაცი კაცის მგზავსი იქმნება და სამკაული-სამკაულისა და არც არის საკვირველი, ვითარცა მაშინ დაგემგზავსებინა ბეჭედი ბეჭდისათვის. უთხრა ხელმწიფემან: მართალს ამბობ, დედოფალო ჩემო, მაშინაც შევცდი ბეჭედზედ.

შემდეგ რაოდენიმე ხანისა მოვიდა იგი დიდებული ხელმწიფესთან და მოახსენა: უფალო, მრავალი დრონი არიან რა გემსახურეთ თქვენ და ახლა გევედრები უფალსა ჩემსა, რომ მიბოძო ბრძანება წავიდე საკუთარს ქვეყანასა ჩემსა. უთხრა ხელმწიფემან: მოგცემ შენ ბრძანებასა, რომ წახვიდე შენს ქვეყანასა; თუმცა უკეთესი იქმნებოდა არ მომშორებოდი მე, რადგან შენისთანა ერთგული ახლო კეთილი არავინა მყავანდა; ეხლა მითხარ რა გაქვს ჩემგნით სათხოვნელი, რომ აღგისრულო.

უთხრა დიდებულმან: იმ მცირედის სამ-

სახურისათვის, რომ გემსახურეთ თქვენ, ამა-
სა გთხოვთ უფლისა ჩემისაგან, რომ იგი დე
დაკაცი, რომელიც მე მიყვარს და თქვენ თი-
თონ ნახეთ, მნებამს ჩემს მეუღლეთ და ჯვა-
რი დავიწერო ეკლესიასა შინა; ამისათვის
გთხოვთ, უფალო ჩემო, მოიღო ესე წყალო-
ბა ჩემზედ, მობრძანდეთ თქვენისავე ხელით
მომცეთ იგი ყოვლისა წინაშე; რადგან იქმნას
ჩემთვის დიდი სახელი და გაიგონ ყველამ,
რომ თქვენის პალატიდან შევირთე იგი ქალი
მე ცოლათ. უთხრა ხელმწიფემან: საყვარელო
ჩემო დიდებულო, მაგას ვიზამ და აღვასრუ-
ლებ, როგორც შენ გნებამს.

დიდებულმან დაუნიშნა დღე ქორწინები-
სა და რა დრო მოვიდა, მობრძანდა ხელმწიფე
ეკლესიაში მრავალის დიდებულნით და ერნიც
ყოველნი მუნ მოიკრიფნენ. მას დიდებულს
წინათვე დაერიგებინა დედოფალი, რომ აქო-
სალაროდან ყოველი განძი და სამკაული და
გამოსულიყო დაფარულის გზიდამ. მაშინ მი-
ვიდა დიდებული და დედოფალი მას ეკლესი-
ასა, წარმოდგა მღვდელი სამოსელით თვისი-
თა და ჰკითხა: რომელსა გნებავთ მისცეთ ეს
ქალი მეუღლეთ ამ დიდებულსა? ბრძანა ხელ-
მწიფემან: მე მივსცემ. მაშინ გამოართო ხელი

დედოფალსა და უთხრა; საყვარელო, შენ მეტად მგზავსი ხარ ჩემის დედოფლისა და მისთვის მიყვარხარ, რომ ჩემივე პალატის დიდებულის მეუღლე შეიქმენ; ეს რომ სთქო, გამოართო ქალის ხელი და მისცა დიდებულის ხელში და ღვდელმაც დააგვირგვინა და აკურთხა იგინი. შემდეგ დაგვირგვინებისა დიდებულმან მოახსენა ხელმწიფესა: უფალო ჩემო, ხომალდი გამზადებულია, რომლითაც წასვლას მნებავს, გევედრებით თქვენ რომ დაბძანდეთ ჩვენთან კარეტაში და დაარიგოთ მეუღლე ჩემი მოსახმარი სიტყვებით წინაშე ყოვლისა და შეასმინოთ, თუ ვითარ მართებს ამას საყვარული ჩემი ყოველსა ზედა. უთხრა ხელმწიფემ: მაგასაც აღგისრულებ შენის სიყვარულის გულისათვის. ჩაბძანდნენ კარეტაში, წაბრძანდნენ ერთად ხომალდთან და ხალხიც თან გაჰყვა. რადგან ხელმწიფეს ძრიელ უყვარდა იგი დიდებული, ამისათვის ძრიელ სწუხდა მის განშორებაზედ. რა მოვიდნენ ხომალდთან, უთხრა ხელმწიფემ დედოფალს: საყვარელო ჩემო, შეისმინე დარიგება ჩემი და კეთილი იქმნება შენთვის. ახლა ქმარი შენი ეს არის; შენ მოვალე ხარ შეიყვარო იგი, როგორც თავი შენი, რადგან ღმერთიც ამას მოითხოვს

შენგან, რომ შენ ყოვლის ფრით უნდა მაგის თანახმა და გამგონე იყო. ეს რომ თქო ხელი ხელში ჩაუთვალა დიდებულის და დედოფლისა და უთხრა: წადით მშვიდობით და უფალი იყოს თქვენთან. დიდებულმან დაიჭირა ხელიდან დედოფალი, თაყვანი სცა ხელმწიფეს და შავიდნენ ხომალდში, და რადგან გზაც იმ დღეს იყო კეთილი, ხომალდიც მიდიოდა ძრიელის სიჩქარით.

ხელმწიფე იდგა ზღვის პირსა და უმზერდა, მანამ ხომალდი იგი თვალიდგან უჩინო იქმნა; შემდეგ დაბრუნდა თვისსა პალატსა. რა შევიდა დოდოფლის კოშკსა, და ვეღარ იპოვნა მუნ დედოფალი, ძრიელ შეწუხდა, დაუწყო აქათ იქით ყურება და იხილა დაფარული გზა, საიდანაც კასულიყო დედოფალი; დაიწყო მაღლა ხმით ტირილი და ამბობდა: ვაი მე რადგან რომელს დიდებულსაც მინდობილი ვიყავ და ძრიელ მიყვარდა, მან მიღალატა, წამართო დედოფალი და წავიდა. მწარის ცრემლით ამბობდა: ნუ თუ ჭკვიდან შევიცვალე, რომ ჩემს თვალით ნანახს არ დაუჯერე და ჩემის დიდებულის ცრუ სიტყვებით კი მოვტყუვდი და შევარცხვინე თავი ჩემიო.

შემდეგ უთხრა დედოფალმან ხელმწიფე-

სა: უფალო, მოისმინე მოხსენება ჩემი? უთხრა ხელმწიფემან: დიახ ვისმინე. უთხრა დედოფალმან: ვითარცა იგი ხელმწიფე უჯერებდა საყვარელსა დიდებულსა თვისსა, აგრეთვე შენ უჯერებ შენის დაწყევლილის შვილის მასწავლებლებს, რომელნიც ამზადებენ შენთვისაც ამისთანა დაფარულს გზას მოტყუებით; მაგრამ მე რომ შენი ერთ გული ცოლი ვარ, არ მიჯერებ, რომელმაც ამისთანა უპატიოება მიქნა და შემარცხვინა, რომ შენ თითონა ნახე და მასაც ხედავთ, რომ ჯერაც შვილისან საქმითა წყეულსა შვილსა შენსა, რომლისაგან უნდა შემინდეთ, რომ თქვენც არ დაგემართოთ იმ ხემწიფესავით, რომელიც მოგხსენდათ.

უთხრა ხელმწიფემან: ეგრე ველარ მიზამენ, დილით ადრიანათ მივცემ მას მწარეს სატანჯველითა სიკვდილს.

უთხრა დედოფალმან: თუ მართლათ მაგრე იზამ, დიდი მეცნიერება იქმნება თქვენგან, რათა აღარ მართებს მას რომ ცოცხალი დარჩეს.

### მეშვიდეთ მიჰყავთ შვილი ხელმწიფისა სასიკვდილოთ და მეშვიდე ვეზირი მიასწრობს და გამოიხსნის არაკით.

რა მეშვიდე დღეს ხელმწიფე დაბრძანდა ტახტსა თვისსა, დაუძახა ჯალათსა და უბძანა: წადი, გამოიყვანე შვილი ჩემი საპატიმროდან, და განაშორე თავი მისი ტანიდან და ისრე მწარის სიკვდილით მოუსპე მას სიცოცხლე. დედოფალმაც წინათვე დაუძახა ჯალათსა, მისცა დიდი საჩუქარი, რომ ჩქარა მოკლა შვილი ხელმწიფისა. მაშინ იგი ჯალათი წარვიდა საპატიმროს, გამოიყვანა შვილი ხელმწიფისა, შაუკრა უკანიდან ხელები, ვითარცა წესი იყო, წინ მიუძღოდა ჯალათი და იძახდა: რომელიც მოინდომებს შეცოდებას თავის დედის ნაცვალთან, ამ სახით მოკვდება. დედოფალი ამ დროს უყურებდა, სანათურიდან და ძრიელ უხაროდა, ეგონა თუ დღეს მოკვდება შვილი ხელმწიფისაო. ამ ნაირის უპატიობით და შეწუხებით მიჰყავდათ იგი სასიკვდილოთ. ისიც ჩაღრმულის გულით მიდიოდა. ხალხიც მისდევდნენ ვაიებით და ამბობდნენ: აფსოს, აფსოს და ათასჯერ აფსოს რომ ხელმწიფის დედის ერთა შვილი მიჰყავთ

უბრალოთ სასიკვდილოთ. მაშინ მეშვიდე ვეზირი, რომელის სახელიც იყო ოვაკიმა, რა გაიგო ეს ამბავი, ფიცხლავ გამოვიდა, შეჯდა ცხენსა, მოეწია მას ჯალათსა და უთხრა: ეგ რასა შვრები? რისთვის უშვრებით მაგ უპატიობას ხელმწიფის შვილს? და მაშინვე გაახსნევინა ხელები. უთხრა ჯალათმან: ჰოი კეთილო მეცნიერო, არ ვიცი თუ რა ვქნა, რადგან ბრძანება დედოფლისა მძიელია; უკეთუ შეგიძლიან განთავისუფლება, ამას მე აქ დავაყენებ, შენ წაბრძანდი ხელმწიფესთან და გაანთავისუფლე. ეგრეთვე ხალხნი მაღლის ხმით ამბობდნენ: დაეშურე ხელმწიფესთან და გაანთავისუფლე მოწაფე შენი, როგორც შენმა ამხანაგებმან გაანთავისუფლეს. ეგრეთვე ხელმწიფის შვილმან თაყვანი სცა მასწავლებელსა თვისსა, მითომ უნდოდა ეთქო გამომიხსენ მე სიკვდილიდანაო. მაშინ ვეზირი მსწრაფლად მოვიდა ხელმწიფესთან, დიდის პატივით თაყვანი სცა და სალამი მისცა. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: ღმერთმან გარამოროს კეთილი შენგანაო. უთხრა ვეზირმან: ჰოი უფალო ხელმწიფეო, რის მიზეზით მიბრძანებთ მე მაგ სიტყვას? უთხრა ხელმწიფემან: მოგვეცით შვილი ჩემი თქვენ წმინდა ენითა და ეხლა პირუ-

ტყვი შექმნილა. მოჰკეცით თქვენ შვილი ჩემი, რომ კეთილი ქცევა-ყოფა ესწავლა, მაგრამ იმან ჩემს მეუღლესთან მოინდომა შეცოდება. ამისათვის აქა დღეს ის მოკვდება და თქვენც ყველას მწარის სიკვდილით დაგაბოლოვებთ. მოახსენა მას ვეზირმან: უფალო ხელმწიფეო, ყურადღება აღირსეთ ჩემს სიტყვებს და ჭკვა გრძელი იქმენით. ბმანებთ რომ შვილი თქვენი უენოა. უთხრა ხელმწიფემან: დიას უენოა. უპასუხა ვეზირმა: თავი ჩემი დამიდვია ჩემის ამხანაგებით სასიკვდილოთ, უკეთუ არ ისმინოთ საუბარი შვილისა თქვენისა ხვალ შვიდ საათამდის ყოველი თქვენის დიდებულების წინ. უთხრა ხელმწიფემან: თუმცა ვნახო და ვისმინო საუბარი შვილისა ჩემისა, საკმაოა ჩემთვის. უთხრა ვეზირმან: არა მქონდეს სიცოცხლე, თუმცა არ გამოვიდეს ბრალისაგან, რომელ უსამართლოთ მოუგონა დედოფალმან. ახლა ამას მოგახსენებ უკეთუ მოაკვლევინებ შვილსა შენსა შენის ცოლის სიტყვით, დაგემართება, ვითარცა დაემართა ერთსა დიდებულსა ცოლისა თვისისაგან, რომელიც მოკვდა თავის ცოლის გულისათვის.

უთხრა ხელმწიფემან: გეხვეწები, მითხარ მე არაკი, რათა მცირე შვება მომეცეს. უთ-

ხრა ვეზირმან: რა საქმისათვის უბრალოთ ვიჭირნასულო და ვიზრუნო? ვიდრე მოგახსენებთ არაკსა, იქ თქვენს შვილს მოჰკლამენ; თუმცა გენებებათ, რომ მოგახსენოთ არაკი, დააბრუნეთ შვილი თქვენი საპატიმროში და მე გიანბებთ მშვენიერს არაკს; მაშინ თქვენმა სჳნიდისმა განარჩიოს სასიკვდილო იქმნება შვილი თქვენი თუ სასიცოცხლო. უბრძანა ხელმწიფემან: დაბრუნდეს შვილი ჩემი სახლსა თვისსა და არა საპატიმროსა, უმეტესათ ამჲსათვის, რომ დილას უნდა ილაპარაკოს. ყრმა დააბრუნეს სასიკვდილოსაგან და ვეზირმან დაიწყო არაკი:

## მეშვიდე არაკი მეშვიდე ვეზირისაგან.

ქალაქსა ერისა იყო ერთი დიდებული; ამასა ჰყვანდა ერთი მშვენიერი ცოლი, როგორც დედოფალი თქვენი, და მეტად ძრიელ უყვარდა. ეს დიდებული ერთ დღეს თამაშობდა და ხუმრობდა თავის ცოლთან, ამ თამაშობაში მას ჰქონდა ხელში დანა და უეცრად მოჰხვდა ხელში მეუღლისა, გაუფხაჭა და მცირე სისხლი გამოუვიდა. რა დიდებულმან ნახა თავის მეუღლის ხელზედ სისხლი, დაეცა და

მაშინვე გული წაუვიდა. ცოლმა მისმან მოი-ტანა წყალი, შეასხა პირზედ, რომ მოებრუ-ნებინა. გააღო ძლივსღა თვალები და თქვა: მომიყვანეთ მღვდელი ვეზიარო, აქა ვკვდები ჩემის ცოლის სისხლისათვის. მაშინვე წავიდ-ნენ მღვდლის მოსაყვანათ, მაგრამ ამ კაცმა იმ მცირე სისხლზედ იმდენი იდარდა რომ ვიდა-რე მღვდელი მოვიდა, მოკვდა იგი დიდებუ-ლი.

ამ დიდებულის მოკეთებმა შეწუხდნენ ძლიერ, ტიროდნენ, გლოვობდნენ და ამბობ-დნენ: ავსოს, რომ უბრალოთ მოიკლა თავიო. ეგრეთვე მეუღლე მისი მწარის ცრემლით ტი-როდა და მოსთქვამდა: ვაი მე, რა უნდა ვქნა და როგორ უნდა ვიცოცხლო ჩემის ქმრის შემდეგაო; შემდეგ ამისა უნდა დავრჩე მტრე-დივით მარტოდ და უიმედოთაო. მაშინ წაიყვ-ანეს ეს მკვდარი და დიდის პატივით დაასა-ფლავეს. ცოლი მისი დაეცა საფლავსა და დი-დის მწუხარებით დაიწყო ტირილი. ყველა მო-კეთეებმა მისცეს დიდი ნუგეში და უნდოდათ სახლში წაეყვანათ; მაგრამ ეს ქალი დიდის ფიცით ეუბნებოდა მოკეთეებს, რომ ამ საფ-ლავიდან ფეხს ვერ მოვიცვლი და ვერსად ვერ წავალო; აქ უნდა მოვკვდე, ამის საფლავზედ

ჩემის ქმრის სიყვარულისათვისაო. ყუზნებოდნენ მოკეთეები: ჭოი კეთილო დიაცო, მაგისთანა მოქმედობით რა უნდა უშველო იმის სულსა, რომ აქ დაგდებული დარჩომილხარო? უკეთესი იქმნება წაჰვიდე შენს სახლში და წყალობა გასცე იმის სულისათვისაო. ყუზნებოდა დედაკაცი: რასაც მარიგებთ, არ არის კეთილი ჩემთვის, რადგან მე ამ სათვალავიდან ვერსად ვერ წავალ; აქ უნდა მოვკვდე ჩემის ქმრის სიყვარულისათვის, რადგან ამანაც ჩემის სიყვარულისათვის მოკვდაო.

რა ნახეს მოკეთეებმა, რომ არ შეიძლებოდა ამისი სახლში წაყვანა, გააკეთეს პატარა ქოხი ქმრის სათვალავზედ, აქვე მოუტანეს საჭმელ სასმელი და ყოველი, რაც მოუნდებოდა. ამ ნაირათ ეს ქალი დარჩა თავის ქმრის სათვლავზე დღე-ღამ და გოდებით ატარებდა დროებას.

ამ დროს ჩვეულობა იყო როგორც ამ ქალაქში, ეგრეთვე სხვა ყველა სახელმწიფოებში; უკეთუ ვისმეს ქურდნა, ჩამოახრჩობდნენ და დაკიდულს გაუშვებდნენ იმ ღამეს; მიახლობდნენ ყარაულებს, რომ ვისმე ნათესავებს არ მოეპარნათ ჩამომხრჩვალის გვამი; და უკეთუ ყარაულები ვისმეს მოაპარინებდ-

ნენ, თითონაც იმ დამნაშავის ხეზედ უნდა დაკიდულიყვნენ და თუ ჰქონდათ რამე იმასაც ყველას წაართმევდნენ სახელმწიფოთ. ამ დროს ამავე დიდებულის საფლავის ახლო ჩამოჰკიდეს ერთი ქურდი და დააყენეს ყარაულათ იგივე დასაფლავებული დიდებულის მეზობელი, იმავე ქალაქიდან, და ეს კაცი იყო ქვრივი. რა ღამე შეიქმნა, მოვიდა ყარაული ამ დაკიდულის შესანახათ. შუაღამისას მოიწმინდა და ცივი ჰაერი დაიჭირა, და ეს ყარაული თითქმის იყინებოდა სიცივისაგან; ვეღარ მოითმინა გაეძლო, და მაშინ ნახა შორი ახლო ცეცხლი, რომელიც ანათებდა და ბჟუტუნებდა იმავე საფლავიდან, სადაც იგი დიდებული იყო დასაფლავებული. მივიდა იქა და დაუწყო კარებს რახუნი უთხრა დედაკაცმა: ვინა ხარ, რომ ამ დროს მოსულხარ აქაო? უთხრა ყარაულმან: კეთილო დედაკაცო, მე ვარ შენი მეზობელი, ამ ქურდის ყარაული და სიცივისაგან გავყინულვარ; გააღე, მცირედ გავთბე ცეცხლზედ, რომ ვეღარ გაუძლე ამ სიცივეს. უთხრა დედაკაცმა: შამოგიშვებდი შინ გასათბობათ, მაგრამ ვაი თუ ურიგო რამ დამიწყო ლაპარაკი. უთხრა ყარაულმან: ნამდვილს შემოგფიცავ რომ ურიგოს არ ვილაპარაკებ შენს წინ,

მცირედ გამათბე, რადგან მეც გამიგია, რომ წმინდანი ბრძანდებით და შენის ქმრის სიყვარულისათვის დამდგარხარ ამ ალაგას და სცხოვრობ. დედაკაცმან გაუღო კარი და შაიყვანა შინ, და იმანაც დაიწყო ცეცხლზედ გათბობა. რა გათბა, უთხრა ამ ყარაულმან დედაკაცს: კეთილო დიაცო, გთხოვთ საწყენათ არ მიიღო ერთი სიტყვა მოგახსენო. უთხრა დედაკაცმან. თქვი და მე მოგახსენებთ პასუხს: უთხრა ყარაულმან: ჰოი კეთილო დიაცო, შენ მშვენიერი დედაკაცი ბრძანდები, ლამაზი და მდიდარი; უკეთესი იქმნებოდა შენთვის შენს სახლში დამდგარიყავ, იქ გეცხოვრნა და წყალობა გაგეცა გლახაკთათვის შენის ქმრის სასულიეროთ, ვიდრე აქ დამდგარხართ და ტირილით უნდა გაატაროთ მთელი თქვენი სიცოცხლე. უთხრა დედაკაცმან: უკეთუ მცოდნებოდა რომ ეგ უნდა გელაპარაკნა, შენ არ შამოგიშვებდი ამ ქოხში. ამასაც გეტყვი შენ, რომ სხვისთვის მითქვამს და შენც კარგათ იცი რომ ჩემ ქმარს მე რა ნაირათ უყვარდი, და ჩემის სიყვარულისათვის მოკვდა, მცირე სისხლი რომ ნახა ხელსა ჩემსა. მეც ეგრეთვე იმის სიყვარულისათვის მინდა აქ მოვკვდე. ეს რომ ყარაულმა გაიგო, მადლობა

გარდაუხადა, გამოვიდა მიეშურა იმ ქურდთან რომ ენახა.

რა მივიდა, ნახა რომ იგი დაკიდული ქურდის გვამი მოეპარათ, და აღარ იყო იქ, შეეშინდა ძრიელ და დაიწყო ტირილი: ვაი მე, რომ დავკარგე ცხოვრება და სიცოცხლე ჩემი, ახლა რა უნდა ვქნა? ანუ ვისთან უნდა წავიდე, რომ მიშველოს რამე? წავალ ამ წმინდან დედაკაცთან და იმისაგან მივიღებ დარიგებას. მოვიდა ამ დედაკაცთან და უთხრა: კეთილო დედაკაცო, მე ის ყარაული ვარ, რომ წელან აქ შენთან ცეცხლზედ გავთბი; ეხლა ერთი საიდუმლო სიტყვა მაქვს შენთან სათქმელი, გეხვეწები ღვთის სიყვარულისათვის გამიღე მე კარი დედაკაცმა მაშინვე გაუღო კარი და შევიდა ყარაული, უთხრა: კეთილო დიაცო, გეხვეწები კეთილი დარიგება მიბოძო. ამ ქვეყნის ჩვეულება შენ კარგათ იცი, თუ დაკიდებული როგორ სიფრთხილით უნდა შეინახონ. და უკეთუ მოაპარვინა ვინმემ გვამი მისი, უნდა გაუყიდონ თუ აქვს რამე დ იმის ალაგას იგი ყარაული უნდა დაჰკიდონ; დ ვიდრე მე აქა ვთბებოდი ცეცხლზედ, მოსულან დ მოუპარნიათ გვამი იმ ქურდისა. ეხლა გეხვეწები, ერთი დამარიგე რამე, თუ რა უნდა

ვქნა? რადგან უნდა გამოვირისხო ჩემის ქონებიდან და მე ჩამომკიდებენ იმის ალაგას; ეს რომ თქო, ჩავარდა დედაკაცის ფეხებში და ეხვეწებოდა. უთხრა მას დედაკაცმან: მე მრიელ გული მტკივა, რომ მაგისთანა ჩვეულება აქვთ და შენც უნდა დაიღუპო; ამისათვის დაგარიგებ საშუალებას ეს არის: აჰა, შენ მეუღლე არა გყავს, უკეთუ მე შემირთამ ცოლათ, მაშინ კარგ დარიგებას მოგცემ და გადაგარჩენ მაგ განსაცდელისაგან. უთხრა ყარაულმან ეხლა მომივიდა მე ბედნიერება, რომ მოინდომე ამ სათვალავიდან განშორება და ჩემთან შეუღლება; ამისათვის დიდის კმაყოფილებით და სიხარულით ვიზამ, რასაც დამარიგებ, რადგან არ უყურე შენ ჩემს სისაწყლეს და შემიყვარე მე. უთხრა დედაკაცმან: მე მარტო შენ შემიყვარდი და მოგინდომე და არა სხვა ვინმე. უთხრა ყარაულმან: მეც არავინ არ მინდა ვიდრე შენ ცოცხალი მეყოლები.

უთხრა დედაკაცმან: ქმარი ჩემი რომ ჩემის სიყვარულისათვის მოკვდა, რომელიც შენ თითონაც იცი, ეს სამი დღე არ არის რაც დაუმარხამთ, იგი გვამი ამოიღე სათვალავიდან, წაიღე, დაჰკიდე იმ ქურდის ალაგას, რომ გადარჩე სიკვდილიდან. უთხრა ყარაულმან: რო-

გორც ჰქნებოს, ისრე იყოს. ამოთხარეს საფლავი და ამოიღეს მკვდარი. უთხრა ყარაულმან: ძრიელ მეშინიან, რადგან იმ ქურდის ყბის ზემოთა მხარეს ორი კბილი აკლდა და თუ ეგ კბილებიანი დაჰკიდეთ, იცნობენ რომ ის არ არის. უთხრა დედაკაცმან: აიღე ქვა, დაარტყი და ამოიღე ორი კბილი და იგრე დასჭკიდე. უთხრა ყარაულმან: საყვარელო დედაკაცო, შენი ქმარი ჩემი დიდი საყვარელი ძმა-კაცი იყო თავის სიცოცხლეში; ჩემთვის დიდი სირცხვილი იქმნება, რომ დავამტვრიო კბილები. უთხრა დედაკაცმან: მე ამოვიღებ მაგის კბილებს შენის სიყვარულის გულისათვის; აიღო ქვა, დაარტყა და ჩამოაგდებინა ორი ზევითა კბილი კვდრისა და უთხრა: ეხლა წაიღე და ჩამოჰკიდე ეს კვდარი. უთხრა ყარაულმან: ეხლაც მეშინიან მაგისი დაკიდება, რადგან იმ ქურდს თავზედა ჰქონდა დიდი იარა და ორივე ყურებიც არა ჰქონდა, ეხლა რომ ეგ ნახონ თავზედ უიაროთ და ყურებით, იცნობენ რომ ის არ არის და ჩემთვის დიდი სირცხვილი იქმნება. უთხრა დედაკაცმა: ამოიღე ხმალი და ჩაარტყი თავში და დააჭერი ყურები. უთხრა ყარაულმან საყვარელო დიაცო, როგორც კბილები ჩაამტვრიე, ეგეც იგრე შენ აასრულე. უთხრა დე-

დაკაცმა: მომეცი მე შენი ხმალი და მე ვიზამ მაგასაც შენის სიყვარულისათვის. იმანაც მისცა. დედაკაცმან რა აიღო ხმალი, ჩაარტყა თავში თავის ქმარს და დიდი იარა გაუხადა თავზედ, დაასჭრა ორივე ყურები და უთხრა: ეხლა წაიღე ეს კვდარი და ჩამოჰკიდეო. უთხრა ყარაულმა: ერთი შიშიც კიდეჩა მაქვს, რადგან იმ მკვდარს არა ჰქონდა სასირცხვო; და უკეთუ მაგას იმით ნახამენ, გაიგებენ რომ ის არ არის. უთხრა დედაკაცმა: მე არ მინახავს ქვეყანაზედ შენისთანა მოშიში კაცი; ეხლა მოსჭერ მაგისი სასირცხვო, წაიღე და ჩამოჰკიდე. უთხრა ყარაულმან: ჩემო საყვარელო დედაკაცო, შენ კარგათ იცი, რომ უსასირცხვო კაცი არ არის სრული კაცი; და უკეთუ მაგას მოვაჭრა, მეც ვაი თუ იგრე შემხვდეს; ამისთვის გთხოვ ეგეც შენ აღასრულეო. უთხრა დედაკაცმან: მართალია, რასაც ბრძანებ, და მეც შენის სიყვარულისათვის ყველას ვიზამ; მაშინვე აიღო ხმალი, მოაჭრა კვდარს სასირცხვო, რომელიც პატრონი თვისი იყო, და მიუგდო ძაღლს. მაშინ უთხრა: ეხლა წაიღე და დაჰკიდე იმ ქურდის ალაგას ამისთანა დამახინჯებულის სახით ქვეყნის საწყევლელათ. ყარაულს გაუხარდა, აიღო ამ მკვდრის ტვამი,

წაიღო იმ ქურდის ალაგას ჩამოჰკიდა და გან-
თავისუფლდა სიკვდილიდან იგი ყარაული. შე-
მდეგ ამისა უთხრა დედაკაცმან: ჰოი საყვა-
რელო ჩემო, ეხლა დაგიხსენი ყოველის გა-
ჭირვებიდან, წამოდი, წავიდეთ ეკლესიაში და
წინაშე ყოველჲისა შემირთე მე ცოლათ. უთხ
რა ყარაულმან: ღმერთთან ალთქმა, დამიდვია
რომ ვიდრე შენ ცოცხალი ხარ, მე ცოლს ვერ
შავირთამ. უთხრა დედაკაცმან: რისთვის? უთ
ხრა ყარაულმან: ჰოი, უბედურო და დაწყევ-
ლილო დედაკაცებში, ვინ იქმნება იმისთანა,
რომ შენისთანა დაწყევლილი დედაკაცი შეირ-
თოს ცოლათ? ქმარმან შენმან, რომ შენის
მცირედის სისხლისათვის თავი არ დაიშურა
სასიკვდილოთ, შენ ეგრე შეარცხვინე ქვეყანა-
ში, კბილები დაამტვრიე, თავი გაუჭერი, ყუ-
რები დააჭერი. სასირცხვო მოაჭერი და ძაღ-
ლებს მიუგდე. მე შენ ცოლათ გითხოვო? რომ
მეც ბოლოს ეგრე მიყო? ამისათვის შენ ცო-
ცხალსაც არ გაგიშვებ, რომ მაგისთანა საქმე
მეორეთაც არა ჰქნა; ეს რომ თქო, ამოიღო
თავისი ხმალი და მოსჭრა თავი ამ დედაკა-
ცისა,

შემდეგ ამისა უთხრა ვეზირმან ხელმწი-
ფეს: უფალო ხელმწიფეო, შეისმინეთ ნათ-

ქომი ჩემი? უთხრა ხელმწიფემ: დიახ გავიგე და შევისმინე, რომ ყველა ცუდი დედაკაცებზედ, რაც გამეგო აქამდის, ეგ უარესი ცუდი ყოფილა და დაწყევლილი; მაგრამ ჯოი მეცნიერო, რომ ხმა შვილისა ჩემისა გამეგო, ელაპარაკნა, უკეთუ მომკვდარვიყავ კიდეც ჩემთვის არ იქმნებოდა სიმწუხარე.

უთხრა ვეზირმან: ღმერთმან დაგიხსნათ სიკვდილიდან. ეხლა გთხოვთ მომცეთ მე შვილი თქვენი, დილით დაუძახეთ მოიკრიფნენ თქვენთან დიდებულნი, თავადნი და ვეზირნი თქვენნი. ჩვენც ამხანაგებით ერთად მოვიყვანთ თქვენთან შვილსა თქვენსა და გაიგებთ ხმასა და ლაპარაკსა მისისა; ეგრეთვე თქვენი ყოველი ვეზირნი და დიდებულნი, რადგან იმედი მაქვს ღვთისაგან, ხვალიდან გამოცხადდება სიმართლე თქვენის შვილისა და დედოფლის შუა, რომ უბრალოთ ცილი მოჰხადა დედოფალმან შვილსა თქვენსა.

მაშინ უბრძანა ხელმწიფემან, რომ მიეცათ შვილი თვისი მეშვიდე ოვაკიმა ვეზირისათვის. ვეზირმან აიყვანა შვილი ხელმწიფისა და წავიდა თავის ამხანაგებთან.

რა დედოფალმან გაიგო რომ არ მომკვდარა შვილი ხელმწიფისაო, მაშინ უთხრა

თავის მოკეთეებს: არ ვიცი თუ რა ვქნა ახ-ლა? აჰა დღეს მეშვიდე დღეა, რაც ვცდილობდი მომეკვლევინა შვილი ხელმწიფისა, მაგრამ ვერ შევიძელ; მოაწია დროებამაც რომ უნდა ენა გაეხსნას და ილაპარაკოს; მე კი არ ვიცი რა უნდა ვქნა, რადგან მეშინიან არ მომესპოს სიცოცხლე. დედოფლის მოკეთეები ნუგეშს აძლევდნენ და ეუბნებოდნენ: ჰოი დედოფალო, ნუ შეგეშინდება; რა უნდა გიყოს შენ ხელმწიფის შვილმაო.

საღამოს ხელმწიფე შებრძანდა დედოფალთან და უთხრა: ჰოი საყვარელო ჩემო დედოფალო, აჰა ხვალ შვილი ჩემი ილაპარაკებს; მაშინ ვნახამთ ვინც იქმნება თქვენში მართალი. დღეს შვიდი დღეა, რაც შენ ცდილობდი მოგეკვლევინებინა შვილი ჩემი და ვეზირები ცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ; აჰა ხვალიდანა ვნახამთ თუ ღმერთი რას გვაქნევინებს. დედოფალმან არაფერ აღარ ილაპარაკა.

მერგე დღეს შვიდნი ვეზირნი ერთად შეიკრიფებიან, აიყვანენ შვილსა ხელმწიფისასა და დიდის ანბით მოიყვანენ ხელმწიფესთან სალაპარაკებლათ.

მერვე დღეს შეიკრიბნენ ერთად შვიდნი ვეზირნი, და შვილსა ხელმწიფისასა ეუბნებოდნენ: მოვიდა შენი ლაპარაკის დრო. ეუბნებოდა შვილი ხელმწიფისა: ეხლა მოსულია დრო ლაპარაკისა და ჩემის დახსნისა; მაგრამ თქვენ ნუღარ შესწუხდებით იმისათვის, თუ მაშინ მე რა უნდა ვილაპარაკო. მაშინ ვეზირებმან ჩააცვეს ხელმწიფის შვილს ტანისამოსი ატლას დიბისა, შეაბრძანეს იგი სულ ოქროს ყაჯრითა და სამოსლით მორთულს ცხენზედ. თითონაც შებრძანდნენ აგრეთვე ცხენებზე. ორ ორი წინ გაუძღვნენ და სამნიც უკან, აგრეთვე ოქროს უნაგირებით მორთულს ცხენებზედ. დიდის საკრავებით და ყოვლის სამზადისით მრავალის ხალხით დიდის პატივით და სიხარულით მოვიდნენ ხელმწიფესთან. რა ხელმწიფემან გაიგო ხმა სიხარულისა. უთხრა მუნ მყოფთა: რა არის, რომ მესმის მე? უპასუხეს ამათ: უფალო ხელმწიფეო, დიდხანს იცოცხლეთ და შვილი თქვენი

გიახლებათ თქვენთანაო, რადგან დღეს წინაშე თქვენი და თქვენის ვეზირებისა უნდა ილაპარაკოს. მაშინვე შევიდა პალატში და შეინძრა მთელი იქაურობა. პირველათ ხელმწიფესთან შევიდნენ ვეზირები და სალამი მიართვეს დიდის პატივით. ხელმწიფემაც დიდათ მიიღო ვეზირები. შემდეგ ამისა შემოვიდა შვილი ხელმწიფისა მამასთან, თაყვანი სცა და მოახსენა: მშვიდობით ბრძანდებოდეთ გულ-კეთილო მამაო და პატრონო ჩემო ხელმწიფეო. შემდეგ სალამი სცა ყველა მუნ მყოფ დიდებულთა და უთხრა: მშვიდობა თქვენ დიდებულნო მამისა ჩემისა და დიდებულნო მთელის ჴროვმისა.

რა ხელმწიფემან გაიგო ხმა და ლაპარაკი თვისის შვილისა, ზევრის სიმხიარულისაგან ჩამოვარდა თავისის სკამიდან და ისევ დაბრძანდა იმავე სკამსა. შვილი ხელმწიფისა დაბრძანდა მამის ახლო და ყველა მუნ მყოფთა დიდებულთა მოვიდნენ და თაყვანი სცეს მას. მაშინ დიდის სურვილით უნდოდა ხელმწიფის შვილს ლაპარაკი თავის მამასთან, მაგრამ ხალხის არეულობისა და ხმაურობისაგან არ შეიძლებოდა რამე გაეგონებინა; ამისათვის მაშინვე ხელმწიფემ უბრძანა თავის მოსამსახურეებს, რომ ოქრო და ვერცხლი გარდაეყარა

ხალხისათვის ქუჩაში, რომ იმათ განშორებოდნენ იქიდან და თითონ გაეგო ლაპარაკი შვილისა თვისისა, მაგრამ ხალხი ხელმწიფის შვილის ლაპარაკზედ გახარებულნი არავინ განშორდა იქიდან ოქრო და ვერცხლისათვის; უკეთესი მიაჩნდათ ლაპარაკის სმენა ხელმწიფის შვილისა, ვიდრე ოქრო ანუ ვერცხლი. ხელმწიფემან რა ნახა, რომ ხალხი ალაგიდან არ დაიძრა, უბრძანა მაეტყობინებინათ და ეთქოთ ხალხისათვის, რომ გაჩუმებულიყვნენ ყველანი, და უკეთუ ვისმეს ხმას გაიგებდნენ, იქავე მოჰკლამდნენ.

რა ხალხი სრულებ გაჩუმდა, უთხრა შვილმან ხელმწიფეს: უფალო ხელმწიფეო, ჯერ ვერას ვიტყვი, ვიდრე არ მოვა აქ დედოფალი თქვენი; გეხვეწებით უბრძანოთ, რომ დაუძახონ თქვენს წინაშე და თქვენის ვეზირებისა, და ეგრეთვე ყველა მუნ მყოფნი ქანწულნი ქალნი და მოახლეები მოვიდნენ იმასთან.., მაშინვე უბრძანა ხელმწიფემ და მოიყვანეს დედოფალი თავისი ყველა მოახლეებით, მაგრამ მაშინ დედოფალი იყო ძრიელ მოწყენით და გულ შფოთად.

ხელმწიფის შვილმან რა ნახა დედოფალი, განრისხებით უთხრა: დადექ შენ მანდ ხა-

ლხის წინ და ყველა ჩემის მამის დიდებულების წინ. და ყველა ქანწულნი ქალნი დადგნენ რიგრიგათ მეფთან, რომ ყველამ გნახოთ თქვენ, რადგან მაქვს სიტყვა სათქმელი. მაშინ დედოფალი დადგა ხელმწიფის პირდა-პირ და ყველა ქალებიც რიგ-რიგათ დადგნენ დედოფლის გვერდით.

## დიოკლეტიანე გააუპატივებს დედოფალს და გაატიტვლებს ჯეჭმელ ვაჟს ქალის ტანისამოსიდან.

მაშინ ეუბნება შვილი ხელმწიფისა თავის მამას: უფალო ხელმწიფეო, აამაღლეთ თვალი თქვენი და უყურეთ თქვენის დედოფლის ქალწულ ქალებს; მეტადრე იმას უყურეთ, რომელიც უკეთესად ჩაცმულია ყველაზედ და დგას დედოფლის ახლო მწვანის კაბით. უთხრა ხელმწიფემ: დიახ ვიცი, შვილო ჩემო, ვხედამ ამას და კიდეც ვიცნობ; ის არის უფროსი ყველა ქალებზედ და დედოფალსაც ეგ ყველაზედ უმეტესათ უყვარს, და ჩემთან აქებს მაგას, რათა ყველაზედ კარგი და ნიჭიერი არისო.

უთხრა შვილმან: მამაო ჩემო, გეხვეწები უბრ-

ძანოთ ეგ ქალი გაატიტვლონ ამ სახლის წი-
ნაშე, და გაჩვენებ თქვენის დედოფლის წმინ-
დანობას, თუ როგორი ქალი ჰყავს თავის
ლოგინში.

რა გაიგო ხელმწიფემან ლაპარაკი და სი-
ტყვა შვილისა თვისისა, გაუკვირდა და თქო:
შვილო ჩემო, დიდი სირცხვილია ქალის გა-
ტიტვლება სახლის წინ. უთხრა შვილმან: უბ-
რძანეთ, მამაო ჩემო, გაატიტვლონ, და უკე-
თუ არ უბრძანებთ თქვენს მოსამსახურეებს, მე
თითონ გავატიტვლებ მაგას. მაშინ ხელმწი-
ფემ უბრძანა გაეტიტვლებინათ, და იგრეც აღა-
სრულეს. რა გაატიტვლეს, ყველამ ნახა რომ
არ იყო ქალი; ეს იყო მშვენიერი ჯეჰელი ვა-
ჟი- მაშინ ყველა მუნ მყოფთა ძრიელ გაკვი-
რვებულ იქმნენ და ეგრეთვე მასწავლებლები მი-
სნი და ამბობდნენ: როგორ გაიგო რომ ის ქა-
ლი არ იყოვო.

უთხრა შვილმან მამას: უფალო ხელმ-
წიფევო, ეგ ვაჟი მუდმივ ეგდო საწოლსა თქვე-
ნსა თქვენ დედოფალთან, და არ არის საკვირ-
ველი, რომ ეგ უფრო უნდა ჰყვარებოდა სხვე
ბზედ და წინაშე თქვენი უნდა ეგ უფრო ექო.

რა ნახა ხელმწიფემან ეს საქმე, სირცხ-
ვილისაგან შეიქმნა, როგორც ჭკვიდან შეცვ-

ლილი და უბრძანა, რომ მაშინვე ცეცხლში და-
ეწოთ დედოფალი და ეს ვაჟიც ერთად.
უთხრა შვილმან: უფალო ჩემო ხელმწიფეო
და მამაო ჩემო საყვარელო, ახლა გაუშვი ა-
მათ, რომ თქონ მართალი, რაც მე ცილი და-
მწამეს და ჩემზედ თქვეს უწესობა. უთხრა ხე-
ლმწიფემან: ჰოი საყვარელო შვილო ჩემო,
მაგათი სამართალი შენთვის მომიცია, რადგან
შენ უფრო ჭკვიანი ხარ ჩემზედ.

უთხრა შვილმან: არც მე და არც თქვენ
შეგიძლიანთ ამათი დასჯა, მაგრამ დაწესებუ-
ლის წესებით დაისჯებიან ესენი, უკეთუ იტყუ-
ვიან თავიანთ სიმტყუნეს. რადგან როდესაც
მიბრძანეთ რომ მოვსულიყავ თქვენთან, მაშინ
ყველა ჩემმა მასწავლებლებმა შეხედეს ვარს-
კვლავებს და მეც ეგრეთვე ამათთან შევხედე და
ვნახეთ რომ უკეთუ შვიდ დღემდის მელაპა-
რაკნა, უნდა მომკვდარიყავ; ამისათვის ჩუმათ
ვიყავი. და დედოფალმან რომ მოგახსენათ
თქვენ, რომ შვილმა თქვენმა მოინდომა ჩემ-
თან შეცოდებაო, მოგატყუათ თქვენ. მაშინ
რომ თქვენთან ვიჯექი, მოვიდა დედოფალი
თქვენი, გკითხათ: ეს არის შვილი თქვენიო?
და თქვენ უბრძანეთ: დიახ ეს არის, მაგრამ არა
ლაპარაკობსო. მაშინ თქვენის ბრძანებით წა-

მიყვანა თავის სადგომს ოთახსა; უბრძანა ყვე-
ლა მუნ მყოფთა, რომ კარში გასულიყვნენ და
დამიწყო ამ ნაირათ ლაპარაკი: საყვარელო ჩე-
მო დიოკლეტიანე, ქალწულობა ჩემი თქვენთვის
შემინახავს; გამეგო შენის სილამაზის ქება;
ეხლა მართლად ვნახე და ვიცან შენი სიმშვე-
ნივრე; მოდი განვისვენოთ ერთადო, და უნ-
დოდა ჩემთვის კოცნა, მაგრამ მე განზედ ვმო-
რდებოდი მაგისაგან. რა ამ ნაირათ მნახა დე-
დოფალმან, მომცა ქაღალდი და საწერელი და
მითხრა: დაწერე ქაღალდზედ და მაცნობე ნება
შენიო; აჰა გაგიგიჟებივარ შენა, ჰოი საყვარე-
ლო დიოკლეტიანე. მაშინ მეც ავიღე ქაღალ-
დი და დავწერე ამ ნაირათ: ჰოი დედოფალო,
მე არა მსურს, რომ წავბილწო სახლი და ლო-
გინი მამისა ჩემისა; არაფერი სარცხვენელობა არ
მექმნება, და დიდი ცოდვაც არის წინაშე უფ-
ლისა; და მივეცი ესე წერილი დედოფალს. რა
მან აიღო და წაიკითხა იგი წერილი, მაშინვე
ჩამოიგლიჯა თავ-პირი, დაიგლიჯა ტანთ საც-
მელი, დაიწყო კივილ-კიჟინი, და თავის დანა-
შაული მე დამაბრალა,,. რა ხელმწიფემან ესე
გაიგო თავისი შვილისაგან, დიდის წყრომით
დაუწყო ყურება თავის დედოფალს და ამბო-
და: ჰოი დაწყევლილო და წყეულო [illegible]

ვინე შენს საყვარელთან შენი ცოდვის მოქმედება, და მოინდომე ჩემი შვილიც ჩაგეგდო ცოდვასა შინა? მაშინ დედოფალი ჩაუვარდა ფეხებში ხელმწიფეს და სთხოვდა წყალობას. უთხრა ხელმწიფემან: ჰოი დაწყეევლილო დიაცო, არა თუ ერთის სიკვდილის მიზეზი იქმენ, არამედ მრავლისა; რათა პირველათ უნამუსო შეიქმენ ჩემთან და წამურტლე ლოგინი ჩემი; მეორე რომ მოინდომე ჩემი შვილიც ჩაგეგდო შენთან ცოდვაში; მესამე რომ უბრალოთ ცილი დასწამე და მოინდომე სიკვდილი მისი.

დედოფალი ცხარის ცრემლით ტიროდა და სთხოვდა მოწყალებას. უთხრა ხელმწიფემან: წესი და კანონი გაჩვენებს შენ თუ როგორ უნდა მოგცენ მოწყალება.

უთხრა შვილმან: უფალო ხელმწიფეო, ეს კარგათ იცოდეთ, რომ მაგის დაბეზღებული უბრალოთ მუდამ დღე მიყვანდი ჩამოსახრჩობათ, მაგრამ ღმერთმან დამიხსნა ამისთანა განსაცდელისაგან ჩემის მასწავლებლების შემწეობით და დღეს მეც მოვრჩი და ჩემი მასწავლებლებიც; და თუმცა ღვთის მალითი ისრე ქმნილიყო, რომ მეხელმწიფნა თქვენს სიცოცხლეში, როგორც დედოფალმან ცი-

ლი მწამს, მაგრამ მაინც თქვენს პატივს და დიდებას ფრიად ვიწამებდი და შევინახამდი, როგორც ეფერებოდა შვილსა დიდება მამისა თვისისა; და თქვენ უზრუნველათ დარჩებოდით სიდინჯით. ეგრეთვე თქვენვე მასწავლებდით, თუ ვითარ უნდა შემენახსა სახელმწიფო ჩვენი და თქვენის ნებისამებრ ვიზამდი ხელმწიფობას; როგორც ერთმან დიდებულმან, თუმცა შვილი თვისი გარდაავდო ზღვასა, მაგრამ ღმერთმან დაიხსნა იგი და შეიქმნა ეგვიპტის ხელმწიფე; იპოვნა თავისა დედმამა და ინახამდა დიდის პატივით, ვიდრე ცოცხალი იყვნენ. თუმცა მათ გარდაავდეს თავიანთ შვილი ზღვაში, მაგრამ შვილმან არაფერი მაგიერი არ უყო; იგი ადიდებდა თავის დედმამას და დიდს ბედნერებაში ინახამდა.

უთხრა ხელმწიფემ: ჭოი ტკბილო შვილო ჩემო, იკურთხოს იგი საათი, ოდეს იმობე შენ ქვეყანასა, რომ შენგნით მესმის ჭკვიანი სიტყვები. შვიდთა მასწავლებელთა შეხთა თავიანთის მშვენიერის და ჭკვიერის არაკებით დაგიხსნეს შენ სიკვდილიდან; ესლა შენ გვითხარ ჩვენ ერთი არაკი და გაგვამხიარულე.

უთხრა შვილმან: მამაო ჩემო, უბრძანე რომ ყველანი დაჩუმდნენ, ვიდრე მე ვიტყოდე

ჩემს არაკს. უბრძანა ხელმწიფემ გაჩუმებული-ყვნენ ყველანი და როდესაც გაჩუმდნენ, დაი-წყო ხელმწიფის შვილმან არაკი:

## დიოკლეტიანე ამბობს მშვენიერ არაკს ალე-ქსანდრე და ლუდვიკზე.

ეგვიპტის ერთ ქალაქში იყო ერთი კაცი და ჰყვანდა ერთი დედის-ერთა შვილი როგო-რც მე თქვენა გყევართ, რომელიც ძრიელ უყ-ვარდა. ეს ყმარწვილი როდესაც დროს მოვი-და, გაგზავნეს დედ მამამ სასწაულში, როგო-რც მე თქვენ მიმაბარეთ ამ ვეზირებს; და რა-დგანაც იყო ჭკვიანი, რაოდენიმე ხნის შემ-დეგ შეიქმნა ძრიელ სწავლული, ერთ დღეს მამამ დაიბარა სასწავლებლიდან თავისი შვილი. ეს ყმაწვილი მოვიდა თავის დედ მამსთან და იყო მშვენიერი და ჭკვიანი. ერთხელ, როდე-საც ამის მშობელნი იყვნენ სადილზე და ყმა-რწვილი ალექსანდრეც იქ იყო, მაშინ იმ დროს მოვიდა ერთი ბულბული, შემოჯდა ახლო ხე-ზე და დაიწყო იმისთანა ტკბილი ხმით გალო-ბა, რომ ამის მამა დარჩა გაშტერებული და იძახდა: ჩემს სიცოცხლეში მე ამისთანა ტკბი-ლი ხმა ბულბულისა არ გამიგია და ნეტარებს

იმას, ვისაც ამის გალობის ახსნა ეცოდინება. ბატონო ჩემო და მამავ მშობელო, მე შემიძლიან ამ ბულბულის გალობა ავხსნა, მაგრამ მეშინიან თქვენგან, ვაი თუ საწყენათ მიიღოთ. უთხრა მამამ: გნახო და გავიგო რისთვის უნდა მეწყინოს? უპასუხა ალექსანდრემ: ეს ბულბული გალობს ჩემთვის და ამბობს: მითომ მე უნდა ვიყო ძრიელ დიდებული და სახელოვანი; ყველანი პატივს მომცემენ; მამა ჩემი დამისხამს წყალს ხელის დასაბანათ და დედა მომართმევს პირსაწმედს. ამ დროს გაჯავრდა ამის დედა და თქო: ღმერთმა ნუ მოიყვანოს ის დღე, რომ მე და მამა შენი შენ გემსახურებოდეთ. მე ის არ ვიცი, უთხრა ყმაწვილმა, მართალი იქმნება თუ არა, მხოლოდ ბულბულის სიტყვები აგიხსენით; რაც გენებოთ, მიყავით, მე მზათა ვარ. თუმცა მამა ითმენდა და არ უნდოდა შვილის დალუპა, დედა იყო მოუთმენელი და ეხვეწებოდა თავის ქმარს, რომ ეს ყმაწვილი მოეკლა ან დაეკარგნა, მაშინ გააკეთეს ერთი ხის ყუთი, შიგ ჩასვეს ეს ყმაწვილი, ჩააგდეს ზღვაში და ამობდნენ: გაგადიდოს შენ მაგ ბულბულმა, თუ შეუძლიანო. ყუთი ცურამდა ზღვის პირზედ და შეხვდა ერთ მენავეს. ამას ეგონა [illegible]

ლუპული; მივიდნენ, აიღეს ეს ყუთი და როდესაც მენავემ გახსნა და ნახა შიგ მშვენიერი ყმარწვილი, ძრიელ გაუკვირდა და ჰკითხა: რას აკეთებ შენ ამ ყუთშიო? როდესაც ყმარწვილმა უამბა ყოველი თავის განსაცდელი დაწვრილებით, მაშინ წაიყვანა ეგიპტეში, რადგან იქ მიდიოდა, და გაყიდა ერთ იქაურ ხელმწიფის ვეზირზე. ამ ვეზირმა ეს ყმარწვილი ძრიელ შეიყვარა, რადგან ყმარწვილი ჭკვიანათ იქცეოდა. ამ დროს ეგიპტის ხელმწიფემ დაუძახა თავის ვეზირებს რამის სათვიქრებლათ. მაშინ ამ ვეზირმა მოართო ალექსანდრი მშვენიერის ტანისამოსით და თან წაიყვანა. ხელმწიფემ რომ დაბრძანდა თავის ტახტზე, ბრძანა: ეს სამი დღეა რაც ავდგები, დავჯდები, შინ შავალ, გარში გავალ, სამი ყვავი დამდევენ უკან და ყვირიან. ძრიელ მეჯავრება ამათი ყურება. მაშინ რა ლაპარაკობდა, გიდენ ეს ყვავები დასხდნენ ახლო ხეზე და დაიწყეს ყვირილი. მაშინ ბძანა ხელმწიფემ: ვინც გამიგებს ამ ყვავების ყვირილის მიზეზსა, ამიხსნის ამათ თხოვნასა და მამაშორებს თავიდან, ვეფიცები ღმერთს, იმას მივცემ ცოლათ ჩემს ქალს და შემდეგ ის იქნება ხელმწიფე ჩემს ალაგას.

ბისა და ვერც უთხრეს რამ ხელმწიფეს. ამ დროს ალექსანდრემ მოახსენა თავის პატრონ ვეზირს: ვიცოდე რომ მართლა ხელმწიფე ასრულებს თავის აღთქმას, მე ნამდვილათ აუხსნიდი მაგ ყვავების თხოვნას. უთხრა ვეზირმა: თუ მართლათ შეგიძლიან ახსნა ამათ ენისა, მე ვაცნობებ ხელმწიფესა. მოახსენა ალექსანდრემ: თუ არ აუხსნა ნამდვილათ, ჩემს თავს მივცემ სასიკვდილოთ. მაშინვე ალექსანდრის პატრონი ვეზირი მივიდა და მოახსენა: მაღალო ხელმწიფეო, მე ვიცი ერთი ყმაწვილი, რომელიც ახსნის იმ ყვავების ენას, თუ მართლა აასრულებთ თქვენს აღთქმას. უპასუხა ხელმწიფემ: ვფიცავ ჩემს მეუფეს, რომ მართლათ ავასრულებ საქმით, რაც დავპირდი სიტყვით. ჯერ კიდევ ყვიროდნენ ეს ყვავები. ვეზირმა მაშინვე მოიყვანა და დააყენა ხელმწიფის წინ. მაშინ ჰკითხა ხელმწიფემ: რისთვისა ყვირიან ეს ყვავები? პატარა ალექსანდრემ დაიწყო ლაპარაკი: ეს ყვავები არიან დედალ მამალი და მესამე მაგათი ბარტყი; ამ წლის წინათ იყო დიდი შიმშილი, მაშინ ეგ ბარტყი იყო ახალი გამოჩეკილი და დედალმა ყვავმა დაანება თავი, გაიქცა, მოშორდა შიმშილს და უკან აღარ დაბრუნდა თავის ბარტყთან: ამ

დროს მამალი ყვავი წავიდოდა და რასაც იშო-
ვნიდა, მოჰქონდა, ბღარტს აჭმევდა თითონკი
რჩებოდა მშიერი, მანამ გაზარდა და გააფრინა.
როდესაც შიმშილობა გაიარა, მაშინ მოსულა ეს
დედალი ყვავი და უნდა თავისი ბღარტთან
ცხოვრება, მაგრამ მამალი ყვავი ეუბნება: რო-
გორც შიმშილის დროს თავი გამარიდე და და-
იკარგე, ეხლაც არა ხარ საჭიროვო, წადი და
ჩვენში ნუ გაიხარებო. ეუბნება დედალი: მე არ
მინდა ჩემ მამალთან გავიხაროვო, მომეცით
ნება ჩემ ბღარტთან ყოფნისაო. ამისათვის
მოსულან თქვენს უმაღლესს ხელმწიფობასთან
და ეთხოვენ სამართალს; ამ ბღარტთან რო-
მელმა უნდა დარჩეს და გაიხაროს? უბოძეთ
სამართალი და აღარ მოვლენ აქ ეს ყვავები.
ხელმწიფემ ბრძანა: როდესაც დედამ გაუშო
თავისი ბღარტი შიმშილის დროს და წავიდა,
ეხლაც შორს დარჩეს; და თუ ანბობს ბღარ
ტის შობაში შეწუხება ვნახეო, მაგიერი სიხა-
რულიც უნახავს. შვილის გაჩენის მიზეზი მა-
მა არის და ზედ მეტი რომ ჭამაგიც უქნია ში-
მშილის დროს; ამისათვის უბძანებ ამათ ბღა-
რტს რომ დარჩეს თავის მამასთან და დედას
არა ნაწილი არა ჰქონდეს მაგათთან. როდესაც
ეს გაიგეს ყვავებმა, დიდი ხმით დაიძახეს: თი-

თქო მადლობას იხდიდნენ და წავიდნენ იმ ქვეყანიდან, განშორდნენ საუკუნოდ. ამის შემდეგ როდესაც ჰკითხა ხელმწიფემ ამ ყმაწვილს სახელი და ვინაობა და გაიგო ყველა დაწვრილებით, უთხრა: შვილო ჩემო ალექსანდრე, ამის შემდეგ ჩემს მეტს არავის დაუძახო მამა. ჩემი ასული შენ უნდა მოგცე მეუღლეთ და ჩემს შემდეგ შენ უნდა იყო ეგვიპტის ხელმწიფე. ალექსანდრემ მადლობა გარდაუხადა და იქავე იმის პალატაში დარჩა და ყველა იქ მყოფებს ძრიელ უყვარდათ. შემდეგ ალექსანდრი შეიქმნა კარგი ცხენოსანი, ბევრსაც ეომებოდა და ყველას აჯობებდა; ამასთან ომი არვის მაქმლო ანუ რაც იქნებოდა სათვიქრალი ყველანი ამისაგან აიღებდნენ დარიგებას და იგრე იქ ცეოდნენ.

ამ დროს იყო ერთი კეისარი სახელათ ტივროს, რომელიც ჭკვითა და შეძლებით ყველა ხელმწიფეებზე უკეთესი იყო და იჯდა ალექსანდრის ქალაქში. ვისაც ენდომებოდა უკეთესი ჭკვის შეზენა, მიდიოდნენ ამასთან და სწავლულობდნენ ყველას. როდესაც ალექსანდრემ გაიგო ტივროს კეისრის ამბავი, მოვიდა ხელმწიფესთან და მოახსენა: მამაო ხელმწიფეო, მთელი ქვეყანა აქებს ტივროს კეისარს; ვარგი

იქნება იმის პალატაში დგომა რაოდენიმე ხანს, გთხოვთ ინებოთ ჩემი გაგზავნა იმასთან რაოდენიმე ხანს, რომ შევისწავლო იმისაგან ჭკვა და გონება. უბძანა ხელმწიფემ: ეგ აზრი ჩემიც მოსაწონია, რადგან ჩემთვისაც იქმნება კარგი სახელი და შენთვის დიდი სიკეთე; მაგრამ უკეთესი იქნება ჯერ ჯვარი დაიწერო ჩემს ქალზე და შემდეგ წახვიდე. მოახსენა ალექსანდრემ: ბატონო ჩემო ხელმწიფეო და მამავ საყვარელო, მოითმინეთ მცირე ხანს და როცა დავბრუნდები, მაშინაც შემიძლიან ავასრულო. მაშინ ხელმწიფემ მისცა წასვლის ნება; ეგრეთვე მისცა ალექსანდრეს კეისართან მეგობრობის და თხოვნის წერილი. ალექსანდრემ მადლობა გარდაუხადა, აიღო საკმაო განძი და წავიდა თავის მოსამსახურეებით ალექსანდრია ქალაქში, და მივიდა კეისართან; მოიყარა მუხლი, მისცა სალამი და მიართო თავის მამობილიდან წერილი. კეისარმა როდესაც ეს წაიკითხა და გაიგო ამისი მოსვლის მიზეზი, მაშინვე უბძანა თანამდეგობა რომ ალექსანდრეს უნდა დაემზადებინა კეისრის სადილი. კარის კაცმა აჩვენა ერთი დარბაზი, სადაც უნდა ყოფილიყო თავის მოსამსახურეებით. ალექსანდრე თავის თანამდეგობას ასრულებდა ის-

რე ჭკვიანათ, რომ ყველას შეუყვარდათ. მცირე ხნის შემდეგ ამავე კეისართან მოვიდა ისრაელელი ხელმწიფის შვილი ლუდვიკი ამასთან ჭკვის შესაძენათ და სამსახურისათვის ამას საც კეისარმა მისცა თანამდეგობა, რომ ღვინო დაესხა და მიერთმევინა კეისრისათვის. ამასაც კარის კაცმა აჩვენა ის დარბაზი, სადაც ალექსანდრი იმყოფებოდა. ლუდვიკი და ალექსანდრი იქამდისინ ერთმანერთს ემგზავსებოდნენ შეხედულობით, რომ ხამი კაცი ვერ გაარჩევდა ერთმანერთიდან. ალექსანდრი იყო ძრიელი ღონით. ლუდვიკი იყო შეუძლებელი და თავის ნებისა. ამით არ ემგზავსებოდნენ ერთმანერთს. ამ კეისარს ჰყვანდა ერთი მშვენიერი ქალი სახელათ ფლორენცია, რომელიც იყო მემკვიდრე და მამას ძრიელ უყვარდა. ფლორენცია იყო ცალკე ერთ დარბაზში თავის მოახლეებით და მამა მუდამ უგზავნიდა საჭმელებს თავ თავის დროს ალექსანდრის ხელით, რადგანაც ჭკვიანათ იქცეოდა. ერთ დღეს ალექსანდრეს შეხვდა სხვა საქმე და სადილის დროს არ იყო პალატში, ლუდვიკმა ემსახურა ამის ალაგას და კეისარმა სადილის დროს, ეგონა თუ ალექსანდრი იყო, უბძანა ლუდვიკს, რომ ფლორენციასათვისაც სადილი მიერთმევინა.

ლუდვიკს ჯერ არ ენახა ფლორენციის მშვენიერი სახე; რომ შევიდა, მისცა სალამი, მიართო საჭმელი და მოახსენა: მამა თქვენმა გამოგიგზავნათ. ფლორენციამ რომ ნახა ლუდვიკი, მაშინვე იცნო რომ ალექსანდრი არ იყო; ჰკითხა ვინაობა თავისი და როცა ლუდვიკმა მოახსენა ყველა დაწვრილებით, უთხრა ფლორენციამ: წაბძანდი მშვიდობით და მადლობა მოახსენე ჩემს მამას ჩემგნით. ლუდვიკი გამოემშვიდობა, წავიდა თავის სადგომს და მაშინვე ლოგინათ ჩავარდა და ვეღარ ადგა ავადმყოფობისაგან. ალექსანდრემ რომ შეიტყო ლუდვიკის ავადმყოფობა, შევიდა და უთხრა: საყვარელო ძმაო ლუდვიკ, რა ანბავია, რომ ლოგინში ჩავარდნილხარ? უპასუხა ლუდვიკმა: დიდი ავადმყოფობა დამემართა, გონია ამ ავადმყოფობისაგან მოვკვდე. უთხრა ალექსანდრემ: ჭეშმარიტათ ვიცი მიზეზი შენი ავადმყოფობისა; რადგან გუშინ ჩემს მაგიერ წაიღე სადილი ფლორენციასთან და ნახე მშვენიერი სახე მისი და იმისაგან დაიწვა შენი გული. უთხრა ლუდვიკმა: ძმაო ალექსანდრე, მთელი ქვეყნის ექიმები რომ ერთად შეიკრიფნენ, ვერ გაიგებენ ჩემს ავადმყოფობის მიზეზს, როგორც შენ გაიგე. უთხრა ალექსანდრემ: ძმაო

ლუდვიგ, შენ კარგათ იყავი და მე დაგეხმარე-
ბი; ჩემს თავს დავდებ შენთვის და ავასრულებ
შენს გულის ნდომას, რომ უბრალოთ არ მო
კვდე. ალექსანდრი გამოვიდა იქიდამ წავიდა
ბაზარში, იყიდა ერთი სუფრა ოქროთ მოქ-
სოვილი თვალ მარგალიტით სავსე, არ იცოდა
ეს ამბავი ლუდვიგმა, წაიღო ფლორენციასთან
და უთხრა: საყვარელო დაო ფლორენცი, ლუ-
დვიგმა გამოგიგზავნა ეს სუფრა საჩუქრათ.
ეს რომ ქალმა ნახა, თქო: ძმაო ალექსანდრე,
სად უშოვნია ლუდვიგს ამისთანა მშვენიერი
რამ და რისთვის გამომიგზავნა? ერთის მეტად
არ უნახვივარ. უპასუხა ალექსანდრემ: ეს ნივ-
თები გამოგიგზავნა ლუდვიგმა იმისათვის რომ
თქვენი სიყვარულისაგან სასიკვდილოთ ავათ
გამხდარა და თუ მოკვდა, მიზეზი თქვენ შეი-
ქმნებით. უთხრა ფლორენციამ: შენი დარიგე-
ბით გინდა გამაუპატიო? არ იქმნას ჩემგნით
მაგისთანა საქმე, გამშორდი და შემდეგ მაგი-
სთანა სიტყვა აღარ გამაგონო. ალექსანდრე
გამოეშვიდობა. კიდევ გამოვიდა ბაზარში,
იყიდა უფრო ძვირფასი ნაქსოვი და სავსე თვალ
მარგალიტით; როცა სადილი მიუტანა, ესეც
მიართო ფლორენციას და უთხრა: ლუდვიგმა
გამოგიგზავნა მოსაკითხავათ. როდესაც ამან

ეს ნიქვთები ნახა. თქო: მიკვირს, შენ მუდამ მხედავ და არაფერი არ მითხარ შენთვის და ლუდვიკისათვისკი ძრიელა სცდილობ. უპასუხა ალექსანდრემ: შემთხვევა მომსვლია რომ უნდა შევიყვარო ჩემი ამხანაგი, როგორც ჩემი თავი, ამისათვის გთხოვ უბრალოთ არ მოკლა ლუდვიკი, მცირედ გაახარე. დღეს მე პასუხს ვერ მოგცემ. გამოვიდა ალექსანდრე, წავიდა ბაზარში და მესამეთ იყიდა უფრო ძვირ ფასი რამ და მესამე დღეს სადილის მიტანის დროს ესეც მიართო. დაიჩოქა ფლორენციას წინ და თქო: სასურველო ჩემო ფლორენცი, ეს ნივთები ლუდვიკმა გამოგიგზავნათ დამწვარის გულით. ქალმა გაიცინა და თქო: მიკვირს ძმაო ალექსანდრე, რომ ამდენსა სცდილობ იმისათვის. შეჰფიცა ალექსანდრემ და უთხრა: ღმერთმა ხომ იცის რომ თუ მცირედ არ გაახარე ის შენის სიყვარულით, უბრალოთ მოკვდება და შენ შეიქმნები კაცის მკვლელი. უთხრა ქალმა: თუ მაგრეა, წადი დღესვე და ახარე ლუდვიკს, რომ დღევანდელიდამ ნება ექნება როცა უნდოდეს, მოვიდეს ჩემთან და წავიდეს, არავინ ვერ დაუშლის. ალექსანდრემ როდესაც ფლორენციას ნების დართვა შეიტყო, ძრიელ გაუხარდა; მადლობა გარდაუხადა, გამოვიდა,

წავიდა ლუდვიკთან და უთხრა: ძმაო ლუდვიკ, ახლა გასარჯებ, რომ დაამტკიცებ შენს სიყვარულს ფლორენციასთან და როდესაც გენდომება, ის მზათ იქნება მოსალაპარაკებლათ; მე შენი ყარაული ვიქნები ჩემის მოსამსახურეებით. როდესაც ლუდვიკმა შეიტყო ეს ამბავი, გამოფხიზლდა როგორც ძილიდან ამდგარი და მორჩა ავადმყოფობისაგან. მეორე დღეს ჩუმათ ლუდვიკი შევიდა ფლორენციასთან, დაინიშნეს ერთმანერთი და მისცეს ერთმანერთს ცოლ-ქმრობის პირობა. შემდეგ ლუდვიკი ხშირათ დაიარებოდა ამ ქალთან, ვიდრე ეს ამბავი გაიგეს ყველა იქ მყოფებმა და იარაღით შეკაზმული მოსამსახურეები ინახსამდნენ ამის გზას, რომ მოესწროთ ლუდვიკი და მოეკლათ, მაგრამ ამ დროს ალექსანდრი სხვა მხარეს ყარაულობდა თავის მოსამსახურეებით და იფარამდა ლუდვიკს იმათგან, რომ კეისარს არ შაეტყო. ამ დროს ლუდვიკის მომტერეებმა რომ ნახეს იმისი შემნახავი იარაღიანი კაცები, შაეშინდათ და ახლო აღარ გაუარეს. ამ ნაირათ ლუდვიკი უშიშრათ დადიოდა ფლორენციასთან.

ამ დროს ალექსანდრეს მოუვიდა წერილი, მამა მოჰკვდომოდა და უნდა წასულიყო;

იმისი ტახტი დაეჭირა, რადგან ეს იყო დანიშნული მემკვიდრე. ალექსანდრემ გამოუცხადა ფლორენციას და ლუდვიკს თავისი წასვლა. ამათ რომ გაიგეს ალექსანდრის განშორება, ძრიელ შეწუხდნენ. მაშინვე გამოუცხადა მგრეთვე აჩვენა მოწერილი წიგნი და სთხოვა, რომ ნება ებოძებინა წასვლისა. კეისარმა მისცა მაშინვე ნება წასვლისა: დაუძახა კარის კაცს. უბძანა რაოდენიც საჭიროება ექმნებოდა ალექსანდრეს, მიეცა ოქრო და ვერცხლი ალექსანდრემ დაემზადა წასასვლელად, მადლობა გარდაუხადა კეისარს და გაემგზავრა. მგრეთვე გამოემშვიდობა ყველას ვინც იმასთან პალატში იყვნენ და ყველა ტიროდა ამის განშორებაზე, რადგან ძრიელ უყვარდათ. ამ დროს ლუდვიკი და ფლორენცია გაჰყვნენ თავიანთ მოსამსახურეებით ორმოც ვერსამდის და კიდენ უნდოდათ გაჰყოლოდნენ, მაგრამ ალექსანდრემ აღარ შეაწუხა. ლუდვიკმა და ალექსანდრემ მოეხვივნენ ერთმანერთს და ძლივს დასთმეს, რომ დაებოლოვებინათ თავიანთ სიყვარული. მაშინ უთხრა ფლორენციამ ლუდვიკს: იტირე რამდენიც შეიძლო, ჩემო გულით საყვარელო ლუდვიკ, რადგან ჩვენი დიდი მეგობარი და მოყვარე მიდის, გვშორდება

და შენ კარგათ იცი, რომ ეგ არა ყოფილიყო, შენ მე ვერ გამიცნობდი. ეს რომ თქო, დაასრულა, დაეცნენ ორნივე მიწას და დაიწყეს მაღლა ხმით ტირილი. ამ დროს ამათ მოსჭიდა ხელი ალექსანდრემ, ააყენა და უთხრა: ჩემო საყვარელნო, ნუ სტირით, რადგან წავალ და ღვთის მოწყალეებით დავჯდები სახელმწიფოტახტზედ, მაგრამ თქვენ არ დაგივიწყებთ წერილით; ეხლა, ძმაო ლუდვიკ, ერთი რამეც მაქვს სათქმელი; ოთხი წელიწადი მეტია რაც სპანიის ხელმწიფის შვილი სიდონს უნდა გულით ჩვენი კეისრის სამსახური, და როდესაც გაიგებს ჩემს აქედან განშორებას, მაშინვე მოვა აქ, ის დაიჭერს ჩემს ალაგს და იმას უფრთხილდი, არ გაიგოს შენი კავშირი ფლორენციასთან; მაშინვე გამოუცხადებს კეისარს და შენ დაიღუპები უბრალოთ. უთხრა ლუდვიკმა: ჩემო სულო ალექსანდრე, ძრიელ კარგია რომ გამაფრთხილე, მაგრამ თუ სიყვარული გაქვს ჩემი ძმობისა, მე მაქვს ერთი ბეჭედი ჩემი დედისაგან ნაბოძები; ეს აიღე გაიკეთე შენ და როდესაც დაჰხედამ, მომიგონებ. ძრიელ კარგი იქნება, ძმაო ლუდვიკ, უპასუხა ალექსანდრემ, შევინახამ ამ ბეჭედს შენს სახსოვრათ, მე წავალ ჩემს სახელმწიფოს მი-

ვეპატრონები და თქვენ მიგანდობთ ჩვენს გამჩენ უფალს.

## ალექსანდრის დაჯდომა ხელმწიფეთ და სპანიის ხელმწიფის შვილის სიდონის მოსვლა კეისართან.

როდესაც შეიტყო სპანიის ხელმწიფის შვილმა სიდონმა ალექსანდრის განშორება, მოვიდა და სთხოვა სამსახური. კეისარმა მაშინვე უბოძა ალექსანდრეს ალაგი და კარის კაცმა შეიყვანა იმავე დარბაზში, სადაც იყო ალექსანდრი ლუდვიკთან ერთად ყოფილიყვნენ. ამ დროს ლუდვიკს უნდოდა ამისაგან განშორება. მრავალი მიზეზებიც მოიფიქრა, მაგრამ ვერარა გააწყო რა. როდესაც სიდონმა გაიგო რომ ლუდვიკს არ უნდოდა ამასთან დგომა, ძრიელ ეჯავრა დ მართლაც დიდი მტრობა დაიჭირა ლუდვიკთან. შემდეგ თუმც კარგა დრომ გაიარა, ლუდვიკი აღარ დაიარებოდა ფლორენციასთან, მაგრამ ბოლოს კიდევ დაიწყო უწინდებულსათ სიარული. ამ დროს ეს ამბავი დ გარემოება რომ გაიგო სიდონმა, გაუხარდა, იპოვნა მტრობის ალაგი, მაშინვე კეისართან დააბეზღა დ დაწვრილებით მოახ-

სენა თუ როგორ ალექსანდრის შუამავლობით ჩუმათ დანიშნულა ფლორენციაზედ. კეისარი ამ ანბავზედ ძრიელ შეწუხდა, დაუძახა ლუდვიკს და უთხრა: ეს რა მესმის შენზე? თუ მართალია რასაც ამბობენ, დიდის საცოდაობით მოგისპობ სიცოცხლეს. უპასუხა ლუდვიკმა: მაღალო ხელმწიფეო, არ მესმის რას მიბძანებთ. ეგ მე ვიცი დამაბეზღა სიდონმა, რადგან პირველათ მოსვლის დროსვე ვიცოდი რა ნაირი კაციც იყო; არ მინდოდა მაგასთან დგომა, კარის კაცმა ძალათ დამაყენა და იმაზე მას შემდეგ შეიქნა ჩემი მტერი და დამაბეზღა თქვენთან, რადგან უნდა ჩემი სიკვდილი. უთხრა კეისარმა: ეგ თუ მართალია, დაგინიშნამთ ერთ დღეს, რომ თქვენ ორთ იომოთ და რომელიც მართალია, მაშინ შევიტყობთ. (იმ დროს რომელიც მოერეოდა და თავს მოსჭრიდა თავის მეომარს, მართალი ის ეგონათ.) ლუდვიგი თანახმა გაუხდა, მადლობა გარდაუხადა და გამოვიდა, მაშინვე შავიდა ფლორენციასთან და უთხრა: ახლა მომივიდა აღსასრული და ამი სრულდა. როგორც ალექსანდრემ მითხრა, რადგან სიდონს დავებიზღებინე შენს მამასთან, გაეგო ჩვენი გარემოება, ძრიელ დამემუქრა და შემდეგ მე რომ თავი ვიმართლე, გარდაწყვი-

ტა დღე ომისა, რომ მე და სიდონმა უნდა ვიომოთ დანიშნულს დღეს; მე ძრიელ უღონო ვარ, იმას ვერ ვაჯობებ და უეჭველათ ის მომჭრის თავს. მაშინ ფლორენციამ დაარიგა და უთხრა: დაეშურე ახლავ, გამოცხადდი მამა ჩემთან, მოახსენე რომ მამა ავათ გამხდომია და სახლში დაუბარებივართქო და დანიშნულს დღეს ისევ გიახლები თქო; და როდესაც ბძანებას მოგცემს წასვლისას, მაშინვე ჩუმათ წახვალ ჩვენს ალექსანდრე ხელმწიფესთან; სთხოვე იმას ლუვოის გულისათვის და ჩვენის სიყვარულისათვის, რომ შენ გიშველოს და მოვიდეს სიდონის საომრათ. ვერავინ გაიგებს და ვერც იცნობს ჩემის მეტი. ამ დროს ლუდვიკმა გააკეთა ერთი წიგნი, დაბეჭდა და მისცა მოსამსახურეს და დაარიგა რომ დანიშნულს დღეს, როდესაც კეისართან იქნებოდა, შემოეტანა ლუდვიკთან და მიეცა, მითომ სახლიდან იყო გამოგზავნილი. მოსამსახურემ ასრულა, როგორც დარიგებული იყო, შემოიტანა მისცა ლუდვიკს და კარის კაცს, იმასაც უბოძეს კეისარს და მოახსენეს: ლუდვიკის მამა შეწუხებულა და ძრიელ ავათ არის; უთხოვნია თქვენგან უბოძოთ ნება, რომ თავის ავადმყოფი მამა ნახოს და კიდევ დანიშნულს დღეს გია-

ხოლოთ. უბრძანა კეისარმა: წადი მაგრამ და-
ნიშნულს დღეს არ უნდა გადაცილო, თორემ
გავანადგურებ თქვენს სახელმწიფოს და შენც
მოგისპობ სიცოცხლეს. ლუდვიკმა მიიღო უო-
ველი კეისარის ბძანება მადლობა გარდაუხადა
და გაემგზავრა ეგიპეტში ალექსანდრესთან. ამან
რომ შეიტყო თავისი ძმობილი ლუდვიკის
მოსვლა, ძრიელ გაუხარდა, მიიღო დიდის პა-
ტივით, მოიკითხა ეგრეთვე ფლორენცი, თავი-
სი დობილი. მაშინ უთხრა ლუდვიკმა: ძმაო
ჩემო საყვარელო, ახლა ჩემი სიცოცხლე და
სიკვდილი შენს ხელშია; როგორც სიდონი-
სათვის მითხარ, ისრე ამისრულდა; რადგან
დამაბეზღა კეისართან და იმანაც დაგვინიშნა
დღე ომისა, რომლითაც უნდა გაიგოს ჩვენ-
ში დამნაშავე. ის ძრიელია ჯანით ჩემზე და
მე არ შემიძლიან იმასთან ომი. ფლორენციამ
დამარიგა თქვენთან მოვსულიყავ, რომ უბრა-
ლოთ არ დავიღუპო სიდონის ხელით და, რო-
დესაც ომის დღეც გამოუცხადა, უთხრა ალე
ქსანდრემ: ამაღამ რომ დავიგვიანო, ვეღარ მი-
ვასწრობ დანიშნულს დღეს და ამაღამაც მე უნ-
და დავქორწილებულიყავ, ეგიპეტის სახელმ-
წიფო ტახტზედ დამჯდარიყავ, და თუ მე აქ
დავიგვიანე ამ საქმეზე, იქ ვეღარ მიუსწრობ

და მენც სამუდამოთ დაიკარგები. მაშინვე ლუდვიკი შეიყვანა ცალკე ოთახში, თავისი ტანისამოსი ჩააცვა ლუდვიკს და იმისი ტანისამოსი ჩაიცვა თითონ; აჩვენა იქაური ყველა გარემოება და უთხრა: მე წავალ იქ მივასწრობ დანიშნულს დღეს და შენ დასჯდები ჩემს ალაგას ხელმწიფეთ, მაგრამ როდესაც შესვალ ჩემი მეუღლის ლოგინში, ნუ მიღალატებ. ეს რომ თქვა, შეჯდა ცხენს და წავიდა კეისართან ლუდვიკის მაგიერათ. მეორე დღეს ლუდვიკი ალექსანდრის ალაგას დაჯდა ხელმწიფეთ და რადგან ძრიელ ჰგვანდა ალექსანდრეს, ვერავინ იცნო, მოიყვანა ალექსანდრის საცოლო და გარდაიხადა ქორწილის წესი. საღამოს ალექსანდრის საცოლო დაუწვინეს ლუდვიკს. მაშინ ლუდვიკმა ამოიღო ხმლის პირი და ჩადო ქალისა და თავის შუა, რომ ქალის სხეული არ მოჰხვედროდა ამის სხეულს. ამ ქალს ძრიელ უკვირდა ეს გარემოება, მაგრამ ვერას ეუბნებოდა ალექსანდრ ხელმწიფის მოსვლამდინ.

როდესაც ალექსანდრე წავიდა კეისართან ლუდვიკის მაგიერათ, უთხრა: მაღალო ხელმწიფეო, მამა ჩემი გაუშვი ავადმყოფი და მე დავეშურე წამოსვლას, რომ მომესწრო დანიშნულ დღისათვის. უპასუხა კეისარმა: რად-

გან ამ ერთ საქმეში მართალი შეიქენ, მოუმატებ შენს ღირსებას. ფლორენციამ ალექსანდრის მოსვლაზე ძრიელ გაიხარა; ჩუმათ რომ ნახა, დაჰკოცნა და უთხრა: დაილოცოს შენი დაბადების დღე და იცოცხლე დიდხანს, ჩემო ალექსანდრე, სად გაუშვი ჩემი ლუდვიკი? ალექსანდრემ მოახსენა ფლორენციას ყველა დაწვრილებით, გამოემშვიდობა და წავიდა ლუდვიკის სადგომში და ვერავინ შეიტყო თუ ის ლუდვიკი არ იყო. მეორე დღეს ალექსანდრემ მოახსენა ხელმწიფეს: სიდონს რადგან ჯავრი ჰქონდა ჩემი, დამაბეზღა თქვენთან, მითომ თქვენი ქალისათვის უპატიობა მიმეცეს; ახლა უნდა ვცადო მე და ავიღო მაგიერი. უთხრა სიდონმა: მართლათ ნამდვილია რაც მე ვთქვი და უნდა ჩემი სიმართლე დღეს გამოვცადო. ეს რომ თქვეს, შესხდნენ ცხენებზე და დაუწყეს ერთმანერთს ხმლებით ომი. მაშინ გარდახტა ჩვენი ალექსანდრი, დაეცა მხრივით სიდონს, ამოიღო ხმალი და უცებ მოაგდებინა თავი; წაიღო მაშინვე და მისცა კეისრის ქალს, ქალმაც სიხარულით წაიღო და მიართო თავის მამას და მოახსენა: აჰა მამაო ჩემო, იმ კაცის თავი, რომელმაც თავისი ტყუილი ლაპარაკით გაჩვენათ ჩემი თავის უპატიობა ლუდვიკისა-

გან, კეისარმაც რომ ნახა ამ ნაირი გამარჯ-
ვება ლუდვიკისა, დაუძახა, ეგონა ლუდვიკი
იყო, და უთხრა: საყვარელო შვილო ჩემო ლუ-
დვიკ, დღეს მოირჩინე შენი თავი და ჩემი ქა-
ლის პატივი რომ აამაღლე, საუკუნოდ ჩემი
საყვარელი იქმნები. ამ დროს მოახსენა ალე-
ქსანდრემ: მამა ჩემი გამიშვია მწუხარე და მო-
ვსულვარ; ახლა გთხოვთ ბძანებას მიბოძოთ ჩე-
მს მშობელთან წასვლისა, რომ ვნახო და ვი-
ლენ მალე გიახლებით. უბრძანა კეისარმა: წა-
დი მშვიდობით და ისევ მალე მოდი რომ ალა-
გი გ ქნება ჩემთან შენი სურვილისამებრ. ა-
ლექსანდრემ მადლობა გარდაუხადა და წავიდა
თავის ქვეყანაში. ლუდვიკმა რომ ნახა ალექსა-
ნდრი, ძრიელ გაუხარდა და ჰკითხა თუ რო-
გორ მოუხდა საქმე. უთხრა ალექსანდრემ: ეხ-
ლა წადი კეისართან და ემსახურე უწინდელი-
ვით, რადგან დავპირდი მალე დაბრუნებას და
შენს მტერსაც თავი მოვჭერ. ლუდვიკმა უთ-
ხრა: საყვარელო ძმაო ალექსანდრე, როგორ
გარდაგიხადო ის ყველა სიკეთე რომელიც შენ
ჩემთვის გიქნია და ბევრჯელაც დამიხსენი მე
სიკვდილისაგან. უთხრა ალექსანდრემ: წადი
მშვიდობით და ის ღმერთი იყოს შენთან, რო-
მელიც ყველას გარდაუხდის თავის სამაგიეროს.

ლუდვიკი გამოემშვიდობა და წავიდა კეისართან. იმ ღამეს ალექსანდრი დაბძანდა სახელმწიფო ტახტზედ და ვერავინ შეიტყო იმისი წასვლა და მოსვლა. ალექსანდრი რომ ჩაწვა ლოგინში ქალთან, დაიწყო ამასთან თამაში, კოცნა და სიყვარული. უთხრა ქალმა: ძლივს მოვიდა ის დრო, რომ მაჩვენე მცირე რამ სიყვარული; იმ დღიდან რომ მე მომიყვანე, მუდამ ღამეს ხმლის პირსა სდებდი ჩვენს შუა, რომ ახლოს არ მოგდგომოდი და ახლავი მე სიყვარულები. ალექსანდრემ რომ ეს გაიგო, თქო თავის გუნებაში: ჩემი ძმობილი ერთ გულათ ყოფილა ჩემთან და უთხრა: საყვარელო ჩემო მეუღლევ, მე ის საქმე მოვიმოქმედე შენს გამოსაცდელათ. ამ დროს ქალმა თქო თავის გულში: შენ თუ გამომცადე, მეც არ შეგარჩენ, და მაშინვე შეიყვარა თავის კარის კაცი. ერთად ატარებდნენ დროებას და ფიქრობდნენ ალექსანდრის მოკვლას. ჩუმათ მოიტანეს და დაალევინეს ალექსანდრეს სასიკვდილო წამალი, მაგრამ ამ წამალმა არ მოკლა და გარდაედო ყველა სხეულზე მუნი. ვეზირებმა რომ ნახეს ალექსანდრ ხელმწიფე ამ დგომარეობაში, გააშორეს თავის სახელმწიფოდან. ამ დროს ალექსანდრის ძმობილი ლუ-

დვიკი შეიქმნა კეისარი და ისრაელის ხელმწიფე. მაშინ ალექსანდრემ გაიგო ლუდვიკის ქს ბედნიერება და თქო: ახლა ჩემს ძმობილ ალექსანდრეს შეურთამ ფლორენცია და გამხდარა კეისარი და ისრაელის ხელმწიფე; წავალ და იმედია გული გავიმხიარულო იმისაგან, რადგან ჩემს თავს არ ვზოგამდი იმისათვის. მაშინვე აიღო ერთი ხელ საბჯენი ჯოხი და წამოვიდა ლუდვიკის სახელმწიფოში. როდესაც მოვიდა იმის პალატის კარებთან, ნახა იქ დამსხდარიყვნენ მათხოვრები და თხოულობდნენ წყალობას. მაშინვე ალექსანდრ ხელმწიფეც ჩაჯდა ამ მათხოვრებში ძველი ტანისამოსით. გაიარა კეისარმა, მისცა წყალობა და შევიდა პალატში, მაგრამ თავის ძმობილი ალექსანდრე ვერ იცნო. როდესაც კეისარი დაჯდა სადილზე, მაშინ ალექსანდრი ადგა ამ მათხოვრებიდან, წავიდა პალატის კარებთან და დაუწყო ცემა. როდესაც მოვიდა კარის კაცი და ჰკითხა ალექსანდრის ვინაობა, ამან უპასუხა: მე ვარ ერთი საწყალი მუნიანი ავადმყოფი, ქვეყნის მოძულებული. წადი და მოახსენე კეისარს ჩემგნით: ღვთის გულისათვის და ალექსანდრ ხელმწიფის სიყვარულისათვის მიკადროს და თავის პირდაპირ დამსოს სადილათ. უთხრა კა-

რის კაცმა: მიკვირს მაგისთანა სიტყვას ბედამ და მთხოვ: ჩვენი პალატი სამსეა დიდი ვეზი-რებით. შენ მაგრე საზიზღარი სახით ამობ იმათ პირდაპირ დამსონო, მაგრამ რ·დგან ღმე-რთს მათვიცებ, მოვახსენებ ჩემს ბატონს. მო-ვიდა კარის კაცი და მოახსენა: მაღალო ხელმ-წიფეო და ბატონო, ერთი ვინმე მუნიანი კაცი და გლახაკი მოსულა და თხოულობს თქვენგ-ნით, რომ ღვთის გულისათვის და ალექსანდრ ხელმწიფის სიყვარულისათვის მიკადროს, შე-მიყვანოს და თავის პირ და პირ დამსოს სადი-ლის საჭმელად. კეისრმა რომ გაიგო ალექ-სანდრის სახელი, უბძანა: მოიყვანე, დასვი ჩე-მს წინ და სადილი აჭამეო. მაშინვე იმანაც შე-მოიყვანა და დასო კეისრის წინ. კეისარმა თა-ვის სუფრიდან გაუგზავნა კარგი საჭმელები. ალექსანდრემ დაუძახა ერთ მოსამსახურეს და უთხრა: თუ ღმერთი გიყვარს, წადი კეისარს მოახსენე, რომ ის გლახაკი გეხვეწება ღვთის გულისათვის და ალექსანდრ ხელმწიფის სიყვა-რულისათვის მომაწოდოს ღვინო თავის სტა-ქნიდან დავლიო. უთხრა მოსამსახურემ: ჩემო ძმაო, არ იცი თუ რას თხოულობ? ერთხელ რომ იმის სტაქნიდან ღვინო დალიო, შემ-დეგ ჩემი ბატონი ველარ მიირთმევს იმ სტა-

ქნით; მაგრამ რომ მესვეწები, მოვახსენებ შენს თხოვნას. მოსამსახურე მივიდა კეისართან და მოახსენა: ბატონო ჩემო და ხელმწიფევ, ის გლახაკი თხოულობს: ღვთის გულისათვის და ალექსანდრ ხელმწიფის სიყვარულისათვის უბოძოთ დალიოს თქვენი სტაქნით ღვინო. კეისარმა რომ გაიგო ალექსანდრის სახელი, მხიარულის გულითა და სიცილით უბძანა მიეტანათ თავის სტაქნით ღვინო და დაელევინებინათ. მოსამსახურემ აიღო სტაქანი, წაუღო და მისცა ამ გლახაკს. ალექსანდრემ აიღო სტაქანი, ადღეგრძელა კეისარი და როცა დალია, წაიძრო თითიდან ბეჭედი, ჩააგდო ამავე სტაქანში და უთხრა მოსამსახურეს, რომ მიეტანა ეს სტაქანი და ბეჭედიც კეისართან. ლუდვიგმა მაშინვე იცნო ეს ბეჭედი, რომელიც თითონ მიეცა ალექსანდრ ხელმწიფისათვის სახსოვრათ. აუკანკალდა გული და თქო: ან ალექსანდრ ხელმწიფე მომკვდარა და ან ეს ბეჭედი ამ გლახაკს მოუპარავს და უთხრა მოსამსახურეებს: ეგ გლახაკი არ გავიდეს აქედან ვიდრე ველაპარაკები. სადილის შემდეგ კეისარმა წაიყვანა გლახაკი ცალკე ოთახში და უთხრა: გაფიცებ შენ ჭეშმარიტ ღმერთს, მითხარ ვინ მოგცა ეს ბეჭედი? უთხრა ალექსანდრემ: უ-

ივალო, ნუ თუ იცნობთ მაგ ბეჭედს? უთხრა
კეისარმა: როგორ არ ვიცნობ, ეს ბეჭედი
ჩემია და მე მივეცი ალექსანდრ ხელმწიფეს,
ჩემს ძმას სახსოვრათ ჩვენის სიყვარულისა.
უპასუხა გლახაკმა: ეს რომელიც გელაპარაკე-
ბა, ალექსანდრეა; რომელთანაც გქონიათ დიდი
სიყვარული და ძმობა. ეს რომ გაიგო ლუდ-
ვიკმა, დაიგლიჯა თმები, დაეცა მიწას და დაი-
წყო მაღლა ხმით ტირილი და ამბობდა: საყ-
ვარელო და სულო ჩემო ალექსანდრე, ეგ რო-
გორ მოგიხდა, რომ ის ნაზი და მშვენიერი
ხორცი გაგიხდა ამისთანა საზიზღარი? ვინ ი-
ყო შენი მიზეზი და რა მოგივიდა? უთხრა
ალექსანდრემ: შენ რომ ხმლის პირი ჩეგდო
ჩემი მეუღლის და შენს შუა, იმაზედ იმ წყე-
ულსაც ჯავრი მოსვლოდა, შეიყვარა ჩემი პა-
ლატიდან ერთი მოსამსახურე; ამათ ჩემთვის
სასიკვდილო წამალი მოეცათ, მაგრამ აღარ
მოვკვდი და ეგრე შევიქმენ და შემდეგ გამომ-
რისხეს ჩემი ხელმწიფობიდან. ეს რომ შეი-
ტყო ლუდვიკმა, უცებ მოეხვია, დაუწყო კოც-
ნა და უთხრა: ჩემო სულო და გულო ძმაო,
რა უნდა გიყო მე? და ან როგორ მოგარჩე-
ნინო? მცირე მოითმინე და მე გავგზავნი გა-
მოცდილ ჰექიმებთან და მოგარჩენინებ მაგ შენს

სატკივრიდან. მაგრამ აღარავის არ აცნობო შენი გარემოება ვიდრე მოგარჩენინებდე, ნამეტნავათ შენს და ფლორენციას რადგან ძრიელ შეწუხდება. მაშინვე მისცა ალექსანდრეს ერთი ოთახი ჲ მუდმისათ საჭმელ სასმელი; უბრძანა მოსამსახურეებს რომ წასულიყვნენ ყველა მხარეს ჲ მოეყვანათ ნასწავლი ჴექიმები; მაშინვე მოვიდნენ ოცდა ათამდის გამოცდილი და სახელოვანი ჴექიმები. ლუდვიკს გაუხარდა ჲ უთხრა: ძმანო ჲ ჩემო ერთგულნო მოსამსახურენო, ერთი ჩემი გულით საყვარელი მეგობარი ავათ გამხდომია ჲ გთხოვთ რაც იცოდეთ თქვენი ხელობისა, ყველა მოიხმარეთ ჲ მომირჩინოთ; მაშინ თქვენ მიიღებთ ჩემგნით დიდ პატივსა ჲ ჯილდოსა. ამ ჴექიმებმა მაშინვე გაშინჯეს ალექსანდრი ძრიელ ეცადნენ ჲ შემდეგ მოახსენეს: მაგისათვის დაულევინებიათ სასიკვდილო წამალი, არ მომკვდარა ჲ მუნათ გარდაჴქცევია; მაგის მორჩენა არ შეიძლება. მაშინ კეისარი ძრიელ დაღონდა ჲ ღმერთზე მიანდო ამის მორჩენა. დაუძახა გლახაკებს, სამღვდელოებსა ჲ ერს ყველას, რომ იმისათვის ყველას ელოცნათ; თითონაც მთელი კვირით მარხულობდა ჲ დაჩოქილი ეხვეწებოდა ღმერთს, რომ თავისი

საყვარელი ძმობილი მორჩენოდა. ერთ ღამეს, როცა ალექსანდრი ლოცულობდა, ზეციდან ხმა მოვიდა და ეუბნებოდა: ლუდვიკის ხუთივე ვაჟი შვილებს თუ გამოსჭრის ყელებს და იმათ სისხლში განბანებს, მორჩები და შეიქმნები მშვენიერი სახისა. ეს რომ ალექსანდრემ გაიგო, თქო: ეს რომ ვისმეს გაუცხადო, საჭირო არ არის; ვინ იქმნება იმისთანა, ჩემის მორჩენისათვის ერთი შვილი გაიმეტოს, არა თუ ხუთივეს ერთად ყელები დასჭრას? ამისათვის არავის გამოუცხადა. როდესაც ლუდვიკი ლოცულობდა, ერთ ღამეს მოვიდა ზეციდან ხმა რომ ეუბნებოდა: რაღასა სთხოვ ღმერთს? ალექსანდრემ იცის თავისი წამალი. კეისარმა ეს რომ გაიგო, უთხრა ალექსანდრეს: გავიგე ზეციდან ხმა, რომ შენ იცი წამალი და რისთვის არ მეტყვი? მეგონა მე არას დამიმალამდი. უთხრა ალექსანდრემ: არ არის საკვირველი რომ დავმალო, რადგან ძრიელ ძნელია; მაგრამ როდესაც კეისარმა ძრიელ ძალი დაატანა, მაშინ უთხრა, თუ როგორ უნდა დაეხოცა ლუდვიკის ხუთი შვილი და იმათ სისხლში ებანებინა. მაშინ კეისარმა უთხრა: ძმაო ალექსანდრე, შენ რომ გეშველებოდეს, არა თუ ჩემს ხუთ შვილს დავკლავ, რომ მეყვან-

დღეს ათი შვილი, მაინც არ დავიშურებ შენთ-
ვის. მაშინვე ლუდვიგმა იპოვნა დრო, როდე-
საც თავის მეუღლე არ იყო პალატში, შევი-
და ყმაწვილების ოთახში, აიღო ხმალი და
ხუთივეს გამოსჭრა ყელები; აამსო ერთი ჭუ-
რჭელი ამითი სისხლით, მოიტანა ალექსანდ-
რესთან. ამან რომ იბანა ამ სისხლში, გარ-
დაეცალა ტყავის კანი და იმისი ხორცი შეიქ-
მნა რბილი როგორც ყმაწვილისა. მაშინ ლუ-
დვიგმა იცნა ალექსანდრი: მოეხვია ყელზე,
დაუწყო ხვევნა და კოცნა; მაშინვე ჩააცო სა-
ხელმწიფო ტანისამოსი და უთხრა: ძმაო ალე-
ქსანდრე, მანამ ჩემი დედოფალი არ მოსულა
პალატში, წავალ ერთ ოც ვერსზე შორს და
მე დიდის დიდებით გამოვალ შენს წინ, მი-
გიღებ და დასდგები ჩემთან. ალექსანდრი ამ
ნაირათ დიდის პატივით მოვიდა ლუდვიგის
საბძანებელში. ლუდვიგი და ალექსანდრი კიდევ
მოეხვივნენ ერთმანერთს და დაუწყეს კოცნა-
ეგრეთვე გაუხარდა ფლორენციას და მოვიდ-
ნენ სახელმწიფო პალატში. სადილის დროს
ალექსანდრი ჩასვეს შუაში; ცალ მხარეს მო-
უჯდა ლუდვიგი, მეორე მხარეს ფლორენცია
და ატარებდნენ დროებას. ამ დროს უთხრა
კეისარმა ფლორენციას: საყვარელო ფლორე-

ნცი ნახე ის გლახაკი, რომელმაც ჩემი სტაქნიდან ღვინო მოინდომა და დალია? უთხრა ფლორენციამ: ვნახე და მე იგრე საზიზღარი არა მინახამს რა. უთხრა კეისარმა: ის იყო ჩვენი ძმა ალექსანდრ ხელმწიფე, რომელიც ახლა ჩვენთანა ზის. უთხრა ფლორენციამ: რისთვის არ მითხარ, როგორ მორჩა, თუ მართლა ეს იყო? უპასუხა კეისარმა: ვერ გითხარ რომ არა გწყენოდა, რადგან მაგის მორჩენა არაფრით შეიქმნა, და შემდეგ მოვიდა ზეციდან ხმა რომ ჩვენი ხუთი შვილის სისხლში უნდა მებანებინა; იგრეც ავასრულე შენ რომ ეკლესიაში იყავ და მორჩა. ახლა ჩემო საყვარელო ფლორენცი, შენთვის რომ მეკითხა ჩვენი შვილების დახოცა, შენ რაღას მეტყოდი? უთხრა ფლორენციამ: რისთვისა მცდი? არათუ ხუთი შვილი, რომ მყოლოდა ათი, ათივეს არ დავიმურებდი ჩვენი ძმა ალექსანდრე ხელმწიფისათვის, და თუ ისინი დაგიხოცნია, მაგიერს კიდევ ღმერთი მოგვცემს, ჯერ არ დავბერებულვართ. ეს რომ გაიგეს გამზრდელებმა, დიდის ტირილითა და კივილით შეცვივდნენ ყმაწვილების სადგომში და ნახეს რომ ესენი თამაშობდნენ და ლოცულობდნენ უფალს. მაშინვე გაკვირვებულ გა-

მოცვივდნენ, ახარეს ყველას რომ ყმაწვილები ცოცხლები იყვნენ ჲ გალობდნენ უფლისა ლოცვას; მაშინ ამათაც მადლობა შესწირეს უფალს ამისთანა მრიელებისათვის.

## ლუდვიკის წასვლა ეგიპეტში და დაპყრობა მისი.

შემდეგ ლუდვიკ კეისარი დიდის ჯარით წავიდა ეგაპეტში, დაიჭირა ალექსანდრის მეუღლე ჲ უბძანა ცეცხლში დაეწოთ თავის საყვარლით. ლუდვიკმა ალექსანდრეს მისცა თავის და მეუღლეთ, დაიპყრა მთელი ეგიპეტი ჲ ჩაბარა თავის ძმა ალექსანდრეს. შემდეგ ალექსანდრეს მოაგონდა თავის დედ-მამა, რომელნიც ცხოვრობდნენ თავის საბძანებელში. მოვიდა ალექსანდრი დიდის ჯარით დედ-მამასთან; მაშინვე გამოვიდა მამა ჲ დედა ალექსანდრესი, დაიჩოქეს ჲ თაყვანი სცეს; არ იცოდნენ თუ თავიანთ შვილი იყო, რომელიც ზღვაში გადაეგდოთ. დაამზადეს სადილი ჲ ალექსანდრი დარჩა იმ დღეს დედ მამასთან. მაშინ მამამ აიღო წყალი ჲ დედამ ხელ საწმენდი ჲ დადგნენ ხელმწიფის წინ სამსახურისათვის. ეს რომ ალექსანდრ ხელმწიფემ ნახა,

გაეცინა და თქო გუნებაში: აჰა მართლათ ასრულდა ბულბულის სიტყვები. მაშინ დედ-მამას უბძანა დამსხდარიყვნენ და მოსამსახურეებს ემსახურნათ სადილის გათავებამდის; სადილის შემდეგ დაუძახა ხელმწიფემ თავის დედ მამას ცალკე ოთახში და უთხრა: ერთი რამე უნდა გკითხოთ და თუ სწორეთ არ მეტყვით, შეუბრალებლათ დაგხოცამთ; მე გამიგია თქვენ გყოლიათ ერთი შვილი და თქვენის ხელით მოგიკლამთ. ამათ რომ ეს გაიგეს, შეშინებულნი დაეცნენ მიწაზე, სთხოვდნენ მოტევებას და ეუბნებოდნენ: მაღალო ხელმწიფეო, ჩვენ გვყავდა ერთი შვილი, იმან აგვიხსნა ბულბულის ლაპარაკი, მითომ ის უნდა გამოსულიყო დიდი ვინმე და ჩვენ იმისათვის უნდა გვემსახურნა; ამაზედ ძრიელ გვეწყინა და ზღვაში გადავაგდეთ, რომ დაკარგულიყო. მაშინ უთხრა ხელმწიფემ: საყვარელო ჩემო და ტკბილო მშობელნო, მე თითონა ვარ ალექსანდრი თქვენი შვილი, რომ გადამაგდეთ ზღვაში, მაგრამ ასრულდა ბულბულის სიტყვა, მიმახრწივა ამისთანა ბედნიერებას და ღვთის სიტყვა არ დაპრკოლდა. დაჰკოცნა დედ-მამას, სიხარულისაგან დაიწყეს ტირილი. შემდეგ წაიყვანა თავის პალატში და შეინახა სიკვდილამ-

დის ბედნიერათ, როგორც ქოვერებოდა ამისთანა ხელმწიფეს.

მაშინ მოახსენა დიოკლეტიანემ მამას: უფალო ხელმწიფეო და მამაჲ მშობელო, შესმინეთ სიტყვანი, რომელნიც ჩემგნით მოგხსენდათ? უთხრა ხელმწიფემან: დიახ შევისმინე. მოახსენა შვილმან, ეგრეთვე უკეთუ ღმერთს მოეცა ჩემთვის მეცნიერება და გონება, არ წაგართმევდით თქვენ იმ უფლებას, რომელიც გქონდათ, და არც მოვაკლებდი თქვენს პატივის ცემას. დღე და დღე მოუმატებდი პატივსა თქვენსა, როგორც იმან უყო თავის დედ-მამას.

უთხრა ხელმწიფემან: ჰოი საყვარელო და ტკბილო შვილო ჩემო, კარგი არაკი გვითხარი ჩვენ; შემდეგ ამისა შენ ჩაგაბარებ ჩემს სახელმწიფოს, მე ვიცხოვრებ ცალკე, რადგან მოხუცებაში ვარ.

მოახსენა შვილმან: მამაო ჩემო, ეხლა მოიფიქრეთ, თუ თქვენს დედოფალს, რა გზა უნდა მისცეთ.

ხელმწიფემ უბრძანა მოსამართლეებს, რომ დედოფლის საქმე გამოეძიათ. მოახსენეს მოსამართლეებმა ხელმწიფეს: უფალო ხელმწიფეო, რაღა გამოვიძიოთ, რადგან თითონ თა-

ვის პირით აღვიარა თავისი დანაშაული და უფრო დიდი მოწამე თავისი საყვარელი, რომელიც იყო დედაკაცის ტანისამოსით.

მაშინ უბრძანა ხელმწიფის შვილმა დიოკლეტიანემ დედოფალი მოებათ ცხენის კუდზე და იგრე ეთრივნათ ბაზარ ბაზარ და ქუჩა ქუჩა, ვიდრე გაიყვანეს ქალაქის გარეთ და დაწვეს თავის საყვარელთან ერთად.

ყველანი ღმერთს თაყვანს სცემდნენ, რომ დაიხსნა მართალი და დედოფალი დაისაჯა.

შემდეგ ამისა დიდი ხანი აღარ გამოვიდა, გარდაიცვალა ხელმწიფე, და დაჯდა ხელმწიფეთ ამის ალაგას შვილი ხელმწიფისა დიოკლეტიანე. თავის მასწავლებლები დაასაჩუქრა და გაადიდა ძრიელ, და დიდის ჭკვითა და გონებით დაიწყო შენახვა და მოვლა თავის სახელმწიფოსი. ყველანი მადლობას შესწირამდნენ უფალს და აქებდნენ დიოკლეტიანე ხელმწიფის მეცნიერებას; უყვარდათ ყველას, რომ იმისთანა კარგათ ინახამდა თავის სახელმწიფო ტახტსა. იცოცხლა მხიარულის ცხოვრებით, აღივსო შვილებით და რა მოხუცებას მიაწია, გარდაიცვალა მშვიდობიანათ

891.51
J 601